საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 სექტემბერი **სამშაბათი** 2011
№209 (13506) ფასი 80 თეთრი

## საქართველო მეორე ჯგუფურ ეტაპზე! სამწუხაროდ, უფა[illegible]



რეპორტაჟების სპონსორია გერმანული ლუდი ვარშტაინერი




ვაჟა სიმონიშვილი კლაიპედიდან

8

# ბულგარეთმა მოგვიგო, უკრაინამ გაგვიგო

კორესპონდენტების როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE



ბესიკ ჯანგავაძე ქვინზთაუნიდან

# ქვინზთაუნში ბორჯღალოსნები თბილად მიიღეს





საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ორდღიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ახალ ზელანდიაში ჩავიდა. პირველი ქალაქი, რომელიც "ბორჯღალოსნებს" უმასპინძლებს, ქვინზთაუნია. ქალაქის მოსახლეობამ საქართველოს ნაკრებს საკმაოდ ემოციური, თბილი დახვედრა მოუწყო.

ქომაგები ჩვენს ბიჭებს აეროპორტის შენობაშიც და მის მახლობლად ბლომად დახვდნენ და შეძახილებით ამხნევებდნენ.

ახალზელანდიელმა მაორებმა ტრადიციული საბრძოლო სიმღერა შეასრულეს, ქვინზთაუნითა და მისი მცხოვრებლებით ქართველი მორაგბეები აღფრთოვანებულნი დარჩნენ. დაღლილობა მყისიერად გაქრა და ბიჭებს კარგი, საბრძოლო განწყობა დაუბრუნა.

**ილია ზედგინიძე:** *"ქვინზთაუნელებმა შესანიშნავი დახვედრა მოგვიწყვეს, არაჩვეულებრივი გარემოა, ყოველი მხრიდან ქალაქს მთები აკრავს. ძალიან სასიამოვნო ღონისძიება იყო, ხაზი გაუსვეს თავიანთ ტრადიციებს, ყოველივე იმას, რაც წინაპრებისგან მოსდგამთ. ჩვენც ვეცდებით ჩვენი კულტურა გავაცნოთ მათ, დავმეგობრდეთ."*

**გიორგი ნიჟარაძე:** *"ორი დღის მგზავრობის შემდეგ ჩამოვედით ამ პატარა ქალაქში, სადაც დაუვიწყარი დახვედრა მოგვიწყვეს. ახალ ზელანდიაში ჩვენი სტუმრობა ძალიან კარგად დაიწყო, შესანიშნავი განწყობა შეგვექმნა და იმედი გვაქვს, მსოფლიოს თასი რომ დამთავრდება, ასეთივე კარგ ხასიათზე ვიქნებით."*

საქართველოს ნაკრები ერთი დღე დაისვენებს და მერე პირველი თამაშისთვის მზადებას განაგრძობს. მატჩი 14 სექტემბერს ინვერქარგილში შოტლანდიის ნაკრებთან გაიმართება.




## 9 სექტემბერს ლელოსთან ერთად

რაგბის მსოფლიოს თასისადმი მიძღვნილი პოსტერ-კალენდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



U 21

# გამოგვიშვეს მშვიდად, წყნარად

## ტოლი ნახეთ, ბურთი იმასთან გააგორეთო

5.09. ლუგო. ანხელ კარო.
2 750 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ესპანეთი | 2 |
| საქართველო | 0 |

1:0 კანალესი (17 პენ.), 2:0 კანალესი (79).

| ესპანეთი | საქართველო |
|---|---|
| 4-3-3 | 4-2-3-1 |
| დე ხეა | მაკარიძე |
| მალო | აფაქიძე |
| ბარტრა | კვერკველია |
| რომეუ | კაკუბავა |
| პლანასი | იოსელიანი |
| ანდონელი | შეყილაძე |
| კანალესი | თარხნიშვილი |
| მუნიაინი | კვეკვესკირი |
| როდრიგო | ოქრიაშვილი |
| მარტინესი | ყაზაიშვილი |
| ისკო | მჭედლიძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ლ. მილია | ო. გაბელია |

**ესპანეთი**

76. ისკო - **ხუან კარლოსი**
82. როდრიგო - **ვასკესი**
86. რომეუ - **რობერტო**

*სათადარიგოები: ყოელი, ნაჩო, პაჩეკო, რესიო.*

**საქართველო**

73. ყაზაიშვილი - **ჭანტურია**
84. მჭედლიძე - **კობალია**
88. ოქრიაშვილი - **ძალამიძე**

*სათადარიგოები: ზარქუა, კანდელაკი, კალანდაძე, ბეგლარიშვილი.*

გაფრთხილება: მალო (40), მარტინესი (51), მჭედლიძე (58),
არბიტრი: ი. კოვაჩი (რუმინეთი)

1-ელ სექტემბერს ქუთაისში ესპანელებმა ქართველებს საჩვენებელ-სასწავლო თამაში ჩაგვიტარეს. ჩვენების მატჩამდელი ლაპარაკი, ესპანელებთან მოგების იმედი გვაქვსო, სულ ცოტა, ბაქი-ბუქი გამოდგა. ცხადია, შინ 2:7 შერცხვენის შემდეგ (პირველ ტაიმს სულაც 0:6-ს (!) ვაგებდით) ლუგოში წარმატების იმედი მხოლოდ იდიოტს ექნებოდა.

ასეც მოხდა, ისევ დავმარცხდით, მაგრამ რა შედარებაა... მატჩის ტელერეპორტაჟი არ გვიხილავს, ასე რომ, უეფას ვებგვერდის ტექსტურ რეპორტაჟს დავეყრდნობით.

**ოთარ გაბელიამ** წინა მატჩის შემდეგ ძირითადის სამი მოთამაშე შეცვალა - მარცხენა მცველი **ნიკა ჯიშკარიანი,** მარჯვენაფლანგელი შემტევი **გიორგი ჭანტურია** და პლეიმეიკერი **ნიკა ძალამიძე**. შემადგენლობა შეცვალა ესპანელთა თავკაცმა **ლუის მილიამაც,** მანაც ახლები ათამაშა.

პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევა მე-12 წუთზე მასპინძლებმა განახორციელეს - „ვალენსიას" ნახევარმცველმა **სერხიო კანალესმა** უზუსტოდ დაარტყა, თუმცა ხუთ წუთში ჩვენების კარში დანიშნული პენალტისას ზუსტი იყო - 1:0.

ჩვენი მეკარე **გიორგი მაკარიძე** შემდგომაც გვარიანად დაიტვირთა: 29-ე წუთზე ჯერ კანალესის დარტყმა მოიგერია, ერთ წუთში კი **ასიერ ანდონელის** სახიფათო გასროლას დაუხვდა. 36-ე წუთზე **მარკ ბარტრამ** არაზუსტად დაარტყა და მეკარემ, რომ იტყვიან, ცოტა ამოისუნთქა, თუმცა, ცხადია, მასპინძლების შეტევები ამით არ ამოწურულა.

ჩვენებმა ასე თუ ისე ხეირიანი კომბინაცია 50-ე წუთზე გაითამაშეს, მაგრამ **თორნიკე თარხნიშვილის** დარტყმამ მიზანს ვერ უწია. ამას **ირაკლი შეყილაძის** კუთხური და **ნიკა აფაქიძის** დარტყმა მოჰყვა, მაგრამ ესეც უზუსტო.

მალე მაკარიძეს საქმე კვლავ მოემატა — კარს **ორიოლ რომეუ** დაემუქრა და გიორგიმ საიმედოდ ითამაშა. ასევე მოხდა კანალესის შეტევის შემდეგაც.

მერე, 10-წუთიან მონაკვეთში, ქართველებმა რამდენიმე იერიში მთლად კარზე თუ ვერა, კარამდე მიიტანეს, მაგრამ თარხნიშვილს, შეყილაძესა და მჭედლიძეს სიზუსტე კვლავ დააკლდათ.

ცხადია, ესპანელებიც უტევდნენ, მაგრამ კანალესმა და **ისკომაც,** ჩვენებისა არ იყოს, კარს ააცილეს, თუმცა მალევე, 79-ე წუთზე კანალესმა დუბლი შეასრულა - 2:0.

ამის შემდეგ ესპანელებს კიდევ სამჯერ შეეძლოთ გატანა, უფრო დიდი ანგარიშით ნაგებისგან კი მაკარიძემ გვიხსნა. 84-ე წუთზე **ვასკესის** დარტყმის შემდეგ გადაარჩინა კარი, დამატებულ წუთებში მუნიაინის შეტევა გაანეიტრალა, შემდეგ კი ორჯერ ისევ ვასკესი უტევდა და კვლავ მაკარიძემ ივარგა. საინტერესოა, ამ დროს რას აკეთებდა გუნდი?

ან სად გაქრა ის რიხი და ბაქი-ბუქი, რომელიც მატჩამდე გვესმოდა. ცხადია, მსოფლიოში საუკეთესო საფეხბურთო ქვეყნის ნაკრებთან მოგებაზე ლაპარაკი აბსურდს ჰგავდა, მაგრამ ორ შეხვედრაში ორი ნაგება ბურთების საერთო შეფარდებით 2:9 მეტისმეტად დამთრგუნველია.

ოთარ გაბელიას შეგირდებს გუშინ ქვეყნისთვის ძალიანაც არ მოუჭრიათ თავი, მაგრამ ნაგება ნაგებაა და ვფიქრობთ, ესპანელებმა აღარ მოინდომეს ისე, როგორც პირველ მატჩში, რადგან მიხვდნენ - მათი მეტოქე ასეთ თამაშს არ იმსახურებდა.

■ ■ ■

**ჯგუფის მეორე შეხვედრაში შვეიცარიელებმა ივო შუშაკის ხორვატია 4:0 გაანადგურეს და მეორე ადგილზე გადავიდნენ.**

გოლები: 1:0 ცუბერი (8), 2:0 ტოკო (62), 3:0 კასამი (79), 4:0 სეფეროვიჩი (82).

| | თ. | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-2 | 6 |
| 2. შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-0 | 4 |
| 3. საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-9 | 3 |
| 4. ესტონეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 5. ხორვატია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |






საკლუბო რეიტინგი




# ესეც ასე, ესეც ასი: დინამო ზემოთ

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ განახლებული საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული კლუბები ევროტურნირებს უკვე გამოეთიშნენ, IFFHS-ს მიერ შედგენილ მსოფლიო საკლუბო რეიტინგში ჩვენები საგრძნობლად დაწინაურდნენ.

ბოლო წლებში პირველად, განახლებულ ნუსხაში ქართული კლუბი მსოფლიოს ასი საუკეთესო გუნდის ჩამონათვალშია — თბილისის "დინამო", აგვისტოს დასაწყისში 114-ე ადგილზე რომ იყო, 85-ე ადგილზე აინაცვლა.

დაწინაურდა "ზესტაფონიც" — 221-ე ადგილიდან 194-197 პოზიციაზე. რუსთავის "მეტალურგი" კი დაქვეითდა — აგვისტოს 195-ე ადგილი 200-206-ეზე „გაცვალა".

| ქართული კლუბები ტოპ 400-ში | | |
|---|---|---|
| 85. (114) | დინამო | 126,5 |
| 194-197. (221) | ზესტაფონი | 91,0 |
| 200-206. (195) | მეტალურგი | 90,0 |
| **საუკეთესო ათეული კი ასეთია:** | | |
| 1. (1.) | ბარსელონა | 331,0 |
| 2. (2.) | რეალი | 309,0 |
| 3. (4.) | მანჩესტერი | 287,0 |
| 4. (3.) | პორტუ | 264,5 |
| 5. (7.) | ინტერი | 244,0 |
| 6.(10.) | შალკე | 242,0 |
| 7. (6.) | ვილეარეალი | 240,0 |
| 8. (9.) | ველეს სარს. | 237,0 |
| 9-10. (5.) | მანჩესტერ სიტი | 236,0 |
| 9-10. (18.) | ბაიერნი | 236,0 |

ტრანსფერი

# გზა და გზა...

## სეთურიძე სახლთან ახლოს, თანაც, ნაცნობ გარემოში

უკვე გაუწყეთ, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი დღით ადრე ქუთაისის „ტორპედოს" ფლანგის ნახევარმცველი **გიორგი სეთურიძე** რუსთავის "მეტალურგში" გადავიდა.

26 წლის სეთურიძეს რუსთაულ კლუბში ადრეც უთამაშია, მის შემადგენლობაში ჩემპიონიც გახდა და, სხვათა შორის, აზერბაიჯანული "სტანდარდიდან" დაბრუნებულს კვლავ "ოლიმპში" (რუსთავულ კლუბს მაშინ ასე ერქვა) სურდა თამაში, მაგრამ საბოლოოდ კლუბს ვერ შეუთანხმდა.

ნახევარმცველმა "მეტალურგთან" კონტრაქტს ხელი უკვე მოაწერა, გუნდთან ერთად ვარჯიშობს, "ლელოს" კი ქუთაისიდან წამოსვლის მიზეზებზე ელაპარაკა.

*"გადამწყვეტი ფაქტორი ჩემი სურვილი იყო. "ტორპედო" კარგი და მეგობრული გუნდია, მაგრამ რუსთავის "მეტალურგში" გადასვლა მერჩივნა. ორივე ამბიციური გუნდია, მაგრამ ახლა სახლთან ახლოს ვარ და აღარ მომიწევს აქეთ-იქით, ოჯახსა და კლუბს შორის სიარული. ასე ცხოვრება ძნელი იყო, გამუდმებით თბილისი-ქუთაისის ტრასაზე ვიყავი. თანაც, რუსთავში ადრეც მითამაშია და ჩემთვის ლამის მშობლიური კლუბია"* - ამბობს სეთურიძე.

გიორგის თქმით, "ტორპედოს" ხელმძღვანელობას პრობლემა არ შეუქმნია: *"ქუთაისელებთან კონტრაქტი 2012 წლის მაისში მიმთავრდებოდა, მაგრამ გუნდს მისი გაწყვეტა ვთხოვე, "მეტალურგი" საკომპენსაციო თანხის გადახდას დათანხმა და უპრობლემოდ გამიშვეს".*

სეთურიძეს უკვირს, მისმა ძველმა და ახალმა კლუბებმა ჩემპიონატი კარგად რომ ვერ დაიწყეს: *"სეზონის დაწყებამდე ყველაფერი თითქოს კარგად იყო, "ტორპედო" შეთამაშდა და ჩემპიონატს იმედით ველოდით. შემადგენლობაც ძლიერი გვყავდა და გუნდშიც კარგი ატმოსფერო იყო. არადა, ვერ ავეწყვეთ, დასანანი ქულები დავკარგეთ და დღეს გუნდი ლიდერებში არ არის.*

*ასეთივე ვითარებაა "მეტალურგში", ძლიერი გუნდია და ძალიან შეკრულიც, მაგრამ ევროთასების შემდეგ ჩემპიონატი დამაჯერებლად ვერ დაიწყო. თუმცა ჯერ არც ერთს დაუკარგავს ბევრი და არც მეორეს. სეზონი ახლა დაიწყო და მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინ არის".*

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლელოელები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ჩვენი კოლეგის
**გია ბერიკაშვილის**
გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები. მალტასთან მატჩის წინ

# დროა, მოგებები გავიხსენოთ



ორი მატჩიც და საქართველოს ნაკრებისთვის ეს შესარჩევი ციკლიც დამთავრდება; რაღა შეიძლება მოხდეს? ანუ, რა იქნება ჩვენი ნაკრებისათვის მაქსიმუმი? სამწუხაროდ, ზედიზედ სამმა წაგებამ (ისრაელთან, ხორვატიასთან, ლატვიასთან) აშკარად მოკრძალებული მიზნებიღა დაგვიტოვა: მეორე ადგილზე უკვე ველარანაირად ვერ გავდივართ, მესამე ადგილის დაკავების ბევრად უკეთესი შანსი ისრაელს აქვს და ეგ კი არა, შესაძლოა... ლატვიამაც გაგვასწროს! თუმცა, ამ ბოლო ვარიანტისა ნაკლებად გვჯერა: მართალია, ლატვიელებს ჩვენზე ერთი მატჩით მეტი აქვთ ჩასატარებელი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ **ალექსანდრ სტარკოვსის** გუნდს მალტასთან შეხვედრის გარდა ხორვატებთან და ბერძნებთან დარჩათ თამაშები. მოკლედ, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, საქართველოს ნაკრები, ამ შესარჩევ ციკლს, სავარაუდოდ, მეოთხე ადგილზე დაამთავრებს. არადა, ჯერ კიდევ ხუთი თვის წინ საქართველოს ნაკრებს პლეი ოფში გასვლის რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ 29 მარტს ისრაელში 0:1 წავაგეთ, 3 ივნისს სტუმრად ხორვატებთან ასევე მინიმალური ანგარიშით (1:2) დავმარცხდით, რამდენიმე დღის წინათ კი თბილისში მეტად და მეტად მტკივნეული მარცხი ვიწვნიეთ ლატვიელებისაგან. ამ წაგებით კი, ყველანაირი შანსი გადაგვეწურა და დარჩენილი ორი მატჩიც, ფაქტობრივად, პრესტიჟის საქმე იქნება. ანუ, ლამის არის, წინა შესარჩევი ტურნირების დასკვნითი ეტაპი განმეორდეს, — აი, „კარის გაჯახუნება" რომ ვიცოდით და ხანდახან, ჯგუფის ზოგიერთ ფავორიტს გავამწარებდით ხოლმე; დაახლოებით ასეთივე სიტუაციაა ახლაც: იმედია, მალტასთან დღევანდელ მატჩში ამ მოუგებელ სერიასაც შევწყვეტთ და ნურც ის გამოვრიცხოთ, რომ, შესაძლოა, შესარჩევი ტურნირის ბოლო ტურში საბერძნეთს ძვირფასზე ძვირფასი ქულები დავაკარგვინოთ. თანაც, ბერძნები (ხორვატებთან ერთად) ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისათვის იბრძვიან და ვეჭვობთ, რომ **ფერნანდუ სანტუშის** გუნდს ბოლო ტურისათვის პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდეს. თუმცა, ნებისმიერი ქართველი ქომაგისათვის, დღესდღეობით, ალბათ, სულ ერთია, რომელი გუნდი დაიკავებს ჩვენს ქვეჯგუფში პირველ ადგილს და რომელი მოხვდება პლეი ოფში; ჩვენთვის ახლა მთავარი ხომ იმ „დავიწყებული" მოუგებელი სერიის შეწყვეტაა: 26 მარტს, თბილისში ხორვატიის ნაკრების დამარცხების შემდეგ **თემურ ქეცბაიას** გუნდმა ზედიზედ ოთხი შეხვედრა წააგო! ასეთ დროს კი, ალბათ, არც იმას აქვს არსებითი მნიშვნელობა, ამ ოთხი მატჩიდან სამი რომ ოფიციალური შეხვედრა იყო და ერთიც — ამხანაგური (პოლონეთთან); ისე, მართლაც პარადოქსია: 2010 წელს საქართველოს ნაკრებმა თავის ისტორიაში საუკეთესო შედეგი უჩვენა და წელიწადი წაუგებლად ჩაამთავრა, წლეულს კი მარტის ბოლო რიცხვებიდან მოყოლებული თამაშს თამაშზე ვაგებთ...

## უსიამოვნო სერიები

საქართველოს ნაკრებს ვიდრე **თემურ ქეცბაია** ჩაიბარებდა, ჩვენს უპირველეს გუნდს თავის ისტორიაში უცუდესი შედეგი ჰქონდა — ზედიზედ 15 მოუგებელი მატჩი, ვეჭვობთ, როდისმე კიდევ განმეორდეს; ეგაც რომ არ იყოს, ქეცბაიას წინამორბედი, **ექტორ რაულ კუპერი** სხვა ანტირეკორდზეც „მიდიოდა". არგენტინელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებს ზედიზედ ხუთი მატჩი ჰქონდა წაგებული (მალტასთან, იტალიასთან, ისლანდიასთან, ჩერნოგორიასთან, ბულგარეთთან). თუმცა, ეს პირველი შემთხვევა ნამდვილად არ ყოფილა ჩვენი ნაკრების ისტორიაში: 1996 წელს ასევე ზედიზედ 5 წაგება გვქონდა: რუმინეთთან, კვიპროსთან, ნორვეგიასთან, იტალიასთან, ინგლისთან; ჩვენი უპირველესი გუნდისათვის ზედიზედ ოთხი მარცხიც არ ყოფილა „უცხო" თუ „უჩვეულო": პირველად მსგავსი რამ 1992-94 წლებში მოხდა, როცა კვიპროსთან და აზერბაიჯანთან ამხანაგურ მატჩებში ერთნაირი ანგარიშით (0:1) დავმარცხდით, რასაც სადებიუტო ციკლში მოლდოვასთან და ლატვიასთან წაგებები მოჰყვა; ამის შემდეგ ხუთი წელი გავიდა, ვიდრე მსგავსი სერია გვექნებოდა: 1999 წელს ნორვეგიასთან ზედიზედ ორ მარცხს (1:4, 0:1) საბერძნეთთან და სლოვენიასთან წაგებები (ორივეჯერ — 1:2) „მივაყოლეთ"; სულ ბოლოს კი ზედიზედ ოთხი წაგება 2006 წელს გვქონდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ოთხივე მარცხი, მეტოქეებიდან გამომდინარე, მეტნაკლებად „გამართლებულიც" იყო: საფრანგეთის, უკრაინის, გერმანიისა და იტალიის ნაკრებებმა მოგვიგეს!..

აი, რაც შეეხება ანტირეკორდს, საქართველოს ნაკრების ისტორიაში მხოლოდ ერთადერთხელ იყო, ზედიზედ 7 მატჩი რომ წავაგეთ; ყველაფერი კი 2003 წლის შემოდგომაზე დაიწყო, როცა ალბანეთთან და რუსეთთან ოფიციალურ მატჩებში დავმარცხდით. რასაც მომავალი წლის ზამთარში კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე სამი წაგება მოჰყვა (რუმინეთთან, კვიპროსთან, სომხეთთან) და გაგრძელდა იმავე, 2004 წლის გაზაფხულზე, როცა კიდევ ორი ამხანაგური შეხვედრა (ისრაელთან, მოლდოვასთან) დავთმეთ. იმედია, მსგავსი უსიამოვნო სერია აღარასოდეს განმეორდება და დღეის შემდეგ ახალი, ამჯერად უკვე წაუგებელი სერიაც უნდა დავიწყოთ; ბოლოს და ბოლოს, მეტოქის „სიძლიერის" ფაქტორსაც თავი რომ დავანებოთ, ჩვენმა ნაკრებმა კიდევ ერთი ნავსი ხომ უნდა გატეხოს? შეგახსენებთ, რომ უკვე ხუთ წელიწადზე მეტია, საქართველოს ნაკრებს ოფიციალურ მატჩებში სტუმრად არ გაუმარჯვია — 2006 წლის 16 აგვისტოს, ფარერების ნაკრებს 5:0 რომ მოვუგეთ, იმის მერე საგარეო გამარჯვების მოლოდინში ვართ...

## ყველასთვის სასურველი მეტოქე

შვიდი მატჩი და შვიდივე წაგება, — აი, ასეთია მალტის ნაკრების „მონაგარი" ამ შესარჩევ ციკლში; თუმცა, ამაში მოულოდნელი არც არაფერია: ნებისმიერი შესარჩევი ეტაპის დაწყების წინ მალტის ნაკრებს ჯგუფის გამოკვეთილი აუტსაიდერობა ხომ გარანტირებული აქვს! ანუ, მოულოდნელობა კი არა, ხმაურიანი სენსაცია არის ის ფაქტი, როცა მალტელები ამა თუ იმ შესარჩევ ციკლში თუნდაც ერთ ქულას რომ დააგროვებენ-ხოლმე. თავად განსაჯეთ: მალტის ნაკრები მეთერთმეტედ მონაწილეობს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე და შესარჩევ ციკლს მუდამ ბოლო ადგილზე ამთავრებდა. აღარაფერს ვამბობთ ქულათა მარაგსა თუ მართლაც დანატრებულ გამარჯვებებზე - რამდენიც გნებავთ, იმდენი შემთხვევა ყოფილა, როცა მალტელებს შესარჩევი ციკლი ერთი კინკილა გამარჯვების გარეშე დაუსრულებიათ. მეტსაც ვიტყვით: მალტელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე 1970 წლიდან ასპარეზობენ და დღემდე მხოლოდ სამჯერ შეძლეს გამარჯვების მოპოვება: 1975 წლის 23 თებერვალს საბერძნეთთან (2:0), 1982 წლის 5 ივნისს ისლანდიასთან (2:1) და 2006 წლის 11 ოქტომბერს უნგრეთთან (2:1). ბევრად უარესი შედეგი აქვთ მალტელებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე: 1973 წლიდან დღემდე მხოლოდ ერთადერთი გამარჯვება რომ აქვთ მოპოვებული! ეს მართლაც „ისტორიული" მატჩი კი 1993 წლის 12 მაისს ჩატარდა, როცა მალტელებმა სტუმრად ესტონელებს აჯობეს (1:0). მოკლედ, მართლაც საინტერესო სიტუაციაა დღევანდელი მატჩის წინ: მასპინძლებმა ოფიციალური მატჩი უკანასკნელად 5 წლის წინათ მოიგეს. ჩვენებმაც სტუმრად ოფიციალურ შეხვედრებში ბოლოს 5 წლის წინათ გაიმარჯვეს; იმედი დავიტოვოთ, რომ მალტელების უსიამოვნო სერია კვლავაც გაგრძელდება — მით უფრო, რომ ამ ქვეყნის ნაკრებთან (სხვა გუნდებისგან განსხვავებით) დადებითი ბალანსით თავს მოვიწონებთ. ჰო, საბედნიეროდ, თანამედროვე ფეხბურთში ჯერ კიდევ „არსებობენ" ისეთი ნაკრებები, რომლებთანაც უარყოფითი ბალანსი არ გაგვაჩნია და ერთ-ერთი ასეთთაგანი მალტაა: დღემდე ჩატარებულ ექვს შეხვედრაში ოთხი მატჩი ჩვენ მოვიგეთ, ერთი ფრედ დავამთავრეთ და ერთხელაც წავაგეთ. საერთოდაც, მალტელებისათვის უდიდესი მიღწევაა, როცა წელიწადის განმავლობაში... ერთ ამხანაგურ შეხვედრას მაინც მოიგებენ და ასე მოხდა 2009 წლის 12 აგვისტოსაც, როცა საქართველოს ნაკრებთან 2:0 გაიმარჯვეს! სხვათა შორის, იმის შემდეგ ორი წელიწადი გავიდა და მალტელებმა ჩვიდმეტ ჩატარებულ მატჩში ერთხელ უკვე გაიმარჯვეს (წლეულს, 8 აგვისტოს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ნაკრები 2:1 დაამარცხეს). აი, ასეთი მეტოქე ჰყავს დღეს საქართველოს ნაკრებს და, ალბათ, მართლაც, დროა, რომ ჩვენი უპირველესი გუნდის ოთხმატჩიანი წარუმატებელი სერიაც შეწყდეს...

**გია ტუხაშვილი**

## ყველა ქართულ-მალტური დაპირისპირება სანაკრებო მატჩები

**საერთაშორისო ტურნირი**
**მალტა-საქართველო 0:1**

10.02.94. ლა ვალეტა. ტა ქალი.
12 000 მაყურებელი

0:1 ქეცბაია (16. პენალტით)

მალტა: კლუეტი, ბუჰაჯარი (31. სალიბა), კამილერი, გუჩი (46. გალეა), ბრინკატი, ბუტიგეგი, გრეგორი, ველა, სპიტერი (74. კარდონა), ლაფერლა, სკერი.

საქართველო: ზოიძე - ზ. რევიშვილი, ცხადაძე, შელია (75. ბერაძე), კუდინოვი (75. სიდამონიძე) - ყაველაშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია - ქინქლაძე - ყიზილაშვილი.

*მთავარი მწვრთნელი:* ალექსანდრე ჩივაძე

*კაპიტანი:* კახა ცხადაძე

გაფრთხილება: სპიტერი, ცხადაძე, შელია ყაველაშვილი

არბიტრი: დ. იამსეკი (სლოვენია)

**ამხანაგური მატჩი**
**საქართველო-მალტა 1:1**

19.07.94. თბილისი. ეროვნული.
35 000 მაყურებელი

0:1 სპიტერი (33), 1:1 შ. არველაძე (37-პენ)

საქართველო: ზოიძე - ზ. რევიშვილი, ნემსაძე, შელია, გ. ჯიშკარიანი - რ. არველაძე, ინალიშვილი (46. ყაველაშვილი), ჯამარაული, ტულუში (46. ა. არველაძე) - ქინქლაძე - შ. არველაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ალექსანდრე ჩივაძე

*კაპიტანი:* გოჩა ჯამარაული

მალტა: კლუეტი, ბუჰაჯარი (85. ე. კამილერი), ჯ. კამილერი, სალიბა, გალეა, ველა, ბუტიგეგი, კარაბოტი, კ. ბუზუტილი, ლაფერლა, სპიტერი (55. ა. ბუზუტილი, 76. სუდა).

გაფრთხილება: ნემსაძე, ჯ. კამილერი, ჯამარაული

არბიტრი: უ. მაიერი (შვეიცარია)

**საერთაშორისო ტურნირი**
**მალტა-საქართველო 1:3**

08.02.98. ლა ვალეტა. ტა ქალი.
2 500 მაყურებელი

0:1 ყაველაშვილი (13), 1:1 ოვერენდი (58), 1:2 ჯამარაული (71), 1:3 ყაველაშვილი (74)

მალტა: მუსკატი, ოვერენდი, ჩეტკუტი, სიქსმისი, სანტი (46. სუდრა, 76. კარაბოტი), ზაჰრა, ბრინკატი, ტერნერი, სალიბა (64. გიგლიო), აგიუსი (83. სულთანა), ნვოკო.

საქართველო: გვარამაძე - ჩიხრაძე (46. იაშვილი), შელია, სილაგაძე (79. ცქიტიშვილი), კალაძე (79. ხვადაგიანი) - შეყილაძე, ჯამარაული (77. გახოკიძე), ნემსაძე, ქეცბაია - ქინქლაძე - ყაველაშვილი.

*მთავარი მწვრთნელი:* ვლადიმერ გუცაევი

*კაპიტანი:* გიორგი ნემსაძე

გაფრთხილება: ბრინკატი, ჩეტკუტი, გიგლიო; ჩიხრაძე, შელია, ქეცბაია, სილაგაძე, გახოკიძე

არბიტრი: რ. ზედლაჩეკი (ავსტრია)

**ამხანაგური მატჩი**
**მალტა-საქართველო 0:2**

01.03.06. ლა ვალეტა. ტა ქალი.
2 000 მაყურებელი

0:1 მარცვალაძე (9), 0:2 კანკავა (18)

მალტა: ჰარი, ბრიფა, დიმეჩი, ველმანი, აზოპარდი, კამენზული (46. ბარბარა), მატოქსი (46. კოენი), სიანტარი, მალი, მიფსუდი, აგიუსი.

საქართველო: ნ. რევიშვილი - მჭედლიშვილი (55. ბუალავა), ლვინიანიძე, გ. ფოფხაძე, ცქიტიშვილი - კანკავა, განუგრავა, დ. მუჯირი (61. კ. მახარაძე), კობიაშვილი - მარცვალაძე, რ. გოცირიძე (82. გ. ნუგზარის ძე ჭელიძე).

*მთავარი მწვრთნელი:* კლაუს ტოპმიოლერი

*კაპიტანი:* ლევან კობიაშვილი

გაფრთხილება: აგიუსი, ფოფხაძე, კანკავა, კობიაშვილი, მახარაძე, რევიშვილი

გაძევება: კანკავა

არბიტრი: ვ. ბანარი (მოლდოვა)

**ამხანაგური მატჩი**
**მალტა-საქართველო 2:0**

12.08.2009. ლა ვალეტა. ტა ქალი

1:0 მიფსუდი (64), 2:0 მიფსუდი (74)

მალტა: მ. მუსკატი (46. ჰოგი) - ა. მუსკატი, საიდი, ა. აგიუსი, აზოპარდი (60. ფაილა) - პეისი, ჯ. აგიუსი (90. ფენეჩი), კოჰენი (83. ბაყადა), შემბრი (46. ვუდსი) - ამუტი (60. ბრაფა), მიფსუდი.

საქართველო: ლომაია - ლვინიანიძე (82. თ. ღონღაძე), გ. კაშია, ხიზანიშვილი, ფოფხაძე (85. სანაია) - ხმალაძე, ცქიტიშვილი (64. დევდარიანი), კობიაშვილი - სეთურიძე (68. მერებაშვილი), ყენია - დვალიშვილი.

*მთავარი მწვრთნელი:* ექტორ რაულ კუპერი

*კაპიტანი:* ლევან კობიაშვილი

გაფრთხილება: სამუტი - ხიზანიშვილი, დევდარიანი

არბიტრი: პ. კოლისი (კვიპროსი)

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**
**საქართველო-მალტა 1:0**

08.10.2010. თბილისი. ეროვნული.
35000 მაყურებელი

1:0 სირაძე (90+2)

საქართველო: რევიშვილი-სალუქვაძე, ასათიანი, ამისულაშვილი, კალაძე-ხიზანიშვილი, კობიაშვილი-მერებაშვილი (46. იაშვილი), ანანიძე (73. დაუშვილი), გოგუა-დვალიშვილი (46. სირაძე)

მალტა: ჰაბერი-ბრიფა, აგიუსი, კარუანა, მამო-კოენი (90. გრიმა), სიბერასი (69. რ. ფენეჩი), პეისი, ბაჯადა-მიფსუდი, შკემბრი (80. პ. ფენეჩი)

გაფრთხილება: ხიზანიშვილი (32), კოენი (56), შკემბრი (59), აგიუსი (65)

არბიტრი: ა. ბლექი (ჩრ. ირლანდია)



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

სავარაუდო ტრანსფერი



# ქვარაცხელია და ჰაპოელი არ გამოვიდა

ქუთაისის "ტორპედოს" პრესსამსახური გუშინ წერდა, რომ გუნდის ფორვარდმა **ვახტანგ კვარაცხელიამ**, შესაძლოა, ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელში" განაგრძოს კარიერაო.

"23 წლის ვახტანგ კვარაცხელია, რომლის ტრანსფერიც ქუთაისის „ტორპედოს" ეკუთვნის, ისრაელის ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელში" ისინჯება. ქართულ და ებრაულ კლუბთა სავარაუდო შეთანხმებით, ფეხბურთელი ახალ გუნდში ათთვიანი იჯარით გადავა" — იუწყებოდა "ტორპედოს" ვებგვერდი.

ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელი" ისრაელის წინა ჩემპიონატში მე-12 ადგილზე გავიდა, ახალდაწყებულში კი ორი ტურის მერე ერთი ქულა აქვს.

გუშინ საღამოს კი ცნობილი გახდა, რომ კვარაცხელიამ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ეს ტრანსფერი ჩაიშალა.

კვარაცხელია ქუთაისის „ტორპედოში" შარშან, სეზონის დაწყების შემდეგ გადავიდა "ვიტ ჯორჯიადან", მაგრამ ძირითადში ნაკლებად ხვდებოდა, რის გამოც დიდი ხანია, კლუბის დატოვება სურდა. "ტორპედოს" ხელმძღვანელებიც არ იყვნენ ამის წინააღმდეგნი.

კვარაცხელიას უმაღლეს ლიგაში დებიუტი 15 წლისას ჰქონდა „თბილისში", შემდეგ თამაშობდა ბათუმის „დინამოში", რუსთავის "ოლიმპში", ცხინვალის „სპარტაკში", ლიტვურ „ვეტრასა" და თბილისის „ვიტ ჯორჯიაში". საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ორჯერ ითამაშა და ევრო 2011-ის შესარჩევ თბილისურ შეხვედრაში ირლანდიასთან გაიტანა კიდეც.

სადაურსა სად...

# გვარიო, ბერძნებმა

## არადა, ხვიჩიას უნდა, ხვიჩია იყოს

რამდენიმე თვის წინ უცხო ქვეყნების ნაკრებებში მიწვეულ ქართველთა შორის კიდევ ერთი ჩვენებური, 17 წლის **გუგა ხვიჩია** აღმოვაჩინეთ. გუგა 1993 წელს დაიბადა, ქუთაისში გაიზარდა და ხონის „იმერეთის" საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა.

საბერძნეთში ხუთი წლის წინ მშობლებთან ერთად ჩავიდა. „პანათინაიკოსის" საფეხბურთო აკადემიაში სინჯებზე მისული მოეწონათ, აკადემიის მფლობელმა **ვასილის კარაფიალისმა** კი მენეჯერობა შესთავაზა.

აკადემიაში 2007-09 წლებში ვარჯიშობდა, საიდანაც კარაფიალისმა კლუბ „გლიკანერაში" გადაიყვანა, სადაც ექვსი თვე დუბლშემადგენლობაში თამაშობდა, შემდეგ კი - ძირითად გუნდში.

გასული წლის ზაფხულში საბერძნეთის 18-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **პეტროს ციგულისმა** მიიწვია, 5 ამხანგური შეხვედრა ჩაატარა და ხუთივე ძირითადში: ორჯერ კვიპროსელ თანატოლებთან, სამჯერ ბერძნულ გუნდებთან.

სწორედ ამ დროს მოსთხოვეს გვარის გადაკეთება, რაც საბერძნეთში ჩვეულებრივი ამბავია – გავიხსენოთ ამ ქვეყნის სახელით მოასპარეზე არაერთი ქართველი სპორტსმენი. ხვიჩიებმა შეთავაზებაზე უარით თქვეს და ახალგაზრდა ქართველს კლუბთან პრობლემები. შეექმნა

არადა, ეს მაშინ მოხდა, როდესაც სატრანსფერო ფანჯარა დახურული იყო და ველარაფერი მოახერხა. ხვიჩია საბერძნეთის მოქალაქე არ არის, მაგრამ იქ ჩასვლისა და თამაშის უფლება აქვს.

გუგა ზაფხულში ახალ გუნდში ჩაირიცხა: "არაის ვულასთან" ექვსი თვით გავაფორმე კონტრაქტი და თუ გადაწყვეტენ, ექვსი თვის მერე იმავე ვადით გავახანგრძლივებთ.

მქონდა სხვა წინადადებებიც: "პანათიანიკოსისა" და აეკ-ის ახლაგაზრდულ გუნდებში მიწვევდნენ, მაგრამ მთავარი გუნდი ვამჯობინე — დიდებთან თამაშით ბევრად მეტ გამოცდილებას შევიძენ. თანაც, "არაის ვულას" პირველ ლიგაში გადასვლა უნდა. საბერძნეთში ახლა ეკონომიკური კრიზისია, თუმცა ამ გუნდს არ უჭირს".

გუგას ჩვენთან არ იცნობენ და საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებშიც არ უთამაშია. ამბობს, რომ ახლა საბერძნეთის 19-წლამდელთა ნაკრებში გამოიძახეს: "საბერძნეთის 18-წლამდელების მერე 19-წლამდელებში ორ საკონტროლო შეხვედრაში ვითამაშე და 4 გოლი გავიტანე. ოფიციალურ მატჩებშიც სურდათ ჩემი გამოძახება, მაგრამ გვარის შეუცვლელად საბერძნეთის ნაკრების ოფიციალურ შეხვედრებში არ მათამაშებდნენ. დასაფიქრებლად დრო მოვითხოვე. ოჯახი წინააღმდეგია, განსაკუთრებით მამა, მეუბნება, მერე სულ აქაურობას შემორჩები. არადა, ასაკობრივ ნაკრებში თამაშით საქართველოს ნაკრებში მოხვედრის უფლებას არ ვკარგავ. საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელმა ირონიულად მითხრა, შენი ფეხით მოხვალო და არ მინდა, ასე მოხდეს.

არც დიდხანს გაჩერება მსურს, საბერძნეთში ეკონომიკური ვითარება აირია და საფეხბურთო კლუბების საქმეებიც ცუდად არის. ამიტომ გავაფორმე მოკლევადიანი კონტრაქტი, გუნდს რომ ფინანსურად გაუჭირდეს, სხვაგან წასვლა აღარ გამიჭირდება."

ხვიჩია საქართველოს სახელით თამაშზე ოცნებობს. ორი წლის წინ ამის შანსიც ჰქონდა, მაგრამ კლუბის მიზეზით ვერ გამოიყენა — მისით **გიორგი დევდარიანი** დაინტერესდა და დაუკავშირდა კიდეც, მაგრამ სეზონის მიმდინარეობისას ბერძნებმა დროულად არ გამოუშვეს და შეკრებაზე დაგვიანებით გამოცხადებულმა ველარ ივარჯიშა. მას მერე ნაკრებში არ გამოუძახებიათ.

გუგა ხვიჩია ათენში აეკ-ისა და თბილისის "დინამოს" შეხვედრას დაესწრო და შთაბეჭდილებებს გვიზიარებს: "ბერძნები გაკვირვებულები იყვნენ. იციან, რომ საქართველოში ფეხბურთი არც ისე განვითარებულია, კლუბებს უჭირთ და მიუხედავად მათი კლუბების კრიზისისა, "დინამოსგან" ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდნენ. მატჩამდე ამბობდნენ, რომ იოლი მეტოქე შეხვდათ, მერე კი სხვაგვარად ალაპარაკდნენ, ძლიერი გუნდი გყოლიათო.

ისე, აეკ-ი წლეულს ნამდვილად აღარ არის ისეთი ძლიერი, როგორიც ადრე იყო და შემდეგ ეტაპზე "დინამოს" გასვლის იმედი ამიტომაც მქონდა. გული დამწყდა, რომ ეს ასე არ მოხდა."



გუგა ხვიჩია

ზესტაფონი

# ახალმა მთავარმა ბიჭები გაახურა

„ზესტაფონის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, **გია გეგუჩაძის** ყოფილმა ასისტენტმა **გია ჭიაბრიშვილმა** კლუბის ბაზაზე მთავარი გუნდის ფეხბურთელებს რეზერვისტები დაუმატა, "მწვანეებად" და "წითლებად" დაყო და ტესტმატჩი ათამაშა.

"წითლები": მამალაძე, თ. გრიგალაშვილი, ონიანი (მნათობიშვილი), საჯაია (კობახიძე), კიკნაველიძე, გაჩეჩილაძე, გაგოშიძე (გარსევანიშვილი), ჭანკოტაძე (ლურსმანაშვილი), სარდალიშვილი, შარვაძე (ღირდალაძე), კვერნაძე.

"მწვანეები": მეშველიანი (იმერლიშვილი), ღონღაძე, მნათობიშვილი (ონიანი), კობახიძე (საჯაია), ელიავა, გორგიაშვილი, ბაბუნაშვილი, აფციაური (ჭანკოტაძე), ფიფია, დვალი, წინამძღვრიშვილი.

ფეხბურთელებმა ორი 30-წუთიანი ტაიმი ითამაშეს. "წითლებმა" ანგარიში მე-8 წუთზე გახსნეს - **კახა მეშველიანის** კარი **მიხეილ სარდალიშვილმა** აიღო, თუმცა პირველი ტაიმის ბოლომდე **ჯაბა დვალისა** და **თორნიკე აფციაურის** გოლებით უკვე "მწვანეები" დაწინაურდნენ.



გია ჭიაბრიშვილი

მეორე ტაიმშიც თამაში ორმხრივი იერიშებით წარიმართა, თუმცა მხოლოდ ერთი გოლი გავიდა — ბოლო წუთზე დვალმა კიდევ გაიტანა, დუბლი შეასრულა და "მწვანეებმა" 3:1 მოიგეს.

სხვადასხვა მიზეზით, არ უთამაშიათ **ირაკლი ძარიას, ალექსი ბენაშვილს** და **საბა ლომიას**. ისინი მოედანს უახლოეს დღეებში დაუბრუნდებიან.

ლეგიონერები



ჯაბა კანკავა



უჩა ლობჟანიძე

გატეხილი სახელის ამბავი

# კანკავა და ლობჟანიძე შეაქეს: ესენი ქართველებს არ ჰგვანანო

უკრაინულმა ინტერნეტგაზეთმა „ფუტბოლუამ" სიმბოლური ნაკრები იმ მოთამაშეთაგან შეადგინა, რომლებმაც ახალ კლუბში გადასვლის შემდეგ უკეთ წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები.

სიმბოლურში არა, მაგრამ მის სარეზერვო ვარიანტში დაასახელეს საქართველოს ნაკრების მცველი **უჩა ლობჟანიძე**, რომელიც დნეპროპეტროვსკის „დნიპროდან" კრივოი როგის "კრივბასში" განათხოვრების შემდეგ საკმაოდ კარგად ათამაშდა - „ფუტბოლუამ" 24 წლის ქართველი ჩვეულ, მარჯვენა მცველის პოზიციაზე დააყენა.

სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულში ქართველი ფეხბურთელების იმიჯი ისე წახდა, რომ ქართველი თუ შრომისმოყვარე გამოდგა, მათ "არატიპურ ქართველად" მოიხსენიებენ — სამწუხაროდ, მრავალი ასეთი უსიამოვნო მაგალითის გახსენება შეიძლება.

ბოლო ამბავი ასეთია — „კრივბასის" მთავარმა მწვრთნელმა **იური მაქსიმოვმა** ქართველი ლეგიონერები **უჩა ლობჟანიძე** და **ჯაბა კანკავა** ცუდად არ დაუხასიათებია, მაგრამ ზოგადად ქართველი ფეხბურთელები მოიხსენია აგდებით.

„პირველად ვხედავ ქართველ ფეხბურთელებს, კანკავას და ლობჟანიძეს, რომელთაც ვარჯიშიდან ვერ ვაგდებ. ნაკრების შეხვედრიდან დაბრუნებულები ორი დღის შემდეგ გუნდში ორ ტაიმს თამაშობენ, ვარჯიშის შემდეგაც რჩებიან და კიდევ იტვირთებიან. მაგრამ ცუდი ისაა, რომ ჯანი არ ჰყოფნით და ტრავმებს ხშირად ამიტომაც იღებენ" – ამბობს ზატულკო.

ძალიან კი გვინდა, რომ ქართველებზე კარგს ამბობდნენ და აქებდნენ, მაგრამ სამწუხარო რეალობა ასეთია – ჩვენი ფეხბურთელები სიზარმაცისა და ნიჭის გაფლანგვის სიმბოლოდ იქცნენ.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორტმუნდის ბორუსია

# კლოპის ახალი შეფი

## გიუნდოგანმა თავის თავზე მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს




იურგენ კლოპს ილქაი გიუნდოგანის იმედი აქვს

შვიდი ქულა ოთხი ტურის შემდეგ - ვერ ვიტყვით, რომ გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა დორტმუნდის „ბორუსიამ" ახალი სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ ვერც იმას დავიჩემებთ, რომ „შავ-ყვითლებმა" კატასტროფული სტარტი აიღეს. შედეგი, რომელიც **იურგენ კლოპის** მრავალგზის ნაქებმა სამწყსომ ოთხი ტურის შემდეგ დადო, ნორმალური, მისაღებია. ფაქტია, დორტმუნდელები ამ ოთხ თამაშში ვერ დომინირებდნენ ისე, როგორც გასულ სეზონში, როცა პირველი და მეორე წრეები ერთი ამოსუნთქვით ჩაატარეს. ერთადერთი მატჩი, რომელშიც „ბორუსიამ" ახალ სეზონში იფრინა, „ჰამბურგთან" 3:1-ზე მოგებული შეხვედრა იყო. ოთხი ტურის შემდეგ კი „ჰამბურგი" ბოლო ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ BVB-ს ვერც ამ გუნდთან ნაჩვენებ კარგ ფეხბურთს ჩავუთვლით აქტივში. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ სანაკრებო პაუზამ კლოპს და მის შეგირდებს სულზე მოუსწრო.

ოთხი ტურის შემდეგ სერიოზული დასკვნების გაკეთება, რა თქმა უნდა, სისულელეა, მაგრამ არის რაღაც-რაღაცები, რაც აშკარად ჩანს და რაზეც ხაზის გასმა უკვე შეიძლება. მაგალითად: ამ სეზონში „ბორუსიას" მეტოქეები გაცილებით ნაკლებს აბედვინებენ, რაც იმის შედეგია, რომ გერმანულმა გუნდებმა კლოპის ტაქტიკა-სტრატეგიას დაუმულამეს. ფაქტია, რომ გუნდები „ბორუსიას" კომბინაციებს უფრო იოლად შლიან, მასირებულ იერიშებს უფრო კარგად უმკლავდებიან და დორტმუნდელ ფეხბურთელებს გაცილებით ხისტადაც ეთამაშებიან.

*„ეს ყველაფერი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ლოგიკურია, რომ კონკურენტებმა უკვე კარგად შეგვისწავლეს და ახლა ძველებური ტაქტიკა-სტრატეგიით წარმატების მიღწევა გვიჭირს. ეს იმას ნიშნავს, რომ უმოქმედოდ არ უნდა ვიყოთ და არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ შარშანდელი ფეხბურთით წელსაც გერმანიის ჩემპიონები გავხდებით. ამ შემთხვევაში სტილის შეცვლა ნამდვილად არ არის საჭირო. უბრალოდ, უფრო მოქნილი სქემით, უფრო მოქნილი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ. ბევრი რამ უნდა შევცვალოთ,"* - ამბობს დორტმუნდელთა 44 წლის დამრიგებელი იურგენ კლოპი.

გერმანელი ექსპერტების აზრით, რასაც კლოპიც ეთანხმება, ამ ყველაფრისთვის იურგენის ერთ-ერთი უმთავრესი იარაღი „ბორუსიას" 20 წლის ახალწვეული, ზაფხულში „ნიურნბერგიდან" ნაყიდი ნახევარმცველი **ილქაი გიუნდოგანია.** ეს უკანასკნელი „შავ-ყვითლებმა" იმისთვის იყიდეს, რომ „რეალში" გადასული **ნური შაჰინი** შეეცვალა. თუმცა გიუნდოგანი ცოტა უფრო სხვა სტილის კრეატიული საყრდენი ნახევარმცველია, რომელსაც „ბორუსიას" თამაშის კონტროლი ღრმა ნახევარდაცვიდან შეუძლია.

*„გიუნდოგანზე მართლაც ბევრი რამ არის დამოკიდებული და მე დარწმუნებული ვარ, რომ მას შეუძლია, ჩვენი მთავარი იარაღი იყოს. გადამწყვეტ მომენტებში მოედნის ცენტრში პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას სწორედ ილქაის ვთხოვ, რადგან მას აქვს მატჩების ბედის გადაწყვეტის პოტენციალი,"* - აცხადებს კლოპი.

იურგენის სიტყვები ისე ჟღერს, რომ აშკარაა: კლოპი გიუნდოგანს ლიდერის ფუნქციებს აკისრებს. ბოლო მატჩში, რომელიც დორტმუნდელებმა ვიცე-ჩემპიონ „ლევერკუზენთან" ფრედ 0:0 დაასრულეს, გიუნდოგანმა მეორე ტაიმში შესანიშნავად ითამაშა – ოღონდ, ეს მას მერე, რაც მსაჯმა მოედნიდან ლევერკუზენელი **მიხალ კადლეცი** გააძევა. ახალგაზრდა ნახევარმცველი სხვა შემტევებს ჩინებული პასებით ამარაგებდა. შესაბამისად, „ბორუსიას" ფანებს გაუჩნდათ იმის იმედი, რომ შაჰინის წასვლით შექმნილ სიცარიელეს BVB-ში სწორედ ილქაი გიუნდოგანი ამოავსებს. შაბათს, ბუნდესლიგის მე-5 ტურში „ბორუსია" „ჰერტას" ხვდება და ვნახოთ, როგორ ითამაშებს კლოპის „ახალი შეფი".

ვეტერანი




მიხაელ ბალაკს ლევერკუზენში სკამს ახეხვინებენ

# ბალაკი არ ნებდება

## მიხაელი კარიერის დამთავრებას ჯერ არ აპირებს

რაკი **მიხაელ ბალაკს** „ლევერკუზენში" სათადარიგოთა სკამს ახეხვინებენ, გერმანიაში ბევრმა იფიქრა, რომ 34 წლის ნახევარმცველი აქტიური სპორტული კარიერის დასრულებაზე დაფიქრდებოდა, მაგრამ ფეხბურთელი არ ნებდება. *„ფეხბურთის თამაშს მანამდე არ შევწყვეტ, სანამ არ ვიგრძნობ, რომ მეტი აღარ შემიძლია. ვითამაშებ და მაქსიმუმს გავაკეთებ მანამდე, სადამდეც სხეული მომყვება,"* - განუცხადა ბალაკმა ინგლისურ გაზეთ „მეილ ონ სანდეის".

მიხაელი აღიარებს, რომ ბოლო დროს კარიერის დასრულებაზე ხშირად ფიქრობდა, მაგრამ ყოველთვის იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ ჯერ ადრეა. *„ამერიკიდან თუ არაბეთიდან არაერთი შემოთავაზება მივიღე, მაგრამ მე ფული არ მჭირდება. საკმარისად მდიდარი ვარ იმისათვის, რომ მხოლოდ სპორტზე ვიფიქრო და ფულის გამო სადმე ცხრა მთას იქით არ გადავიხვეწო. ჩემთვის ყველაზე მთავარი ფეხბურთის თამაშია და თანაც, მაღალ დონეზე. სანამ ვიცი, რომ ეს შემიძლია, ბუცებს ლურსმანზე არ ჩამოვკიდებ,"* - აღნიშნა ბალაკმა.

შეგახსენებთ, რომ მიხაელის „ლევერკუზენი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მის ექსკლუბ „ჩელსისთან" ერთად მოხვდა, რაც ბალაკს ძალიან უხარია: *„მას მერე, რაც ლონდონიდან წამოვედი, ყოფილ თანაგუნდელებთან და გულშემატკივრებთან გამომშვიდობების შანსი არ მომცემია და მიხარია, რომ ჩემპიონთა ლიგაში ამის შანსი მომეცემა. „ჩელსის" ფანებს ძალიან ვემადლიერები."*

ბაიერნი

# რობენი: ახალი კონტრაქტი? ვიფიქრებ!

## ჰოლანდიელი ჰიონესის ზარს ელოდება

გუშინდელ ნომერში „ბაიერნის" პრეზიდენტ **ული ჰიონესის** განცხადებები გაგაცანით, რომელთაგან ერთ-ერთში რეკორდმაისტერის პრეზიდენტი ამბობდა, **არიენ რობენთან** ახალი კონტრაქტის გაფორმება გვინდა, ამ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია და ახლო მომავალში ჰოლანდიელს კონკრეტული წინადადებით მივმართავთო. მიუნხენური გრანდის ბოსების სურვილი გასაკვირი არ არის, რადგან მართალია, რობენს „ბაიერნთან" კონტრაქტი 2013 წელს უმთავრდება, მანამდე კი ორი წელია, მაგრამ თუ ახლავე არ გაუგრძელეს, გაისად ზაფხულში, რობენის ყიდვას ბევრი სუპერკლუბი ეცდება – იმიტომ, რომ რეკორდმაისტერი გაისად იძულებული იქნება, რობენი გაყიდოს, რათა 2013 წელს უფასოდ არ დაკარგოს.

ჰოლანდიელმა დრიბლიორმა ამ საკითხზე კომენტარი გუშინ გააკეთა. რობენმა აღნიშნა, რომ ახალი კონტრაქტის გაფორმება რეალურია. *„ხელმძღვანელებთან ამ თემაზე ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ მოლაპარაკებებისთვის მზად ვარ. მიუნხენში თავს შესანიშნავად ვგრძნობ, ჯერჯერობით აქ მართლა ბედნიერი ვარ,* - უთხრა არიენმა ჰოლანდიურ გაზეთ Voetbal International–ს და იქვე ცოტათი ორაზროვნადაც დასძინა, - *საერთოდ, ახალ კონტრაქტებზე მოლაპარაკებები უმეტესად შემოდგომაზე მიმდინარეობს ხოლმე. მოკლედ, დრო საკმარისია და ვნახოთ, რას შემომთავაზებენ შეფები. ზოგადად კი ფეხბურთში გამორიცხული არაფერია."*

### ჰაინკესი: რა დროს პენსიაა?

ბავარიული გრანდის მთავარი მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** „ბილდს" საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ მისცა, სადაც „დონ იუპი" ამბობს, პენსიაზე გასვლას ჯერ არ ვაპირებო – მიუხედავად იმისა, რომ უკვე 66 წლისაა. *„ლოგიკურად, სამწვრთნელო კარიერის დამთავრებაზე უნდა ვფიქრობდე და 2013 წელს პენსიაზე უნდა გავდიოდე, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა, ეს არ მინდა!"* - ამბობს ჰაინკესი ხსენებულ ინტერვიუში და შეგახსენებთ, რომ მას „რეკორდმაისტერთან" კონტრაქტი სწორედ 2013 წლამდე აქვს გაფორმებული.

*„თავის დროზე ვთქვი, „ლევერკუზენი" ჩემთვის ბოლო გაჩერება იქნებამეთქი, მაგრამ როგორც ხედავთ, დაპირება ვერ შევასრულე და ფეხბურთში მაინც დავრჩი. მართალია, კლუბში მუშაობა 66 წლის მწვრთნელისთვის უკვე ზედმეტად დიდი სტრესია, მაგრამ ამის გარეშე არ შემიძლია და თანაც, უმძიმეს წნეხს ჯერჯერობით კარგად ვიტან,"* - ამბობს „დონ იუპი".



არიენ რობენს (მარჯვნივ) მალე ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ

ჰანოვერი




მარკუს მილერი

# ისევ ჰანოვერი, ისევ დეპრესიული მეკარე!

## რობერტ ენკეს ტრაგედია გახსოვთ? ახლა მარკუს მილერსაც ფსიქოლოგიური პრობლემები და დეპრესიები აქვს...

„ჰანოვერის" 29 წლის მეკარე **მარკუს მილერი მირკო სლომკას** გუნდს გარკვეული დროის განმავლობაში ვერ დაეხმარება – არა ტრავმის ან დისკვალიფიკაციის გამო, არამედ იმიტომ, რომ მენტალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს. კიპერს, რომელიც ადრე „კარლსრუეს" ღირსებაც იცავდა და **ალექსანდრე იაშვილის** თანაგუნდელი იყო, დეპრესიაშია!

მილერი ახლა კერძო კლინიკაში მკურნალობს. ფეხბურთელმა, რომელსაც მეუღლე და ორი ვაჟი ჰყავს, კლუბს მისი განცხადების გავრცელება სთხოვა, სადაც შემდეგია ნათქვამი: *„გადავწყვიტე, გუნდის ხელმძღვანელებს, თანაგუნდელებს და ჩვენს გულშემატკივრებს ჩემი ავადმყოფობის შესახებ ვაცნობო. მენტალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების გამო გარკვეული დრო კლინიკაში უნდა გავატარო, რის გამოც „ჰანოვერს" ვერ დავეხმარები."*

„ჰანოვერის" მეკარე და დეპრესიები? ცხადია, მაშინვე **რობერტ ენკე** და მისი ტრაგედია გაგახსენდებათ. „ჰანოვერისა" და გერმანიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ 2009 წლის 10 ნოემბერს თავი მოიკლა, რის შემდეგაც გაირკვა, რომ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მძიმე დეპრესიაში იყო, რაც სუიციდამდე არავინ იცოდა. ახლა კი ფსიქიკური პრობლემები მის შემცვლელსაც აღმოაჩნდა და კიდევ კარგი, რომ ამის შესახებ ყველას გააგებინა. მარკუს მილერი „ჰანოვერმა" „კარლსრუედან" 2010 წლის ზაფხულში გადაიბირა, თუმცა მან „წითლების" ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ მოახერხა.

*„არც ისე დიდი ხანია, რაც მუდმივად ისეთი განცდა მაქვს, რომ ჩემს გუნდს ვერაფერში ვეხმარები. ბოლო დროს უმძიმეს წნეხს ვგრძნობ, რომელსაც ველარ ვუძლებ",* - აცხადებს მილერი თავის განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ მარკუსი ფსიქოლოგ და ფსიქოთერაპევტ **მარტინ ბრაუნთან** (გელზენკირხენში) დიდი ხანია მკურნალობს, ახლა კი მისი სტაციონარულ მკურნალობაზე გადაყვანა გახდა საჭირო – როგორც ჩანს, მდგომარეობა უფრო დამძიმდა.

*„მარკუსს ეყო გამბედაობა და თავისი ავადმყოფობის შესახებ საჯაროდ განაცხადა. მისი საქციელი დასაფასებელია! მინდა იცოდეს, რომ მის გვერდში ვდგავართ. მილერი ძალიან ძლიერი პიროვნებაა და დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერს გადაიტანს, მალე გამოჯანმრთელდება და კარიერას გააგრძელებს",* - ეს „ჰანოვერის" მთავარი მწვრთნელის, მირკო სლომკას სიტყვებია.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ინგლისის ნაკრები

# შეუცვლელთა ცვლილება



**ალბათ გახსოვთ, რომ ბულგარეთთან 3:0-ზე მოგებულ შეხვედრაში ინგლისის ნაკრების თავკაცმა ფაბიო კაპელომ "ჩელსის" შუახაზელი ფრენკ ლემპარდი მინდორზე გარეთ ბერის ნაცვლად მე-80 წუთზე შეუშვა. ამ დროისთვის მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ამის შემდეგ ბრიტანელმა ჟურნალისტებმა დასვეს შეკითხვა: კი, მაგრამ რას ნიშნავს ეს, ნუთუ ლონდონელი "არისტოკრატის" კარიერა ნაკრებში უკვე დასრულებულიაო?! ამ საკითხზე პოპულარულმა ინგლისელმა მესვეტეებმა საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირეს.**

**როზ დრეპერი (დეილი მეილი):**

"ლემპარდისთვის ეს შოკი იყო. მთელი მოსამზადებელი შეკრების განმავლობაში, მათ შორის თამაშის წინა დღესაც, ის სავარაუდო ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებთან ერთად იყო. ამბობენ, რომ ფრენკი სასტარტოში დაყენებას ელოდა, მაგრამ ასე რომ არ იყო, მწვრთნელისგან თამაშზე წასვლის წინ სასტუმროს ფოიეში შეიტყო. ასეთი რამ კაპელოს ახასიათებს. მას ლემპარდისთვის არაფერი აუხსნია. მსგავს მომენტებში ის ძალიან ემსგავსება იმ ადამიანს, ვინც "რეალს", "მილანსა" და "რომას" წარმატებები მოუტანა და ვინც ინგლისელებმა სწორედ იმისთვის დაიქირავეს, რომ ქვეყნისთვის ევრო 2008-ის სირცხვილი ჩამოერეცხა. იტალიელი ემსგავსება ძლიერ ადამიანს, ლიდერს, ვისაც სიტყვას ვერავინ უბრუნებს და ვისაც აქვს სამომავლო გეგმა".

**გარი ნევილი (დეილი მეილი):**

"ფრენკ ლემპარდი, ვინც სასტარტო შემადგენლობაში არ დააყენეს, ნაკრებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. მე ამას ვამბობ ფრენკისადმი დიდი პატივისცემის გათვალისწინებით. მას ნაკრებში მომავალი ჯერ კიდევ აქვს. აქ მთავარი ის არის, რომ ბოლოს და ბოლოს აღარ ვნერვიულობთ იმის გამო, რომ ჩვენი ვარსკვლავები ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდებიან და უკვე აღარ ხდება ისე, რომ რეგულარულად ერთსა და იმავე 11 ფეხბურთელს ვხედავთ მინდორზე. არ შეიძლება მუდმივად ხვდებოდე შემადგენლობაში. ის, რაც ხდება, ნორმალური მოვლენაა და ჩვენ ამას უნდა შევეგუოთ. ბოლო კვირის განმავლობაში რიო ფერდინანდი, ლუის სუარესი, კარლოს ტევესი და დიდიე დროგბა ვერ მოხვდნენ თავიანთი გუნდების სასტარტოში. ესაა თანამედროვე ფეხბურთი. ძირითადისთვის 11ფეხბურთელზე მეტი უნდა იყოს მზად. ფრენკი უნდა შეეგუოს ამას, რადგან მას ჯერ კიდევ შეუძლია მნიშვნელოვანი როლის თამაში მომავალ ზაფხულს ევრო 2012-ზეც და შემდგომ დიდ ტურნირებშიც. როტაცია ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. იმისთვის, რომ გუნდი მუდმივად მოგებული იყოს, აღარ არის საკმარისი 11 კარგი ფეხბურთელის ყოლა".

**რიჩარდ უილსონი (გარდიანი):**

"შეიძლება ისე მოხდეს, რომ კაპელომ ლემპარდის სამსახური კიდევ მოისურვოს და ის ძირითადში დააბრუნოს. რაკი კაპელომ ინგლისის ნაკრების ბანაკში ცვლილებათა სიო დაბერა, არანაირი აზრი აღარ აქვს წარსულის მოგონებებთან ჩაჭიდებას. გუნდი ხომ ევოლუციურად ვითარდება და თაობათა ცვლა მიდის. სათადარიგოთა შორის მჯდომი ლემპარდი, ნაკრებს მიღმა დარჩენილი 33 წლის რიო ფერდინანდი, არც 31 წლის სტივენ ჯერარდი აღარ შეიძლება იყვნენ დარწმუნებულნი ქვეყნის მთავარ გუნდში საკუთარ მომავალში – მიუხედავად იმისა, რომ ოდესღაც მათი ადგილი ამ გუნდში ეჭვქვეშ არავის დაუყენებია".

**ლევან ბიბილაშვილი**

● ლივერპული



# კარაგერი: კმაყოფილი ვარ

ჯეიმი კარაგერი: მგონია, რომ ყველაფერი კარგად უნდა წარიმართოს

თუკი "ლივერპულში" ვინმეს სიტყვა ეთქმის, პირველ რიგში ეს **ჯეიმი კარაგერია** - ფეხბურთელი, ვინც "წითლებს" 1996 წლიდან ემსახურება. ჟურნალისტებმა მას გუნდში მიმდინარე პროცესების შესახებ კომენტარი სთხოვეს. აი, რას ამბობს "ენფილდის" ცოცხალი ლეგენდა: *"როგორც წესი, როცა გუნდში ახალი მწვრთნელი მოდის, მშენებლობის პროცესი თავიდან იწყება. ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ხდებოდეს. რაფა ბენიტესის გუნდში მოსვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ პირველივე წელს ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ, რამდენიმე წელიწადი დაგვჭირდა იმის გასაცნობიერებლად, რომ ტოპკლუბებთან თანასწორად ჭიდილი შეგვეძლო. მიუხედავად წინა სეზონის კარგად დასრულებისა და მიმდინარეს დამაჯერებლად დაწყებისა, მაინც გამიჭირდება იმის მტკიცება, რომ ჩვენ უეჭველად მოვიგებთ პრემიერლიგას, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამისთვის ბრძოლა შეგვიძლია. მინდა მადლობა გადავუხადო მწვრთნელს, "ლივერპულში" დასაქმებულ მთელ პერსონალს, ასევე კლუბის მესაკუთრეებს იმისთვის, რომ ისინი ცდილობენ ცვლილებებს ფეხი აუწყონ, რომ ახალი და ახალი ფეხბურთელები გადაიბირონ. ჩვენ რამდენიმე ზედმეტი ფეხბურთელი მოვიშორეთ და ამის შემდეგ უკვე მიჩნდება შეგრძნება, რომ ყველაფერი კარგად უნდა იყოს".*

"ლივერპულის" ერთ-ერთმა ახალწვეულმა, 26 წლის **ჩარლი ადამმა** შოტლანდიისა და ჩეხეთის ნაკრებების შეხვედრაში 80-ე წუთზე ტრავმა მიიღო. სკოტების თავკაცი **კრეიგ ლევეინი** იძულებული გახდა, გუნდის ლიდერი შეეცვალა. შოტლანდიური პრესა ნაკრების ექიმებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ის დღეს ლიტვასთან მატჩს გამოაკლდება. ჩარლის ტრავმის ხარისხი ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ სავარაუდოა, რომ ის "ლივერპულის" "სტოკ სიტისთან" 10 სექტემბერს გასამართავ გასვლით შეხვედრაშიც არ იქნება. მერსისაიდელებს იმედი აქვთ, რომ შოტლანდიელი 18 სექტემბრისთვის მაინც ჩადგება მწყობრში, როცა მათ ლონდონში "ტოტენჰემთან" ურთულესი დაპირისპირება ელით.

**ლევან ბიბილაშვილი**

● გლადბახი

# როის, სადამდე?

გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ახალგაზრდა უნიჭიერესი გარემარბი **მარკო როისი** ბუნდესგუნდში სულ ხუთჯერ ჰყავს დაპატიჟებული და აქედან, 22 წლის ნახევარმცველმა ნაკრებში გამოცხადება ოთხჯერ უკვე იუარა. ცხადია, მიზეზი ყოველთვის ტრავმა იყო. „კიკერის" ცნობით, როისის ამჟამინდელი ტრავმა მოსალოდნელზე მძიმე აღმოჩნდა და მარკოს არა მარტო მომავალი უქმეების ლაზარეთში გატარება, არამედ საკმაოდ ხანგრძლივი იძულებითი პაუზაც ემუქრება.

*„ექიმები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ფეხზე დამაყენონ, მაგრამ ერთ-ერთი ნერვი ამის საშუალებას არ მაძლევს. იმედია, ოპერაცია საჭირო არ გახდება და ფეხბურთის თამაშს მალე განვაახლებ,"* - აცხადებს როისი, რომელმაც ჯერ არ იცის, როდის განაახლებს ვარჯიშს.

**გოტფრიდ ლენცი**

● არსენალი

# ახალი გერმანელი ემირიტსზე



*"არსენ ვენგერმა ფანტასტიკური არჩევანი გააკეთა, როცა პერ მერტეზაკერი შეიძინა,"* – განაცხადა "არსენალის" ყოფილმა მეკარე **იენს ლემანმა** თავის თანამემამულე ცენტრალურ მცველზე. ვეტერანმა "მეთოფეემ" დიდი როლი ითამაშა გერმანელი ფეხბურთელის ლონდონში გადაბარგებაში. პირველად ვენგერი მერტეზაკერით შარშან დაინტერესდა და "არსენალში" დროებით დაბრუნებულ ვეტერანს აზრი ჰკითხა გერმანელ ფეხბურთელზე - *"კარგი ფეხბურთელია, კარგი მცველი,"* – მიუგო ლემანმა. წინა კვირას ვენგერმა გაითვალისწინა იენსის რეკომენდაცია და "ვერდერს" გერმანიის ნაკრების 26 წლის მცველში 10 მილიონი ფუნტი გადაუხადა. ლემანს ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი, რომ მერტეზაკერი წარმატებულად იასპარეზებს პრემიერლიგაში. მერე რა, რომ ის არ ყოფილა "არსენალის" პირველი არჩევანი? "მეთოფეებმა" "ბლექბერნიდან" ჯერ **ფილ ჯონსის** შეძენა მოისურვეს, შემდეგ **კრისტოფერ სამბასი**, ამის მერე ყურადღება გადაიტანეს **ფილ ჟაგიელკაზე** "ევერტონიდან", ბოლოს კი **გარი კეჰილზე** "ბოლტონიდან" – ლონდონელებს არაფერი გამოუვიდათ.

მერტეზაკერის ანგარიშზეა 75 თამაში გერმანიის ნაკრებში. აქედან უმრავლესობა პერმა მაშინ ჩაატარა, როცა ნაკრების კარს იენს ლემანი იცავდა. ვეტერანი დარწმუნებულია, რომ მისი ყოფილი თანაგუნდელი უაღრესად სასარგებლო იქნება "არსენალის" სუსტი დაცვისთვის. ეს ხაზი ხომ ლონდონელთათვის წლების განმავლობაში ყველაზე პრობლემურად რჩება. ამის დასტურია პრემიერლიგის ბოლო ორი ტური, როცა გუნდმა 10 გოლი გაუშვა – ჯერ შინ "ლივერპულთან" 2, შემდეგ კი "ოლდ ტრეფორდზე" 8 "მანჩესტერ იუნაიტედისგან". ცხადია, რომ მერტეზაკერს უამრავი სამუშაო ექნება. ლემანი ფიქრობს, რომ მერტე ყველაფერს იოლად გაუმკლავდება, თუკი პრემიერლიგის ტემპსა და ინტენსიურ დატვირთვებს ალღოს აულებს. *"პერს მოუწევს ინგლისურ ფეხბურთთან შეგუება, განსაკუთრებულად - თამაშის ტემპთან. პრემიერლიგა ხომ ბევრად უფრო სწრაფია, ვიდრე ბუნდესლიგა. ბუნებრივია, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის ყველაფერს გაუმკლავდება. მერტეზაკერი სერიოზულად გააძლიერებს "არსენალს". მასთან კონტრაქტის გაფორმება მშვენიერი გადაწყვეტილება იყო როგორც კლუბის, ისე ფეხბურთელისთვის".*

თუკი მერტეზაკერი ნაკრების შეკრებიდან ლონდონში ჯანმრთელი დაბრუნდება, ახალი გერმანელის დებიუტი "სუონსისთან" "ემირიტსზე" შედგება.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ვერდერი

# საუბრები ფრიტცთან და ვიზესთან



მიუხედავად იმისა, რომ „ვერდერმა" დაცვის მთავარი ბურჯი **პერ მერტეზაკერი** დაკარგა (აყლაყუდა მცველი ლონდონის „არსენალში" გადავიდა), ბრემენული კლუბის სპორტულ დირექტორ **კლაუს ალოფსს** სჯერა, რომ „მუსიკოსები" ამ სეზონს კარგად ჩაატარებენ. კლაუსი დარწმუნებულია, რომ მიუხედავად მერტეზაკერის წასვლისა, „ვერდერს" ჰყავს შემადგენლობა, რომელსაც აქვს საკმარისი პოტენციალი იმისათვის, რომ სეზონი ცხრილის ზემო მესამედში დაასრულოს. ოთხი ტურის შემდეგ, ბრემენელები სულაც მესამე ადგილზე არიან.

ალოფსის მთავარი საზრუნავი ახლა წამყვანი ფეხბურთელებისთვის ახალი კონტრაქტების გაფორმებაა, რაც მან „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა. ახალი ხელშეკრულებების გაფორმება კი ალოფსს პირველ რიგში მარჯვენა მცველ **კლემენს ფრიტცთან** და მეკარე **ტიმ ვიზესთან** სურს, რომლებსაც კონტრაქტები სეზონის ბოლოს დაუმთავრდებათ. ისე, აღსანიშნავია, რომ „ვერდერთან" თვითონ ალოფსს და მთავარ მწვრთნელ **თომას შააფსაც** უმთავრდებათ.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012 საკვალიფიკაციო მატჩების წინ

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ყაზახეთი | 19:00 |
| ავსტრია-თურქეთი | 22:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 8 | 8 | 0 | 0 | 28-5 | 24 |
| 2. თურქეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-8 | 13 |
| 3. ბელგია | 8 | 3 | 3 | 2 | 16-11 | 12 |
| 4. ავსტრია | 7 | 2 | 1 | 4 | 12-16 | 7 |
| 5. აზერბაიჯანი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-19 | 4 |
| 6. ყაზახეთი | 7 | 1 | 0 | 6 | 3-17 | 3 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ირლანდია | 19:00 |
| მაკედონია-ანდორა | 22:00 |
| სლოვაკეთი-სომხეთი | 22:15 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 10-4 | 16 |
| 2. ირლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 11-6 | 14 |
| 3. სლოვაკეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 6-4 | 14 |
| 4. სომხეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 13-7 | 11 |
| 5. მაკედონია | 7 | 1 | 1 | 5 | 5-9 | 4 |
| 6. ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 1-16 | 0 |

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ფარერები | 22:30 |
| ესტონეთი-ჩრდ. ირლანდია | 22:30 |
| იტალია-სლოვენია | 22:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 7 | 6 | 1 | 0 | 15-1 | 19 |
| 2. სლოვენია | 8 | 3 | 2 | 3 | 10-6 | 11 |
| 3. სერბეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-9 | 11 |
| 4. ესტონეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-12 | 10 |
| 5. ჩრდ. ირლანდია | 7 | 2 | 3 | 2 | 7-4 | 9 |
| 6. ფარერები | 9 | 1 | 1 | 7 | 5-23 | 4 |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბოსნია-ბელარუსი | 22:15 |
| ლუქსემბურგი-ალბანეთი | 22:15 |
| რუმინეთი-საფრანგეთი | 22:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 11-3 | 16 |
| 2. ბოსნია | 7 | 4 | 1 | 2 | 10-7 | 13 |
| 3. ბელარუსი | 8 | 3 | 3 | 2 | 6-4 | 12 |
| 4. რუმინეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 8-2 | 11 |
| 5. ალბანეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-8 | 8 |
| 6. ლუქსემბურგი | 8 | 0 | 1 | 7 | 1-15 | 1 |

**E ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ფინეთი-ჰოლანდია | 21:00 |
| მოლდოვა-უნგრეთი | 21:45 |
| სან მარინო-შვედეთი | 22:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 7 | 7 | 0 | 0 | 32-5 | 21 |
| 2. შვედეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 21-8 | 15 |
| 3. უნგრეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 20-14 | 15 |
| 4. ფინეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 15-12 | 9 |
| 5. მოლდოვა | 7 | 2 | 0 | 5 | 8-13 | 6 |
| 6. სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 0-44 | 0 |

**F ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ხორვატია- ისრაელი | 22:00 |
| ლატვია-საბერძნეთი | 22:30 |
| მალტა-საქართველო | 22:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 9-3 | 17 |
| 2. ხორვატია | 7 | 5 | 1 | 1 | 13-4 | 16 |
| 3. ისრაელი | 8 | 4 | 1 | 3 | 10-8 | 13 |
| 4. საქართველო | 8 | 2 | 3 | 3 | 5-6 | 9 |
| 5. ლატვია | 7 | 2 | 1 | 4 | 6-9 | 7 |
| 6. მალტა | 7 | 0 | 0 | 7 | 3-16 | 0 |

**G ჯგუფი**

| | |
|---|---|
| შვეიცარია-ბულგარეთი | 22:30 |
| ინგლისი-უელსი | 22:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 6 | 4 | 2 | 0 | 14-3 | 14 |
| 2. ჩერნოგორია | 6 | 3 | 2 | 1 | 5-3 | 11 |
| 3. შვეიცარია | 5 | 1 | 2 | 2 | 7-7 | 5 |
| 4. ბულგარეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 2-9 | 5 |
| 5. უელსი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-9 | 3 |

**H ჯგუფი**

| | |
|---|---|
| დანია-ნორვეგია | 22:15 |
| ისლანდია-კვიპროსი | 22:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 6 | 4 | 1 | 1 | 15-7 | 13 |
| 2. ნორვეგია | 6 | 4 | 1 | 1 | 7-4 | 13 |
| 3. დანია | 5 | 3 | 1 | 1 | 4-3 | 10 |
| 4. კვიპროსი | 5 | 0 | 2 | 3 | 5-12 | 2 |
| 5. ისლანდია | 6 | 0 | 1 | 5 | 2-9 | 1 |

**I ჯგუფი**

| | |
|---|---|
| შოტლანდია-ლიტვა | 23:00 |
| ესპანეთი-ლიხტენშტაინი | 24:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 15-5 | 15 |
| 2. ჩეხეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-5 | 10 |
| 3. შოტლანდია | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| 4. ლიტვა | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 5 |
| 5. ლიხტენშტაინი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-10 | 4 |

**ბომბარდირები:**

10 - **კლაას-იან ჰუნტელაარი** (ჰოლანდია)
9 - **მიროსლავ კლოზე** (გერმანია)
7 - **მიკაელ ფორსელი** (ფინეთი)
6 - **რობინ ვან პერსი** (ჰოლანდია)
5 - **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (შვედეთი), **რობი კინი** (ირლანდია), **ტიმ მატავჟი** (სლოვენია), **დირკ კუიტი** (ჰოლანდია), **დერდეი რუდოლფი** (უნგრეთი).
4 - **ადამ სალაი** (უნგრეთი), , **მარიო გომესი** (გერმანია), **იოსი ბენაიუნი** (ისრაელი), **მარვინ ოგუნჯიმი** (ბელგია), , **დავიდ ვილია** (ესპანეთი), **ნიკო კრანჩარი** (ხორვატია), **კასპერ ჰამალაინენი** (ფინეთი), **კრიშტიანო რონალდო** (პორტუგალია), **მარკო არნაუტოვიჩი** (ავსტრია), **არდა თურანი** (თურქეთი), **ანტონიო კასანო** (იტალია), **მესუთ იოზილი** (გერმანია).

# გერმანია იქაა, რიგში ჰოლანდია, ესპანეთი და იტალიაა

## სტანკო საიუბილეოდ ემზადება, გლანმა დაცვას უნდა მიხედოს

დღეს ევროპის კონტინენტზე ევრო-2012-ის 23 შესარჩევი მატჩი გაიმართება, რომელთა შემდეგაც, შესაძლოა, კიდევ რამდენიმე ნაკრები გამოვლინდეს, რომელთაც ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება ექნებათ. კიდევ იმიტომ ვთქვით, რომ გასულ პარასკევს შესარჩევ ციკლში პირველმა გუნდმა მოიპოვა პოლონეთ-უკრაინის საგზური - გერმანიის ნაკრებმა. **იოახიმ ლიოვს** ბრწყინვალე ნაკრები ჰყავს, რომელმაც 8 თამაშიდან ყველა მოიგო და 24 ქულით მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა. დღეს უმოტივაციო გერმანია პოლონეთს სტუმრობს, სადაც ევროპის ჩემპიონატისთვის მოთელვას გაივლის, ფინალური ეტაპის დაწყებამდე 10 თვით ადრე.

კიდევ რომელ გუნდებს შეუძლიათ საგზურის დღესვე მოპოვება? მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ესპანეთს ამისთვის ლიხტენშტაინის დამარცხებაც ეყოფა, ჰოლანდიელებს სტუმრად ფრე ჰყოფნით ფინელებთან მატჩში, ხოლო იტალიელებმა შინ უნდა მოუგონ სლოვენიელებს. ვფიქრობთ, სამივე ნაკრებისთვის დასახული ამოცანა სავსებით მიღწევადია.

„უემბლიზე" ინგლისისა და უელსის ნაკრებები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ეს ამ გუნდების 101-ე მატჩია, უელსელებს ინგლისში 1936 წლის მერე არ მოუგიათ. წინა ტურში აუტსაიდერებმა ჩერნოგორიის გუნდს მოუგეს და ამით **ფაბიო კაპელოს** ნაკრების საქმე გააკეთეს, რომელიც შინ გამარჯვების შემთხვევაში პრაქტიკულად გაინაღდებს საგზურს.

სერბეთის ნაკრები ფარერის კუნძულების გუნდს მასპინძლობს. ალბათ, ამ შეხვედრაზე ყურადღებას არ გავამახვილებდით, რომ არა ერთი დეტალი - სერბთა კაპიტანი **დეიან სტანკოვიჩი** ეროვნულ ნაკრებში მე-100 მატჩს ჩაატარებს და უეფას სპეციალურ მედალსაც მიიღებს. სხვათა შორის, მალტაზე **ლევან კობიაშვილი** 99-ედ ითამაშებს ეროვნულ გუნდში, კიდევ ერთიც და ის პირველი ქართველი ფეხბურთელი გახდება, რომელიც ასიანთა კლუბში შევა.

*„საოცარია. მე ყოველთვის დიდი სიხარულით ვთამაშობდი ეროვნულ ნაკრებში, როგორც სხვა ფეხბურთელები. უკვე ასი მატჩია? რა მალე გადის დრო, მე მხოლოდ მომდევნო თამაშზე ვცდილობ კონცენტრაციას და არ ვითვლი, თუმცა 100 მატჩის გამართვა ეროვნულ გუნდში ძალზე სასიხარულო და საამაყო რამაა"*, - განაცხადა მილანის „ინტერის" ნახევარმცველმა. სტანკოს 1998 წელს ჰქონდა კორეელებთან ამხანაგურ მატჩში დებიუტი, მან იმ შეხვედრაში დუბლი შეასრულა და საფეხბურთო სამყაროს ახალი ვარსკვლავის დაბადება ამცნო.

უკვე ვთქვით, რომ იტალიისა და სლოვენიის ნაკრებთა მატჩს გამორჩეული დატვირთვა აქვს - „სკუადრა აძურა" გამარჯვების შემთხვევაში ევრო-2012-ის კარს შეაღებს. „არტემიო ფრანკიზე" **ჩეზარე პრანდელი** საომარ შემადგენლობას გამოიყვანს და შეეცდება, კრიტიკოსების ჩაჩუმებას, რომელთაც „აძურას" ფარერებზე 1:0 მოგებული დაუწუნეს.

ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია ბუქარესტის ეროვნულ არენაზეც, სადაც რუმინეთის ნაკრები საფრანგეთისას მასპინძლობს, ჩვენ მომავალ მეტოქეს 2014 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო ბადეში. მასპინძელთა თავკაცი **რომან პიცურკა** დარწმუნებულია, რომ რუმინელები ამჯერად გაამწარებენ მეტოქეს. **ლორან ბლანის** გუნდს 12 მატჩია, რაც არ წაუგია, თუმცა თავად მწვრთნელი ძალიან ფრთხილობს. *„ჩვენი დაცვა ამ ბოლო დროს შეიცვალა და ეს მე ძალიან მაღელვებს"*, - განაცხადა ბლანმა.

ხორვატებს ჰაერივით სჭირდებათ ებრაელების დამარცხება „მაქსიმირზე", რომ როგორმე პირველი ადგილისთვის ბრძოლა მოუგონ ბერძნებს, ელინები თავის მხრივ ჩვენი იმედების მესაფლავეებს, ლატვიელებს ესტუმრებიან. მათ არ ეყოლებათ გარემარბი **სოტირიოს ნინისი**, რომელმაც მუხლი ისე დაიზიანა, 6 თვეს ვერ ითამაშებს. ტრავმა ნინისმა პარასკევს ისრაელში მიიღო, მას შემდეგ, რაც ებრაელთა კარში გამარჯვების გოლი გაიტანა.




არც „ლუჟნიკიზე" გასამართავი მატჩი დავივიწყოთ - მოსკოვში ერთმანეთს რუსეთისა და ირლანდიის ნაკრებები დაუპირისპირდებიან. რუსეთში ჩასული ირლანდიელები მედიასთან ურთიერთობას ერიდებოდნენ, თუ არ ჩავთვლით წინასამატჩო პრესკონფერენციას. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველ დაპირისპირებაში, დუბლინში რუსები 3:0 დაწინაურდნენ, **ჯოვანი ტრაპატონის** ბიჭები მხოლოდ ამის შემდეგ გამოცოცხლდნენ **რობი კინმა** და **შეინ ლონგმა** გოლებიც შეაგდეს, მაგრამ მატჩი მასპინძლებმა ველარ გადაარჩინეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


# ვარშტაინერი
## დროა გასინჯო განსაკუთრებული!

### გაიგრილეთ და გაიხალისეთ ზაფხული თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო გერმანული ლუდით




ზაფხულია და ალბათ ყველა თქვენგანს უფიქრია, რა საშუალებითაა შესაძლებელი გაიგრილოთ და გაიხალისოთ ცხელი და მომქანცველი დღეები, დაისვენოთ, გაერთოთ მეგობრებთან ერთად და უსახსოვროთ საკუთარ თავსა და საყვარელ ადამიანებს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები. ჭეშმარიტად გერმანული ხარისხის, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ლუდი „ვარშტაინერი" კი ამის შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა.

სასიამოვნოდ გაწონასწორებული რბილი, ახალი სვიის ტონი, უნიკალური, ოდნავ მომწარო გემო სწორედ ასე ახასიათებენ ლუდის მოყვარულები მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო პილსნერად აღიარებულ გერმანულ ბრენდ „ვარშტაინერს", ლუდს, რომელიც საქართველოში სულ რამდენიმე წელია გამოჩნდა, თუმცა უკვე თითქმის სამი საუკუნეა ინარჩუნებს უმაღლეს ხარისხს და უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს მასშტაბით, იქნება ეს ამერიკა, აფრიკა, ევროპა, აზია თუ ავსტრალია.

„ვარშტაინერი", „ნიკორას" ერთ-ერთი შვილობილი კომპანია „ინტრეიდის" ინიციატივით, 2008 წელს შემოვიდა საქართველოში და დღეს, ლუდის გურმანთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. „ვარშტაინერის" შეძენა როგორც „ნიკორას" საფირმო ქსელში, ასევე ქალაქის სხვა სუპერმარკეტებსა თუ მაღაზიებში საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასადაა შესაძლებელი.

ყველაფერი კი 1753 წელს დაიწყო. გერმანელმა ანტონიუს კრამერმა მიზნად დაისახა მოეხარშა გამორჩეული ხარისხის ლუდი, გადაელახა ყველა სირთულე და შეუძლებელი გაეხადა შესაძლებლად. მან შეძლო ეს წარმატებით განეხორციელებინა და ადგილობრივი ლუდი საერთაშორისო დონეზე ცნობილ პილსნერად აქცია.

დღეს, კრამერების ოჯახის მფლობელობაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ცნობილი, თანამედროვე და წარმატებული ლუდსახარშია ევროპაში. „ვარშტაინერის" ჯგუფში, მსოფლიოს მასშტაბით, 120-ზე მეტი შვილობილი კომპანია ერთიანდება, ლუდის ექსპორტი კი 60-ზე მეტ ქვეყანაში ხდება. „ვარშტაინერის" მფლობელობაშია რკინიგზის ხაზი, რომელიც მთელი მსოფლიოსათვის უზრუნველყოფს ოპტიმალური გადაზიდვის პირობებსა და უახლესი პროდუქტის მიწოდებას - შედეგად, ამერიკაში, აფრიკაში, ევროპაში, აზიასა თუ ავსტრალიაში მომხმარებელი ღებულობს ახლად ჩამოსხმულ, უმაღლესი ხარისხის „პილსნერ ვარშტაინერს".

დაუოკებელი სურვილი და მუდმივი სწრაფვა სიახლეების დანერგვისა და სრულყოფილებისაკენ, ერთგული და თავდადებული თანამშრომლებით დაკომპლექტებული გუნდი, კმაყოფილი მომხმარებლები მთელ მსოფლიოში - სწორედ ესაა ჩვენი ბიზნესის წარმატება, აცხადებენ ანტონიუს კრამერის შთამომავლები.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ გამორჩეული არომატით ვარშტაინერი მიეკუთვნება პრემიუმ კლასის ლუდებს და ჩვენი დროის ერთ?რთ საუკეთესო ბრენდადაა მიჩნეული განსაკუთრებულად გემრიელია უმაღლესი ხარისხის ძეხვეულთან დაგემოვნებისას.

ფრაზა: ის, ვინც ირჩევს „ვარშტაინერის" ბრენდს, ირჩევს მაღალ ხარისხს და რაც მთავარია, ეს არ არის მხოლოდ დაპირება, ეს რეალობაა. ასე რომ, დროა გასინჯოთ განსაკუთრებული!!!

R

რეპორტაჟების სპონსორია გერმანული ლუდი ვარშტაინერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

# ასე ამაყი არასოდეს ვყოფილვარ!

## დიდი სიხარული ფაჩულიას ტრავმამ გააფერმკრთალა

5 სექტემბერი

ლიტვა, კლაიპედა

**საქართველო-ბულგარეთი 69:79**

15:19, 22:15, 18:18, 14:27

2000 მაყურებელი

**მსაჯები:** ფაბიო ფაჩინი (იტალია), ოლივერ კრაუსე (გერმანია), ტომას იასევიჩუსი (ლიტვა)

| საქართველო | წთ | თ.ჩ. | თ.ჩ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *5. ვ. ბოისა | 18 | 1/4 | 25.0 | 1/4 | 25.0 | 0/0 | 0.0 | 1/4 | 25.0 | 2 | 3 | 5 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 3 |
| *7. ფაჩულია | 21 | 6/10 | 60.0 | 6/10 | 60.0 | 0/0 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 3 | 3 | 6 | 1 | 6 | 1 | 1 | 2 | 13 |
| *8. ცინცაძე | 19 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 1 |
| 9. შერმადინი | 10 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| *11. მარკოიშვილი | 37 | 6/12 | 50.0 | 5/9 | 55.6 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 1 | 2 | 3 | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 13 |
| 12. ჰეინსი | 30 | 6/12 | 50.0 | 3/5 | 60.0 | 3/7 | 42.9 | 0/2 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 | 0 | 0 | 1 | 15 |
| *13. სანიკიძე | 34 | 5/10 | 50.0 | 4/7 | 57.1 | 1/3 | 33.3 | 7/8 | 87.5 | 3 | 6 | 9 | 3 | 2 | 1 | 2 | 3 | 18 |
| 14. შენგელია | 28 | 3/7 | 42.9 | 3/5 | 60.0 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 4 | 5 | 2 | 2 | 2 | 1 | 3 | 6 |
| 15. ცქიტიშვილი | 3 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გუნდი | | | | | | | | | | 2 | 0 | 2 | | 1 | | | 0 | |
| ჯამი | | 27/56 | 48.2 | 22/40 | 55.0 | 5/16 | 31.3 | 10/17 | 58.8 | 12 | 22 | 34 | 13 | 22 | 6 | 4 | 17 | 69 |

| საქართველო | წთ | თ.ჩ. | თ.ჩ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.დაც. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. დ. ივანოვი | 34 | 6/13 | 46.2 | 6/12 | 50.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 2 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 5 | 12 |
| 5. კ. ივანოვი | 34 | 6/12 | 50.0 | 4/10 | 40.0 | 2/2 | 100.0 | 1/2 | 50.0 | 4 | 5 | 9 | 2 | 1 | 2 | 0 | 3 | 15 |
| *6. როულანდი | 33 | 9/15 | 60.0 | 4/9 | 44.4 | 5/6 | 83.3 | 2/3 | 66.7 | 0 | 2 | 2 | 4 | 4 | 2 | 0 | 3 | 25 |
| 7. კოსტოვი | 12 | 0/3 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/3 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| *8. ვიდენოვი | 32 | 1/6 | 16.7 | 0/1 | 0.0 | 1/5 | 20.0 | 6/6 | 100.0 | 1 | 3 | 4 | 7 | 3 | 1 | 0 | 3 | 9 |
| *9. მარინოვი | 29 | 4/8 | 50.0 | 3/4 | 75.0 | 1/4 | 25.0 | 0/0 | 0.0 | 2 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 2 | 9 |
| 10. ავრამოვი | 11 | 3/3 | 100.0 | 2/2 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 2/3 | 66.7 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 9 |
| 11. ზ. გეორგიევი | 4 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| 14. ბანევი | 7 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 |
| *15. ვარბანოვი | 4 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გუნდი | | | | | | | | | | 2 | 2 | 4 | | 2 | | | 0 | |
| ჯამი | | 29/ 62 | 46.8 | 19/ 39 | 48.7 | 10/ 23 | 43.5 | 11/16 | 68.8 | 13 | 20 | 33 | 19 | 17 | 6 | 0 | 20 | 79 |



საქართველოსნაკრების კალათბურთელებმა გმირობა ჩაიდინეს, გავიდნენ ევროპის ჩემპიონატის მეორე ეტაპზე. თან ლამაზი, გულიანი თამაშით. გუშინ ქალაქ კლაიპედაში უამრავი ქვეყნის წარმომადგენელმა დაინახა ქართული სული. მატჩის შემდეგ სლოვენიელებიც ჩვენთან ერთად ხარობდნენ, უკრაინელებიც, რუსებიც, ლიტველები კი ქართულად ცეკვავდნენ.

ეს ყველაფერი კი ქართველი კალათბურთელებისგან წამოვიდა: საოცარი მატჩი ჩაატარეს ბელგიასთან, შემდეგ რუსეთთან და სლოვენიასთან ბოლო წამებამდე კაცურად იბრძოლეს, ამას მოჰყვა უკრაინასთან მორიგი ეფექტური გამარჯვება და სწორედ ამის შემდეგ დიდი თუ პატარა ბულგარეთთან მატჩამდე ჯგუფიდან გასვლას გვილოცავდა.

სამწუხაროდ, კიდევ ერთი საოცარი რამ მოხდა – ყველასთვის მოულოდნელად ბულგარეთთან დავმარცხდით.

რატომ წავაგეთ, რითი გვაჯობა მეტოქემ, რატომ არ ითამაშა **გიორგი ცინცაძემ** ბოლო პერიოდში, ეს ყველაფერი თამაშის შემდეგ ალარავის ახსოვდა არც კალათბურთელებს, არც მწვრთნელს და არც დარბაზს გარეთ შეკრებილ ქომაგთა არმიას, რომელიც მოთამაშეებთან ერთად მეცხრე ცაზე იყო – საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა პირველი ჯგუფური ეტაპი გადალახა და ევროპის საუკეთესო 12 გუნდს შორის მოხვდა.

ემოციის გარეშე ვერ მიადევნებდით თვალს უკრაინა-ბელგიის მატჩისას სპეციალურ ლოჟებში მსხდარ ბულგარელ და ქართველ კალათბურთელებს. პირველები ბელგიას ქომაგობდნენ, ქართველები – უკრაინას. თუ უკრაინელები მოიგებდნენ, შემდეგ ეტაპზე ჩვენი გუნდი გადიოდა, თუ არა – სამეულში ბულგარეთი მოხვდებოდა. ქართველმა ქომაგებმა ორ საათში გადაწყობა მოასწრეს – თეთრი მაისურების ნაცვლად უკრაინის დროშის ფერებში (ყვითელ-ლურჯი) გამოეწყვნენ და ისე ქომაგობდნენ, თითქოს საქართველო ყოფილიყოს. ორი ქვეყნის მეგობრობამ შედეგი გამოიღო – უკრაინამ ბელგია გაანადგურა და მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე ბულგარელების სახეების დანახვის მიზნით მათ ლოჟაში რომ ავიხედე, არავინ დამხვდა. ქართველები კი ოვაციებით შეხვდნენ უკრაინის გამარჯვებას, ათასგვარი მადლობის შეძახილი გაისმა.

გამოგიტყდებით, ასე ამაყად თავი არასოდეს მიგრძვნია. მე ხომ იმ ნაკრებზე ვწერ, რომელიც ჯგუფიდან გავიდა. აკი გითხარით, ბულგარეთის გარდა ყველა მეტოქესთან ლამაზი თამაში აჩვენა.



კლაიპედაში პირველი ეტაპი ქართულად დასრულდა: უკრაინის მატჩის შემდეგ ქართველი კალათბურთელები გარეთ გავიდნენ და გულშემატკივრებთან ერთად გაიხარეს.

- უკრაინელები ვაჟკაცები არიან, ბოლომდე იბრძოლეს და დიდი საჩუქარი გაგვიკეთეს. საოცარი შეგრძნებაა. ევროპის ჩემპიონატზე პირველად ვართ და ვიცით, რომ მეორე ეტაპზე უფრო ძნელი იქნება. ყველაფრისთვის მზად ვართ! – თქვა **მანუჩარ მარკოიშვილმა** და უკრაინის მიკროავტობუსისკენ გაიქცა, საიდანაც იქაური ფედერაციის პრეზიდენტი, **ალექსანდრე ვოლკოვი** გადმოვიდა და მანუსგან მადლობა გულითადად მიიღო.

**ვიქტორ სანიკიძემ** ქართველ ხალხს ომახიანად მიმართა:

- ყველას ვულოცავ ამ წარმატებას. საქართველოს ნაკრები მეორე ეტაპზე გასვლას იმსახურებდა. წინ უფრო მეტი გამარჯვებები გველის!

გიორგი ცინცაძემ უკრაინისადმი მადლიერების სიტყვებით დაიწყო:

- დიდი მადლობა უკრაინას. სიტყვები არ მყოფნის სიხარულის აღსაწერად. რაც მთავარია – საქართველოს გაუმარ-ჯოს!

შესავალში გმირები ვახსენეთ. ალბათ, სხვა არც ერთი ქვეყნის წარმომადგენელი მოიქცეოდა, ისე, როგორც **ზაზა ფაჩულია:**

- მატჩის დასაწყისში კუნთი კი მტკიოდა, მაგრამ შევიხვიე და მეგონა პრობლემა არ შემექმნებოდა. თუმცა თამაშის მსვლელობისას ვიგრძენი, რომ რაღაც ჩაწყდა. მოედნიდან გავედი, მაგრამ ბოლო მეოთხედში, გუნდს დახმარება რომ დასჭირდა, მწვრთნელს ვუთხარი – მოედანზე გავალ, იქნებ შევძლო-მეთქი. გამოვედი, მაგრამ ტკივილმა იმატა და სათადარიგოთა სკამზე დავბრუნდი. კუნთის მყესი ორგანაა განყვეტილი, ერთგან 1 სმ-ზე, მეორეგან – 0.5 სმ-ზე. დაახლოებით ერთი თვე უნდა დავისვენო. არადა, რა ჯგუფი შეგვხვდა – ფინეთთან და მაკედონიასთან ძველი ანგარიშები მაქვს!

ნუ მიწყენთ, თუ ამ სტატიას სამი ერთნაირი ნიშნით დავასრულებ - !!!

**ვაჟა სიმონიშვილი**
კლაიპედადან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრობასკეტი 2011. ჯგუფური ეტაპი

# ფინეთის ახალი ისტორია

## ესპანური კურიოზი: 2 ქულა 10 წუთში

პოლონეთმა ისტორიული შანსი გაუშვა ხელიდან. მას თითქოს მარტივი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი - უნდა მოეგო ბრიტანეთის ნაკრებისთვის და მეორე ეტაპზე თამაშს გაინაღდებდა.

პოლონელებმა ეს შანსი წინა დღეს თურქეთის სენსაციურად დამარცხების შემდეგ მიიღეს. რა თქმა უნდა, ბრიტანეთთან იოლი მატჩი არ ელოდათ, რადგან მეტოქის რიგებში ბრწყინვალედ თამაშობდა ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი **ლუოლ დენგი**. მაგრამ წინა მატჩებში „ჩიკაგოს" ვარსკვლავი პარტნიორებისგან სათანადო მხარდაჭერას ვერ ღირსა და ამიტომაც, მხოლოდ პორტუგალიას მოუგო. ახლა კი დენგს არაფერში ჩამორჩა **ჯოელ ფრილენდი**. უფრო მეტიც, ბრიტანეთის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი სწორედ მან ითამაშა. ფრილენდის ანგარიშზე ჯამში 27 ქულა იყო და აქედან 14 მეოთხე მეოთხედში დააგროვა.

პირველი ტაიმის შემდეგ პოლონეთი 31:39-ს აგებდა, მაგრამ ბოლო მეოთხედის წინ ერთი ქულით დაწინაურდა - 56:55. ამის შემდეგ ქულა ქულაში თამაში წავიდა, თუმცა უფრო ხშირად წინ ბრიტანეთი იყო. საფინალო სირენამდე წუთითა და 23 წამით ადრე პოლონეთი 79:82-ს აგებდა, როცა ფრილენდისგან საბოლოო დარტყმა მიიღო - „უნიკახას" ფორვარდმა სამქულიანი ჩააგდო და დარჩენილ დროში პოლონელებმა ექვსქულიანი ჩამორჩენის გაბათილება ვერ შეძლეს, პირიქით, შვიდი ქულით წააგეს მატჩი - 81:88.

დენგი 28 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა. გარდა ამისა, მან და ფრილენდმა ორმაგი დუბლები შეასრულეს. მოკლედ, ამ დუეტის ანგარიშზე ჯამში 55 ქულა და 25 მოხსნა იყო. და კიდევ, ბრიტანეთმა მოხსნებში დაჩაგრა მეტოქე - 46:25.

პოლონეთის წაგებით მეორე ეტაპის საგზური თურქეთმა გაინაღდა და მისთვის აზრი დაეკარგა ესპანეთთან შეხვედრას. თავის მხრივ, არც პირენეელებს ჰქონიათ განსაკუთრებული მოტივაცია, რადგან პირველ ადგილს მათ ვერავინ შეეცილებოდა. ამიტომაც, სერჯო სკარიოლომ დასვენების საშუალება მისცა **პაუ გასოლს**. მიუხედავად ამისა, ესპანეთი ბოლო მეოთხედის წინ კომფორტული უპირატესობით იგებდა, მაგრამ უკანასკნელ 10-წუთეულში უცნაური ამბავი დაემართა - მხოლოდ ორი (!) ქულა ჩააგდო, თურქეთის მონაგარი კი 16 ქულა იყო და ჩვენმა მეზობლებმა მოულოდნელი, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს.

თუმცა ბოლომდე ვერ ვიტყვით, რომ ესპანეთისთვის ამ მატჩს მნიშვნელობა არ ჰქონდა - წაგების გამო სკარიოლოს გუნდი მეორე ეტაპზე მაქსიმალური ქულებით ვერ გადავიდა.

ლიტვის ნაკრებმა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, იოლად მოუგო ჯგუფის აუტსაიდერ პორტუგალიას. პირველი ორი მეოთხედი პორტუგალია ასე თუ ისე უმკლავდებოდა მასპინძელს და ერთხელ 17:2 გაქცევაც მოაწყო, რითაც პირველი ტაიმის მიწურულს სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა (33:34), მაგრამ მესამე მეოთხედის სტარტზე ლიტვამ ათი უპასუხო ქულა დააგროვა და შემდეგ მისი შეჩერება შეუძლებელი გახდა. აღსანიშნავია, რომ მასპინძლების სათადარიგოთა სკამმა ამ მატჩში 48 (!) ქულა დააგროვა, გარდა ამისა, ლიტვამ პირწმინდად მოიგო ფარი - 40:26.

### A ჯგუფი

**ბრიტანეთი-პოლონეთი 88:81**

**18:17, 21:14, 16:25, 33:25**

**ბ:** დენგი (28+14 მოხსნა+6 პასი), ფრილენდი (27+11 მოხსნა), რეინკინგი (9), კლარკი (7+10 მოხსნა), ლენზლი (7), არჩიბალდი (6+6 მოხსნა), ჯონსონი (2), ადეგბოიე (2).

**პ:** ბერიშა (19+5 პასი), კოშარეკი (15+8 პასი), ჰრიცანიუკი (15+7 მოხსნა), კელატი (14+5 მოხსნა), შევჩიკი (10+5 მოხსნა), ლეონჩიკი (6), ლაპეტა (2).

**ესპანეთი-თურქეთი 57:65**

**19:10, 19:25, 17:14, 2:16**

**ე:** მ. გასოლი (12+5 მოხსნა), რეიესი (11+6 მოხსნა), ფერნანდესი (11), იბაკა (9+8 მოხსნა), ნავარო (9), კალდერონი (5).

**თ:** პრელჯიჩი (18+5 მოხსნა), აშიქი (12+8 მოხსნა), თურქოგლუ (12), არსლანი (10+6 პასი), ილიასოვა (6+11 მოხსნა), ონანი (5+5 მოხსნა), კანტერი (2).

**პორტუგალია-ლიტვა 69:98**

**16:28, 19:13, 7:17, 15:27, 19:30**

**პ:** ანდრადე (16+5 მოხსნა), ტავარეში (14), ანდრადე (13), და სილვა (10+5 პასი), ევორა (8), სანტუში (9), მირანდა (5), ფონსეკა (3+5 მოხსნა), მინიავა (2).

**ლ:** იასიკიავიჩიუსი (14), პოჩიუსი (14), კაუკენასი (13), პოჩიუსი (11), კალნეიტისი (10), ვალანჩიუნასი (8+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ლავრინოვიჩი (8+7 მოხსნა), კაუკენასი (7), სონგაილა (6), იავტოკასი (3).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 4 | 1 | 404-364 | 9 |
| 2. ლიტვა | 5 | 4 | 1 | 429-374 | 9 |
| 3. თურქეთი | 5 | 3 | 2 | 385-333 | 8 |
| 4. ბრიტანეთი | 5 | 2 | 3 | 372-410 | 7 |
| 5. პოლონეთი | 5 | 2 | 3 | 401-424 | 7 |
| 6. პორტუგალია | 5 | 0 | 5 | 344-430 | 5 |

## თრილერი პირველი ადგილისთვის

იტალიამ და ისრაელმა ამ ტურამდე დაკარგეს მეორე ეტაპზე გასვლის შანსი, ამიტომაც მათი მატჩი უფრო პრესტიჟის საქმე იყო.

აღნიშნულ შეხვედრას სულაც არ ეტყობოდა, რომ მისი ბედი ოვერტაიმში უნდა გარკვეულიყო. სამი მეოთხედის შემდეგ ისრაელი 19 ქულით იგებდა - 79:60, მაგრამ ბოლო მეოთხედში ისეთივე უცნაურობა დაემართა, რაც ესპანეთს თურქეთთან შეხვედრაში. ამ გუნდმა ბოლო 10-წუთეულში პირველი ქულა საფინალო სირენამდე... 16 წამით ადრე ჩააგდო, როცა **მეკელმა** ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა და ისრაელი ორი ქულით გავიდა წინ - 80:78. საბოლოოდ, იტალიამ მაინც მიიყვანა საქმე ოვერტაიმამდე, სადაც ბოლო წამებამდე თანაბარი ანგარიში იყო. იტალიელთა ლიდერმა **ბარნიანიმ** 95:95-ზე პოტენციური გამარჯვების ტყორცნა ააცილა, რის შემდეგაც მანვე **გრინზე** აილო ჯარიმა. ამ უკანასკნელმა ორიდან ერთი ჯარიმა ჩააგდო და ეს საკმარისი აღმოჩნდა მატჩის მოსაგებად.

ასევე არაფერს წყვეტდა ლატვიისა და გერმანიის შეხვედრა. გერმანელებმა მაქსიმალურად მისცეს **დირკ ნოვიცკის** დასვენების საშუალება და მატჩის გმირი არა „დალასის" სუპერფორვარდი, არამედ **ჰაიკო შაფარციკი** გახდა.

ამ მცველმა 11 ქულა და 10 პასი მიითვალა, მაგრამ, რაც მთავარია, გამარჯვების სამქულიანი ჩააგდო. ეს ასე მოხდა: **კუკსიქსის** ორი ჯარიმით ლატვია 79:75 დაწინაურდა, რასაც შაფარციკმა სამქულიანით უპასუხა - 79:78. იქვე გერმანელებმა იმავე კუკსიქზე ჯარიმა აილეს და ლატვიელმა ორიდან ერთი ჯარიმა ჩააგდო. და კვლავ საკუთარ თავზე აილო თამაში შაფარციკმა, რომელმაც საფინალო სირენამდე 6 წამით ადრე შორიდან გაისროლა და გერმანიამ 81:80 მოიგო.

სამაგიეროდ, უპრინციპულესი იყო შეხვედრა საფრანგეთსა და სერბეთს შორის, რომელსაც ჯგუფის გამარჯვებული უნდა გაერკვია. ფრანგებს მატჩის წინ პრობლემები ჰქონდათ - ბოლო მომენტამდე უცნობი იყო, ითამაშებდა თუ არა **ტონი პარკერი**, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებდა. საბოლოოდ, „სან ანტონიოს" გამთამაშებელი მოედანზე გავიდა და მატჩის საუკეთესო მოთამაშეც გახდა.

მატჩმა გაამართლა მაყურებელთა მოლოდინი. მესამე მეოთხედში ფრანგების 9:1 გაქცევას თუ არ ჩავთვლით (ამ დროს **ვენსან კოლეს** გუნდი რვა ქულით გაიჭრა წინ), თამაში თითქმის სულ ქულა ქულაში მიდიოდა. ბოლო მეოთხედი სერბების ორქულიანი უპირატესობით დაიწყო: თუმცა საფრანგეთმა ექვსი უპასუხო ქულით ლიდერობა დაიბრუნა. ამ ათწუთეულში სერბეთმა მხოლოდ მესამე წუთის ბოლოსკენ აილო პირველი ქულა. ერთ წუთში კი **ტეოდოშიჩის** ჯარიმებით **ივკოვიჩის** გუნდი წინ გავიდა. მოკლედ, ასე მივიდნენ გუნდები მატჩის კულმინაციამდე. 80:80-ზე საფრანგეთს 10 წამი ჰქონდა ბოლო შეტევისთვის, მაგრამ პარკერმა საშუალო ტყორცნა ააცილა. ოვერტაიმი.

**კეშელის** ზუსტი სამქულიანით დამატებითი დროის შუაში სერბეთმა სამი ქულით მოახერხა წინ გასვლა. სირენამდე 33 წამით ადრე კი დიაოს ორმა ჯარიმამ საფრანგეთს ორქულიანი უპირატესობა მოუტანა, მაგრამ იქვე კეშელმა მატჩში თავისი მეშვიდე სამქულიანი ჩააგდო - 96:95. საფრანგეთს ზუსტად 24 წამი ჰქონდა, მაგრამ ადრე შეუტია: პარკერი სამწამიანში შევიდა, ორი ჯარიმის უფლება მოიპოვა და ორივე ჩააგდო. სერბეთს საკმარისი დრო ჰქონდა ბოლო შეტევის ორგანიზებისთვის და ჩანაფიქრი გამოუვიდა კიდეც, მაგრამ **სავანოვიჩმა** ფარქვეშიდან აცილება მოახერხა, რითაც საფრანგეთს გამარჯვება და ჯგუფში პირველი ადგილი აჩუქა.

### B ჯგუფი

**ისრაელი-იტალია 96:95 (ო)**

**27:26, 22:15, 30:19, 5:24, 12:11**

**ისრ:** პნინი (22), ბლუ (17), ელიაჰუ (16+7 მოხსნა), ჰალპერინი (10+5 პასი), კადირი (10+5 მოხსნა+4 პასი), გრინი (7), ნისიმი (7), ოჰაიონი (4), მეკელი (3+5 მოხსნა+4 პასი).

**იტა:** ბარნიანი (26+11 მოხსნა), გალინარი (19+5 მოხსნა), მანჩინელი (16+8 მოხსნა), ჰეკეტი (15+5 მოხსნა+5 პასი), ბელინელი (6), მორდენტე (5+4 პასი), ჩინჩარინი (5), დატომე (3).

**ლატვია-გერმანია 80:81**

**14:15, 19:18, 15:23, 32:25**

**ლ:** კუკსიქსი (27+6 მოხსნა), დაირის ბერტანსი (15), ფრეიმანისი (13+7 მოხსნა), მეიერსი (11), სელაკოვსი (5+5 მოხსნა), ბერტანსი (5), სტრელნიექსი (2), ბლუმსი (2).

**გ:** შაფარციკი (11+10 პასი), ბენცინგი (11), კამანი (11+7 მოხსნა), პლიაისი (11), ნოვიცკი (11), შტაიგერი (8), შულცე (6), შვეტჰელმი (4), ჰამანი (4), ჰერბერი (2), იაგლა (2).

**სერბეთი-საფრანგეთი 96:97 (ო)**

**25:24, 16:19, 23:19, 16:18, 16:17**

**სერ:** კეშელი (25), კრსტიჩი (22+4 პასი), ტეოდოშიჩი (11+7 პასი), რაშიჩი (11+3 ჩაჭრა), სავანოვიჩი (10+5 მოხსნა), მაჩვანი (6), პეროვიჩი (4+5 მოხსნა), მარკოვიჩი (3+6 პასი), ტეპიჩი (2), ბიელიცა (2).

**საფ:** პარკერი (24+6 ჩაჭრა), ბატუმი (18+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), დიაო (15+5 მოხსნა+5 პასი), ნოა (14+9 მოხსნა), სერაფინი (11), ჟელაბალე (11), კაუდი (4).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 5 | 5 | 0 | 438-391 | 10 |
| 2. სერბეთი | 5 | 4 | 1 | 432-386 | 9 |
| 3. გერმანია | 5 | 3 | 2 | 377-357 | 8 |
| 4. ისრაელი | 5 | 2 | 3 | 399-448 | 7 |
| 5. იტალია | 5 | 1 | 4 | 380-405 | 6 |
| 6. ლატვია | 5 | 0 | 5 | 385-424 | 5 |

## მაკედონიამ ფინეთის ისტორია დაწერა

ფინეთის სენსაციური გამოსვლა ბოლო ტურში გაგრძელდა. ჩერნოგორიასთან უპრინციპულეს შეხვედრაში სკანდინაველებმა მხოლოდ მეორე მეოთხედი ჩააგდეს, დანარჩენი სამი 10-წუთეულის განმავლობაში კი ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე, განსაკუთრებით მოხსნებში - 46:30, თანაც თითქმის ნახევარი (21) მეტოქის ფარზე მოდიოდა.

თუმცა ფინეთი მხოლოდ საკუთარ თავზე არ იყო დამოკიდებული. მისთვის აუცილებელი იყო დღის ბოლო შეხვედრაში მაკედონიას ბოსნიისთვის მოეგო.

მაკედონიამ ფინეთს ეს საჩუქარი გაუკეთა. ბოსნია სკანდინაველებისგან განსხვავებით, საკუთარ თავზე იყო დამოკიდებული და პირველ ტაიმში მას თითქმის ყველაფერი გამოსდიოდა გარდა ერთისა - ეს იყო მაკედონიის ლიდერების - **ანტიჩისა** და **მაკალების** ნეიტრალიზაცია. სწორედ მათ გადაწყვიტეს მატჩის ბედი მესამე მეოთხედში, როცა მაკედონიამ ექვსწუთიანი მონაკვეთი 14:0 მოიგო და ბოსნია ბოლომდე ვერ გამოვიდა ამ შოკიდან.

ანტიჩმა 15 ქულითა და 14 მოხსნით მორიგი ორმაგი დუბლი მიითვალა, მან და მაკალებმა კი ერთად 37 ქულა დააგროვეს.

ფინეთის შემდეგ ეტაპზე გასვლასთან ერთად, სენსაცია იყო ხორვატიის ნაკრების კრახი ჯგუფურ ეტაპზე. ჩემპიონატის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს გუნდი სამ მატჩს წააგებდა და ჯგუფში ჩარჩებოდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ხორვატია არ იყო მზად ამ ჩემპიონატისთვის. პერიოდულად **ვრანკოვიჩის** შეგირდებს კარგი თამაში გამოსდიოდათ. მაგალითად, გუშინ, მათ ბერძნების წინააღმდეგ 20-ქულიანი ჩამორჩენა სამ ქულამდე (63:66) დაიყვანეს, მაგრამ სტაბილურობა აკლდათ. ამ გმირობის შემდეგ ხორვატებს **ფოცისის** შეტევა გამოეპარათ, რომელმაც სამქულიანი ჩააგდო და, როგორც აღმოჩნდა, გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა მეტოქეს.

აღსანიშნავია, რომ ფოცისმა უფრო მეტი სამქულიანი მოათავსა კალათში, ვიდრე ხორვატთა ერთად აღებულმა 12-მა კალათბურთელმა. ბერძენმა ხუთი შორეული ტყორცნა ჩააგდო, ხორვატიამ - 17-დან მხოლოდ ოთხი. ასეთი სიზუსტით წარმატებაზე ფიქრი არარეალური იყო.

### C ჯგუფი

**ფინეთი-ჩერნოგორია 71:65**

**25:14, 11:26, 21:14, 14:11**

**ფ:** ლი (12), კოტი (11+8 მოხსნა), კოპონენი (10), ვირტანენი (9), სალინი (8+5 მოხსნა), კოივისტო (6), ჰაფი (6+8 მოხსნა), მუურინენი (5+6 მოხსნა), პანიკო (2+4 პასი), ნიკილა (2).

**ჩ:** პეკოვიჩი (16+6 მოხსნა), ბორისოვი (14), იერეტინი (9), ბიელიცა (7), დრაგიჩევიჩი (7), ვუჩევიჩი (4), კუკი (4), დაშიჩი (2), მიხაილოვიჩი (2+7 მოხსნა+4 პასი).

**საბერძნეთი-ხორვატია 74:69**

**25:13, 19:14, 14:18, 16:24**

**ს:** ფოცისი (17), ვასილეიადისი (17+5 მოხსნა), ბურუსისი (11), კალატესი (9+8 მოხსნა+4 პასი), ცისისი (9+4 პასი), კუფოსი (7), ბრამოსი (2+7 მოხსნა), კაიმაკოგლუ (2).

**ხ:** ბარაცი (14+6 მოხსნა), პოპოვიჩი (14+4 პასი), სიმონი (11+6 მოხსნა), ტომიჩი (10+5 მოხსნა), არდრიჩი (9+8 მოხსნა), ბოგდანოვიჩი (4), დრეიპერი (3+5 მოხსნა+5 პასი), ზორიჩი (2), სტიპჩევიჩი (2).



თურქეთმა ფავორიტი დაამარცხა

**მაკედონია-ბოსნია 75:63**

**16:17, 19:21, 18:7, 22:16**

**მ:** მაკალები (22+4 პასი), ანტიჩი (15+14 მოხსნა), გეჩევსკი (8), ილიევსკი (7+7 პასი+3 ჩაჭრა), ჩეკოვსკი (7), დ. სტოიანოვსკი (5+5 მოხსნა), ვ. სტოიანოვსკი (4+5 მოხსნა+4 ჩაჭრა).

**ბ:** ჯედოვიჩი (15+7 მოხსნა), ბაირამოვიჩი (12), ვასილევიჩი (9+7 პასი), ტელეტოვიჩი (8+7 მოხსნა), კიკანოვიჩი (5), დომერკანტი (5), იკონიჩი (5), გორდიჩი (4).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მაკედონია | 5 | 4 | 1 | 362-337 | 9 |
| 2. საბერძნეთი | 5 | 4 | 1 | 360-324 | 9 |
| 3. ფინეთი | 5 | 2 | 3 | 373-366 | 7 |
| 4. ხორვატია | 5 | 2 | 3 | 396-404 | 7 |
| 5. ბოსნია | 5 | 2 | 3 | 380-409 | 7 |
| 6. ჩერნოგორია | 5 | 1 | 4 | 357-388 | 6 |

## სასწაული ორ მეასედ წამში

მადლობა უკრაინას იმის გამო, რომ არ გვანერვიულა და დამაჯერებლად დაამარცხა ბელგია, რამაც მეორე ეტაპზე საქართველოს ნაკრები გადაიყვანა. თუმცა არა, პირველ მეოთხედში მაინც მოგვინია ნერვიულობამ, რადგან უკრაინამ მძიმედ დაიწყო ბელგიასთან მატჩი და მეტოქეს 16:4 დაწინაურების საშუალება მისცა. კიდევ კარგი, უკრაინელები დროულად მოეგნენ გონს. მათი 12:0 გაქცევა **კოლჩენკოს** სამქულიანით დაიწყო და ანგარიში მეორე მეოთხედის სტარტზე გათანაბრდა - 16:16. მატჩის ბედიც მეორე 10-წუთეულში გადაწყდა, რომელიც უკრაინამ 20 ქულით მოიგო და პრინციპში, დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო. **ფრატელოს** გუნდმა მხოლოდ ბოლო მეოთხედის მიწურულს მიუშვა ახლოს მეტოქე, როცა მატჩის ბედი დიდი ხანია გადაწყვეტილი იყო.

ისევე, როგორც საფრანგეთისა და სერბეთის შემთხვევაში, რუსეთისა და სლოვენიის დაპირისპირებაშიც ჯგუფის გამარჯვებული ირკვეოდა და თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სლოვენიამ პრაქტიკულად მოგებული მატჩი დაუთმო **დევიდ ბლატის** შეგირდებს.

პირველ ტაიმში სლოვენიელებმა გაცილებით უკეთესი კალათბურთი ითამაშეს და რაც მთავარია, შეაჩერეს რუსების ლიდერი **ანდრეი კირილენკო**, რომელმაც პირველ ტაიმში მხოლოდ სამი ქულა მიითვალა. შედეგად, პირველი ნახევარი **მალკოვიჩის** გუნდმა ექვსი ქულით მოიგო, თუმცა მეტიც შეეძლო, მაგრამ მის ყოველ გაქცევას რუსეთი ასე თუ ისე აბათილებდა.

რუსებმა მხოლოდ მესამე მეოთხედის შუაში დაალაგეს თამაში, ოღონდ არა კირილენკოს, არამედ **ვორონცევიჩის** დამსახურებით. შესაბამისად, სლოვენიელთა ექვსქულიანი უპირატესობისგან მეოთხედის ბოლოს მხოლოდ ორი ქულა დარჩა. თუმცა რუსეთმა წარმატების განვრცობა ვერ შეძლო და მთელი მეოთხე მეოთხედი წინ სლოვენია იყო. **ლაკოვიჩს** შეეძლო მშვიდად მოეტანა თავისი გუნდისთვის გამარჯვება, მაგრამ საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე ერთქულიანი უპირატესობისას მისი შორეული ტყორცნა მიზანს ასცდა. ბლატმა 7 წამით ადრე ტაიმ-აუტი აიღო და შეგირდებს აუხსნა, როგორ უნდა გაეთამაშებინათ ბოლო იერიში. ყველასთვის მოულოდნელად გადამწყვეტი სროლა **მონიას** ანდეს, რომელმაც მატჩის დასრულებამდე 0,2 წამით ადრე ჩააგდო გამარჯვების მომტანი ბურთი!

### D ჯგუფი

**სლოვენია-რუსეთი 64:65**

**19:16, 21:18, 15:19, 9:12**

**ს:** ლორბეკი (14+5 მოხსნა+5 პასი), ლაკოვიჩი (8), ოზბოლტი (8), სმოდიში (7), ზ. დრაგიჩი (7+6 მოხსნა), ბეგიჩი (6+6 მოხსნა), სლოკარი (5+7 მოხსნა), მურიჩი (5), გ. დრაგიჩი (4).

**რ:** ვორონცევიჩი (18+5 მოხსნა), ხრიაპა (10), კირილენკო (8), მოზგოვი (5), ფრიძონი (5), შვედი (5), ანტონოვი (4), ბიკოვი (5+5 პასი), მონია (3+7 მოხსნა), პონკრაშოვი (2+4 პასი).

**უკრაინა-ბელგია 74:61**

**13:16, 30:10, 13:13, 18:22**

**უ:** პეჩეროვი (15), კრავცოვი (13+16 მოხსნა), კოლჩენკო (10), ბერტი (9+4 პასი), ლუკაშოვი (8+6 პასი), ზაბირჩენკო (4), პუსტოზვონოვი (4), ლიშჩუკი (2), ლიპოვი (5), ფესენკო (2), სალტოვეცი (1).

**ბ:** ვან როსომი (17), ლოუერსი (13), მბენგა (9), დე ზეუვი (10+6 მოხსნა), ფეისონი (5+5 პასი), ვან დენ შპიგელი (5).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 5 | 5 | 0 | 371-321 | 10 |
| 2. სლოვენია | 5 | 4 | 1 | 356-324 | 9 |
| 3. საქართველო | 5 | 2 | 3 | 352-343 | 7 |
| 4. ბულგარეთი | 5 | 2 | 3 | 339-357 | 7 |
| 5. უკრაინა | 5 | 2 | 3 | 322-327 | 7 |
| 6. ბელგია | 5 | 0 | 5 | 304-372 | 5 |

### II რაუნდი

### E ჯგუფი

**7 სექტემბერი**

გერმანია-ესპანეთი (16:30)
თურქეთი-საფრანგეთი (19:00)
სერბეთი-ლიტვა (22:00)

**9 სექტემბერი**

ესპანეთი-სერბეთი (16:30)
გერმანია-თურქეთი (19:00)
ლიტვა-საფრანგეთი (22:00)

**11 სექტემბერი**

სერბეთი-თურქეთი (16:30)
საფრანგეთი-ესპანეთი (19:00)
ლიტვა-გერმანია (22:00)

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 173-161 | 4 |
| 2. სერბეთი | 2 | 1 | 1 | 171-161 | 3 |
| 3. ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 148-144 | 3 |
| 4. თურქეთი | 2 | 1 | 1 | 133-132 | 3 |
| 5. ლიტვა | 2 | 1 | 1 | 154-159 | 3 |
| 6. გერმანია | 2 | 0 | 2 | 129-151 | 2 |

### F ჯგუფი

**8 სექტემბერი**

საქართველო-მაკედონია (16:30)
ფინეთი-რუსეთი (19:00)
სლოვენია-საბერძნეთი (22:00)

**10 სექტემბერი**

საქართველო-ფინეთი (16:30)
მაკედონია-სლოვენია (19:00)
საბერძნეთი-რუსეთი (22:00)

**12 სექტემბერი**

სლოვენია-ფინეთი (16:30)
საბერძნეთი-საქართველო (19:00)
რუსეთი-მაკედონია (22:00)

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მაკედონია | 2 | 2 | 0 | 144-128 | 4 |
| 2. რუსეთი | 2 | 2 | 0 | 130-122 | 4 |
| 3. სლოვენია | 2 | 1 | 1 | 151-140 | 3 |
| 4. საბერძნეთი | 2 | 1 | 1 | 139-133 | 3 |
| 5. საქართველო | 2 | 0 | 2 | 133-152 | 2 |
| 6. ფინეთი | 2 | 0 | 2 | 131-153 | 2 |

გია თვალაბეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ჭიდაობა. მეტოქე

# კოლუაშვილი და ვაჩაძე ქართველთა პირისპირ

**მოჭიდავეთა მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ჩვენებურთა კიდევ ერთი სტრატეგიული მეტოქის - რუსეთის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების შემადგენლობა გაირკვა.**

ეს ჩვენთვის იმითაცაა საინტერესო, რომ სტრატეგიულობის გარდა, რუსთა ნაკრებს ქართველი მწვრთნელი **გოგი კოლუაშვილი** თავკაცობს, ხოლო გუნდის შემადგენლობაში ქართველი ფალავანიცაა - მსოფლიოს მოქმედი და ევროპის სამგზის ჩემპიონი **ამბაკო ვაჩაძე** (66), რომელიც **მანუჩარ ცხადაიასთვის** ერთ-ერთი მთავარი მეტოქე იქნება. ვაჩაძის გარდა, 12-18 სექტემბერს სტამბოლში ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი **ბეკხან მანკიევი** (55), იმავე ჯილდოს მფლობელი **ზაურ კურამაგომედოვი** (66), ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი **რომან ვლასოვი** (74), ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **ალან ხუგაევი** (84), **რუსტამ ტოტროვი** (96) და ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის ორგზის გამარჯვებული **ხასან ბაროევი** (120) იჭიდავებენ. ამ ფალავანთაგან რუსთათვის მთავარი შესარჩევ შეჯიბრებაზე - ქვეყნის პირველობაზე ვაჩაძესა და ბაროევს არ უჭიდავიათ, თუმცა კოლუაშვილი მაშინვე ამბობდა, რომ ისინი ამ წონებში მსოფლიოზე წასვლის უპირველესი კანდიდატები იყვნენ. თუმცა ამ გუნდის მთავარ მოულოდნელობად მაინც ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონ **ალექსეი მიშინის** ნაკრებს მიღმა დარჩენაა - ეტყობა, ვეტერანი ახალგაზრდა კონკურენტმა ხუგაევმა საბოლოოდ ამოაგდო ნაკრებიდან, რადგან ზედიზედ მეორედ გადაუღობა დიდი ტურნირისკენ მიმავალი გზა. წლევანდელი სეზონი მათი მძაფრი კონკურენციით წარიმართა - სამჯერ იჭიდავეს გადამწყვეტი შეჯიბრების ფინალში. პირველად ეს ივან პოდუბნის მემორიალზე მოხდა, რომელიც რუსებისთვის საევროპოდ მთავარი შესარჩევი შეჯიბრებაა. მაშინ ხუგაევმა იმარჯვა, ევროპაზეც წავიდა და ფინალამდეც გააღწია, სადაც მასავით ახალგაზრდა უკრაინელ **ვასილ რაშიბასთან** წააგო. ისინი ერთმანეთს მეორედ რუსეთის ჩემპიონატის გადამწყვეტ შეხვედრაში დაუპირისპირდნენ და მიშინმა რევანშიც აიღო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა სტამბოლის საგზურის განაღდებას - საამისოდ საჭირო იყო პოლონეთში, პეტლიასინსკის ტურნირზე კარგად გამოსვლა. კონკურენტები იქაც ფინალში გავიდნენ და დაძაბულ, უფრო ტაქტიკურ ჭიდაობაში ხუგაევმა იმარჯვა. იმ შეხვედრას აშკარად ეტყობოდა, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მონაწილენი. მსაჯთა გადაწყვეტილებით მიშინი უკმაყოფილოც დარჩა, თუმცა არბიტრთა დადანაშაულება ძნელია.

პეტლიასინსკის ტურნირმა გადაწყვიტა საკადრო დილემა 84-შიც. კრასნოიარსკში გამართული რუსეთის პირველობა მასპინძელთა გასახარად ადგილობრივმა ფალავანმა - **ნიკიტა მელნიკოვმა** მოიგო, თუმცა ის პოლონეთში მესამეზე გავიდა, ტოტროვი კი ჩემპიონი გახდა. იქ მათ ერთმანეთში არ უჭიდავიათ, მაგრამ არც იყო საჭირო - იმ ტურნირზე ტოტროვი ბევრად უკეთესად გამოიყურებოდა და არც კოლუაშვილს გასჭირვებია გადაწყვეტილების მიღება. არადა, მელნიკოვი ზედიზედ მეორედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, თუმცა ვერც ამჯერად მიიღო ნაკრებში ადგილი. შეგახსენებთ, რომ ტოტროვმა პოლონეთში ნახევარფინალში **ირაკლი ქაჯაია** დაამარცხა. იმედია, ჩვენი სამწვრთნელო ბანაკი გაითვალისწინებდა მაშინ დაშვებულ შეცდომებს, თუმცა ოსი ჯერ კიდევ იქ წარმოჩნდა ჩინებულ ფორმაში, მას შემდეგ კი უფრო მოუმატებდა. მან რუსეთის პირველობაზე პირწმინდად დაჩაგრა ყაბარდოელი ოლიმპიური ჩემპიონი **ასლანბეკ ხუშტოვი**, ოღონდ მაშინ ესეც ტრავმირებული ჭიდაობდა.

საინტერესოა ნაკრებში მანკიევის გამოჩენა. ის ოლიმპიურ ჩემპიონ **ნაზირ მანკიევის** უფროსი ძმაა და კოლუაშვილი ჯერ კიდევ შარშან წუხდა, ბეკხანი ნაზირზე უფრო ნიჭიერია, მაგრამ ტრავმების გამო თავისი შესაძლებლობების რეალიზებას ვერ ახერხებსო. მას ტრავმები რუსეთის პირველობაზე ჭიდაობისასაც აწუხებდა, მაგრამ როგორც თვითონ განაცხადა, პრობლემები მინიმუმამდე იყო დაყვანილი. ალბათ, ასეცაა, რადგან გამარჯვება არ გასჭირვებია. სამაგიეროდ, ტრავმების გამო ქვეყნის პირველობა მისმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ძმამ გამოტოვა. ბეკხან მანკიევმა საინტერესო პარალელი გაავლო ჩეჩენ ძმებთან, ოლიმპიურ ჩემპიონებთან **ბუვაისა და ადამ საიტიევებთან**. მანკიევები ეროვნებით ინგუშები არიან, თუმცა საიტიევების მსგავსად, ისინიც კრასნოიარსკში გადაბარგდნენ საცხოვრებლად უკეთესი სავარჯიშო პირობების გამო. ბეკხანმა გამოთქვა იმედი, რომ მათი ძმური წყვილიც ოლიმპიური ჩემპიონის რანგში დაასრულებს კარიერას. მით უფრო, საქმის ნახევარი უკვე გაკეთებულია - მანკიევი პეკინში დაეუფლა ამ ტიტულს. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მოჭიდავეა მათი მამიდაშვილიც - **რუსტამ ხუჩბაროვი**, რომელიც შარშან რუსეთის ჩემპიონი გახდა.

ჩვენი გუნდის ყველაზე ტიტულოვან წევრს, ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **მანუჩარ კვირკველიას** (74) ამბიციურ და სახიფათო მეტოქესთან მოუწევს პაექრობა - **რომან ვლასოვთან**, რომელსაც ლეგენდარულ **ალექსანდრ კარელინის** მწვრთნელი **ვიქტორ კუზნეცოვი** ავარჯიშებს. ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონმა ჯერ პოდუბნის მემორიალი მოიგო, სადაც ნახევარფინალში მსოფლიოს შარშანდელი პრიზიორი **იმილ შარაფეტდინოვი** დაამარცხა, ფინალში კი თვით **ვარტარეს სამურგაშევს**, მსოფლიოს, ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონს აჯობა. მაშინ ისიც გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ 5 წლის წინ მისი საყვარელი წიგნი სამურგაშევის ავტობიოგრაფია იყო და კერპთან ხალიჩაზე შეხვედრა ვერც წარმოედგინა. ეტყობა, წარმატებამ თავდაჯერებაც შესძინა და რუსეთის ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ სხვანაირად ალაპარაკდა - როცა ალექსანდრ კარელინის კლუბს წარმოადგენ, ოქროს გარდა სხვა შედეგზე არც უნდა იფიქროო. მისი სანაკრებო დებიუტი ევროპაზე შედგა, რაც ბრინჯაოთი დააგვირგვინა. ქვეყნის პირველობის ფინალში მან უკვე მეორედ დაამარცხა შარაფეტდინოვი. ცხადია, ის კვირკველიასთვის ერთ-ერთი სერიოზული კონკურენტი იქნება. თუმცა იმ წონებში, სადაც უფრო მეტად ველოდებით მედლებს, ჩვენთვის ყველაზე საშიში მეტოქე მაინც ქართველი ვაჩაძეა. ცხადაია და ვაჩაძე 2009 წელს ევროპაზეც შეხვდნენ ერთმანეთს და მსოფლიოზეც - პირველში მეტოქემ იმარჯვა, ცხადაიამ კი რევანში მსოფლიოზე აიღო. ვაჩაძემ წლეულსაც დაიდო თანამემამულის ცოდვა - ევროპაზე **ანტონ მამაგეიშვილს** აჯობა. ბევრს ვერაფერს გეტყვით **რევაზ ლაშხისა** (60) და კურამაგომედოვის მოსალოდნელ დაპირისპირებაზე. ლაშხმა წლეულს ტრიუმფით მოიგო ევროპის პირველობა, დაღესტნელ ავარელ კურამაგომედოვს კი აქამდე ბევრჯერ მიეცა თავის გამოჩენის შანსი, თუმცა მხოლოდ ერთხელ მოიპოვა ევროპული ბრინჯაო. ვფიქრობთ, ლაშხი თუ სათანადოდაა მომზადებული, კურამაგომედოვი მისთვის გადაულახავი ბარიერი ვერ იქნება.



მარცხნივ მანუჩარ ცხადაია

ამასობაში ირკვევა, რომ შეიძლება, ცვლილება მოხდეს აზერბაიჯანელ ბერძენ-რომაელთა გუნდში. მათი შემადგენლობა უკვე გაგაცანით და რუსეთიდან გადაბირებულ მძიმეწონოსან **მაქსიმ პროხოროვზე** ჩვენც გამოვთქვით ეჭვი სერიოზული წარმატების მოპოვების შესახებ. გუშინ აზერბაიჯანულმა წყაროებმა გაავრცელეს იქაური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **ნამიკ ალიევის** სიტყვები, რომ, შესაძლოა, პროხოროვი შეცვალონ. ამ წონაში ჩვენ გვყავს კადრი, რომელსაც მედლის მოპოვებაც შეუძლია და - ლიცენზიისაცო, განაცხადა ალიევმა, რაც ძალზე გადაჭარბებული გვგონია - მათ ამ წონაში ამდენად ძლიერი ფალავანი არ ჰყავთ. ალიევს კონკრეტული გვარ-სახელი არ გაუმხელია.

**ირაკლი თავაძე**

ძალოსნობა




**წლეულს, 5-13 ნოემბერს, საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი ძალოსანთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის ქართველი ათლეტები მთავარი მწვრთნელის ვანო გრიქუროვის ხელმძღვანელობით კარგა ხანია, მონდომებით ემზადებიან. ამჟამად ჩაქვში გადიან საწვრთნელ შეკრებას. ეროვნული ნაკრების წევრებთან ერთად იმაღლებენ ოსტატობას ახალგაზრდებიც, რომლებიც 10 სექტემბრიდან ბუქარესტში 20 და 23-წლამდელთა ევროპის პირველობებში მოსინჯავენ ძალებს.**

# ბიჭები იმედის მომცემად ოსტატდებიან

გუშინ ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რამაზ გურგენიძემ** გვაცნობა, რომ 20-წლამდელთა შეჯიბრებაში ოქროს მედლებისთვის იბრძოლებს ცნობილი საჩხერელი ვეტერანი ძალოსნის **კობა ტალახაძის** ვაჟი **ლაშა ტალახაძე.** ამ ნიჭიერმა ყმაწვილმა შარშან ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე ოქროს სამი მედალი მოიპოვა (ატაცში, აკვრასა და ორჭიდში). იგი ახალგაზრდებში, როგორც აღვნიშნეთ, პირველობის რეალური ფავორიტია. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, კვირიდან კვირამდე აუმჯობესებს საკუთარ მიღწევებს. ორი თვის წინათ საქართველოს ლიგის პირველობაზე 180 კილოგრამი აიტაცა და 215 კილოგრამი აკრა. თუმცა, ამ მცირე დროის განმავლობაში ცოტათი კიდევ წინ წაიწია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროვნულ ნაკრებს ღირსეული ცვლა ეზრდება. არ არის გამორიცხული, მწვრთნელებმა იგი მსოფლიოს ჩემპიონატზეც წაიყვანონ საფრანგეთში.

რუმინეთის დედაქალაქში 20-წლიანთა პირველობაზე მოსინჯავს ძალებს ჭაბუკებში 2009 წლის ევროპის ჩემპიონი **გიორგი ლომთაძე** (ქუთაისი, 69 კგ), რომელმაც შარშან იუნიორებში მცირე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა ატაცში. საქართველოს ლიგაზე გიორგიმ ორჭიდში 304 კილოგრამი (136+168) მოაგროვა. ამ შედეგით იგი ევროპის პირველობაზე პრიზიორთა შორის მოიაზრება. ძირითად კონკურენტებად ალბანელი და რუმინელი ძალოსნები ეყოლება. ალბათ, ათეულში მოსახვედრად იბრძოლებს ქუთაისელი **ზურიკო თავაძე** (77 კგ). ორჭიდში მისი საუკეთესო შედეგია 300 კგ (135+165).

23-წლამდელთა ევროპის პირველობაზე ქართველებს ერთი წარმომადგენელი გვეყოლება - ზუგდიდელი **დავით გოგია** (105 კგ). შარშან ოცწლიანთა კონტინენტის პირველობაზე 163 კილოგრამი აიტაცა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, აკვრაში 205-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და ორჭიდის ჯამში IV ადგილი დაიკავა - პოლონელ სპორტსმენთან დიდი ბრინჯაო მხოლოდ პირადი წონით დათმო. საქართველოს ლიგის პირველობით თუ ვიმსჯელებთ, ატაცში მისი პირადი რეკორდია 173 კილოგრამი, აკვრაში - 207 კილოგრამი. როგორც რამაზ გურგენიძემ გვითხრა, გოგია რუმინეთში საკუთარ შესაძლებლობებს ბოლომდე თუ გამოავლენს, საპრიზო სამეულში მოხვედრის რეალური შანსი ექნება. რუმინეთში ქართველ ძალოსნებს **ალეკო ნოზაძე** და **მალხაზ ლომთაძე** დამოძღვრავენ.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ქართველისთვის ხვავრიელი ამერიკის ღია პირველობა




21 წლის **ანა ტატიშვილმა**, რომელიც მსოფლიოს 85-ე ჩოგანია, დაასრულა ამერიკის ღია პირველობაზე ასპარეზობა. თუკი მისთვის ერთეულთა თანრიგში თამაში წარუმატებელი გამოდგა (პირველივე ეტაპზე დამარცხდა), ნაკლებად პრესტიჟულ წყვილთა თანრიგში ჩვენებურმა მერვედფინალში ითამაშა. ბუნებრივია, ეს მიღწევა ქართველთა საუკეთესო ჩოგბურთელისთვის პირველია კარიერაში.

ანა სლოვენიელ **ანდრეა კლეპაჩს** (306) შეეწყვილდა „ფლეშინგ მედოუს" კორტებზე. მათი პირველი გამარჯვების შესახებ უკვე გიამბეთ. მეორე წრეში ქართულ-სლოვენიურმა დუეტმა ამერიკული (**ჰილარი ბარტი და მელორი ბერდეტი**) დაამარცხა - 6:2, 3:6, 6:3. მერვედფინალში მათ სერიოზული ტესტი ელოდათ, მეტოქეებად მე-8 ნომრად განთესილი ჩეხები, **ანდრეა ჰლავაჩკოვა** (109, წყვილებში 16) და **ლუსი ჰრადეჩკა** (51, წყვილებში 18) იყვნენ. ჩვენებურმა და კლეპაჩმა პირველი სეტი იოლად მოიგეს, თუმცა შემდეგ ორი კი უკვე ფავორიტებს დარჩათ - 6:3, 3:6, 3:6.

ამერიკის ღია პირველობა ტატიშვილისთვის უპირველესად, ფინანსური თვალსაზრისით გამოდგა წარმატებული. ერთეულებში მან 19 ათასი დოლარი გამოიმუშავა, წყვილებში - 12,5 ათასი. ეს მისი კარიერის რეკორდია - ერთ ტურნირზე ჰონორარის სახით 31,5 ათასი დოლარი მიიღო.

**სოფიო შაფათავამ** (278) რუმინულ შამაიაში იასპარეზა, სადაც საპრიზო ფონდი 25 ათას დოლარს შეადგენდა. მე-8 ნომრად განთესილმა ქართველმა მერვედფინალში „უაილდ ქარდით" მიწვეული რუმინელი **დიანა მარკუს** დამარცხების შემდეგ, უკრაინელ **ვიქტორია კუტუზოვასთან** (772) დათმო - 2:6, 0:6. შეიძლება გაგიკვირდეთ რეიტინგში ასე უკან მდგომ ჩოგბურთელთან გამანადგურებელი მარცხი, მაგრამ კუტუზოვა მსოფლიოს მოწინავე ასეულის ყოფილი წევრია, უბრალოდ, მას ტრავმის გამო ნახევარი სეზონი გაუცდა. წყვილთა თანრიგში ჩვენებურმა ფინალში ითამაშა, სადაც **მარინა შამაიკოსთან** (რუსეთი) ერთად მასპინძელთა დუეტთან (**ბოგდანი, კადანტუ**) დამარცხდა - 2:6, 2:6.

იტალიურ ბიელაში დაიწყო 100-ათასიანი ტურნირი, რომლის საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად **მაკა ჩახნაშვილი** (214) განთესეს. მაკა მეორე წრიდან თამაშობს და მისი პირველი მეტოქე მასპინძელი **სტეფანია ჩეპაა** (846).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**საქართველოს მეკლდეურობის ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს აკაკი (ხუტა) ხერგიანს შვილის**

**ვახტანგ ხერგიანის**

**გარდაცვალების გამო.**

**პანაშვიდი 6, 7. 09; 16 საათზე.**

**მისამართი: თბილისი, ზემო ვეძისის II ჩიხი №4.**

**გამოსვენება 8 . 09; 15.00 საათზე ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალო).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველის გაზეთი

# ყაჩაღობით შექმნილი საძმო და გიჟულოვანი სპორტსმენების ცელქობები

**ამას წინათ რედაქციაში ქუთაისელ მალხაზ კვიმსაძის წერილი მივიღეთ. „ვარ 22 წლის, ქუთაისში ლეგენდად დადის ველოსპორტის ქართველი კორიფის, ჩვენი თანაქალაქელის ომარ ფხაკაძის, ასევე ლეგენდარული ფალავნის ლევან თედიაშვილის მეგობრობისა და ფილმში „ხარება და გოგია“ მათი ერთობლივი მონაწილეობის ამბები. ძალიან მინდა მეტი ვიცოდე ამ სახელოვანი სპორტსმენების ვაჟკაცობის შესახებ“ - გვწერდა მალხაზი. რედაქციის არქივის თემატურ საძიებელში არაერთ საინტერესო მასალას მივაკვლიეთ. ყველაზე საყურადღებოდ ჩავთვალეთ წერილი, რომელიც გაზეთ „ყველა სიახლეში“ 2008 წლის 28 თებერვალს გამოქვეყნდა. ამბებს მწერალი და სპორტული ჟურნალისტი, ან განსვენებული ნუგზარ შატაიძე იხსენებს.**

ოდესღაც პროფესიით მშენებელი ყოფილა, მერე ჟურნალისტადაც უმუშავია „ლელოში“, - ძირითადად, ჭიდაობაზე წერდა, რადგან წინაპარი გრიგოლ ორბელიანის ფალავანი ჰყოლია. პარალელურად, მოთხრობებს ბეჭდავდა, მის კინოსცენარებზე „ლომა“, „მევლუდი“, „პეიტარი“, „მიახლოება“, „ცხელი ძაღლი“ და კიდევ რამდენიმე მხატვრული და დოკუმენტური ფილმია გადაღებული. მალე რეჟისორი გიორგი ოვაშვილი დაასრულებს კიდევ ერთ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმს, რომელსაც საფუძვლად მისი მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში“ უდევს. შემთხვევით მხატვრული ფილმის გმირიც გახდა, რამდენიმე ეპიზოდური როლი მოჰყვა, თუმცა პოპულარობა სამწერლო მოღვაწეობამ შესძინა.

- კინოსტუდიაში რეზო თაბუკაშვილმა მწერალთა გაერთიანება ჩამოაყალიბა და მეც იქ ვმუშაობდი რეზო ჭეიშვილთან, გურამ დოჩანაშვილთან, რეზო ინანიშვილთან, ვაჟა ბიგაშვილთან და კიდევ რამდენიმე ჩვენს სახელოვან მწერალთან ერთად. ვწერდით სცენარებს და ზოგჯერ ამ სცენარებზე ფილმებს იღებდნენ. ერთი უცნაურობა მაქვს - არ მიყვარს სტამბა, სადაც წიგნები იბეჭდება, - ამ დროს პირიქით უნდა იყოს, არა? იგივე მემართებოდა კინოგადაღებაზეც. თუნდაც მსახიობი რომ ხარ, შენი ნებით ხომ არ მოქმედებ? - რეჟისორს ემორჩილები და სცენარისტის ტექსტს ამბობ... კომუნისტების ზეობის ხანაში, გსურდა თუ არა, სცენარის ავტორი ფილმის გადაღებას უნდა დასწრებოდი, რეჟისორს სჭირდებოდი. მე, უმეტესად, ვურჩობდი და რეჟისორებიც ხშირად „მასმენდნენ“ რეზო ჩხეიძესთან. ერთხელაც გიორგი შენგელაია გადამეკიდა, ფილმ „ხარება და გოგიას“ გადაღებას ვიწყებთ და ხარება ჯიბუტის ძმის - სიმონას როლი უნდა ითამაშოო. სცენარიც კი გამომიგზავნა - ჩემი მეგობრის, ბაადურ ბალარჯიშვილის დაწერილი იყო. მითხრა: შენ და ომარ ფხაკაძე (ვისაც ხარებას როლი უნდა შეესრულებინა) ძალიან ჰგავხართ ერთმანეთსო. გიორგის დიდ პატივს ვცემდი და უარი ველარ ვუთხარი. მე კი იოლად დამიყოლია, მაგრამ ლევან თედიაშვილი (გოგია კენკიშვილი), ომარი და მიშა სალაძე ვერ დაითანხმა. ლევანი მაშინ სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. ჩააკითხა გიორგიმ კაკაბეთში, როგორ არ ეცადა დაყოლიებას, ისიც უთხრა, 6. 000 მანეთს ჰონორარს გადაგიხდიო - 1985-1986 წლებში 6.000 მანეთი კარგი ფული იყო. გამოილო ლევანმა სეიფიდან 8.000 მანეთი, დაუდო გიორგის და უთხრა: აილე ეს ფული და თავი დამანებეო (იცინის). მოგვიანებით, გიორგიმ ამიხსნა: განა არ შემეძლო, მსახიობები მომეწვია, ნაკლებადაც გავწვალდებოდი, მაგრამ ფილმისთვის ნამდვილი ვაჟკაცები მჭირდებოდა, მსახიობები კი ასეთები ვერ იქნებოდნენო. წარმოიდგინეთ, მოჭიდავე ლევან თედიაშვილი არის ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი; ველომრბოლელი, ცხონებული ომარ ფხაკაძე ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანი, მსოფლიოს ჩემპიონი იყო, მოჭიდავე მიშა სალაძე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია. ისინი ყოველმხრივ დიდი ვაჟკაცები, გმირები იყვნენ. მაშინ ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი იყო. გიორგიმ ამ ხალხთან შუამდგომლობა სწორედ მას სთხოვა და მხოლოდ ამის შემდეგ დაითანხმა ლევანი, ომარი და მიშა. სხვათა შორის, მერე სამივეს ძალიან მოეწონა კინოში მონაწილეობა. ლევანს დაუფასდა კიდეც ეს შრომა - აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალზე მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის პრიზიც მიიღო. ერთხელ გამომიტყდა კიდეც: ჩემს ყველა ოქროს მედალს მირჩევნიაო.

**- გადაღებაზე რა ხდებოდა?**

- კინოგადაღება რთული პროცესია და დისციპლინას მოითხოვს. მსახიობი ამას შეჩვეულია, ჩვენ კი - არაპროფესიონალები ძალიან „ვცელქობდით“ და, შესაბამისად, გიორგი შენგელიასაც ვანერვიულებდით. ამ ფილმში ავქსენტი მიქაბერიძის როლს მურმან ჯინორია თამაშობს. მურმანი კარგად უკრავს გიტარაზე და მღერის, ამიტომ გადაღებაზე, საგარეჯოში გიტარა წამოიღო. იქ, სასტუმროში, მასთან ერთად, ერთ ნომერში ვცხოვრობდი. ერთხელაც, გადაღებების შემდეგ, ღამის 10 საათზე შემოგვაკითხა ლევანმა. ჩვენ რაღაც წავიმღერეთ, ლევანი კი აშკარად ვერ ისვენებდა: კაცო, არ ვიქეიფოთო?! მოკლედ, სადღეგრძელო ჰქონდა აშლილი. არადა, უკვე ძილის დრო იყო, მეორე დღისთვის ადრიანად უნდა წავსულიყავით ვაჩნაძიანთკარის ზემოთ, ტყეში, გადაღებაზე. არ მოგვასვენა, გიტარიანად ჩაგვსხა მანქანაში და სადღაც წაგვიყვანა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ ვილაცის ორსართულიან სახლს მიგვაყენა - ჩანდა, კარგი „პატრონი“ ჰყავდა იმ სახლს. მოკლედ, საგარეჯოს ღვინის ქარხნის დირექტორის ოჯახში ამოვჩნდით. გაგიჟდნენ სიხარულით, გაიშალა სუფრა და დავიწყეთ მოლხენა. ლევანს ჰყავდა მძღოლი (რაკი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო). მელოტი კაცი, რომელსაც ხუჭუჭას ეძახდა და რომელიც იქ გვახლდა. რომ გახურდა ქეიფი და მასპინძლებმა შეიტყვეს, სასტუმროში ნატო ვაჩნაძის შვილი გიორგი არისო (კახელებს განსაკუთრებულად უყვართ ნატო ვაჩნაძე), გული დასწყდათ: ნეტავ, წამოგეყვანათო. ლევანმა ქაღალდის ხელსაწმენდზე დააწერა: შენ თუ ახლა აქ არ მოხვალ, აი, ასე და ისეო... და კახური გინება მიაყოლა. ეს „წერილი“ ხუჭუჭას გაატანა გიორგი შენგელაიასთან. გადარეულა გიორგი, - ხვალ გადაღებაა, ამ ეპიზოდში მონაწილეობის მისაღებად ოთარ მელვინეთუხუცესი ერთი დღით არის ჩამოსული, ყველაფერი ჩაიშლებაო და უთხოვია, ავთო მაისურაძისა და მიშა სალაძისთვის, როგორმე ის ხალხი აქ მომიყვანეთო. ავთო და მიშა მოვიდნენ საყვედურებით: რას ანერვიულებთ იმ კაცსო. დასხედით, კაცო, განსხვავებული დალიეთო! - დასჭექა ლევანმა და იმათაც მოუნდათ ქეიფი. დარჩნენ ჩვენთან და დილის 4 საათამდე ვილხენდით: დილით ყველას თავი გვისკდებოდა, გიორგიმაც ძალიან ინერვიულა, მაგრამ საბედნიეროდ, გადაღებამ მშვიდობიანად ჩაიარა.

**- ომარ ფხაკაძე რატომ არ გახლდათ?**

- ომარის მეუღლემ, ქალბატონმა დონარამ გვთხოვა, ომარს ცოტა შარიანი სიმთვრალე აქვს და ნუ დაალევინებთო. თავიდან კი არ დავუჯერეთ დონარას, მაგრამ ერთ-ერთ სუფრაზე ლევანს, მე და მიშას რომ დაგვიბლვირა, მეტად აღარ ვასმევდით. უფრო სწორად, თვითონ იკავებდა თავს, თორემ ჩვენ რას გავუძალიანდებოდით. იცით, რა ძლიერი იყო ფიზიკურად?! ლევანს რომ შეხედავ, მაშინვე მიხვდები, რომ მონსტრია. ომარი უფრო ხმელი იყო, მაგრამ უზარმაზარი ხელები ჰქონდა. ლეგენდები დადიოდა: ომარი ველოსიპედის რამას ღუნავდა, როცა სიჩქარეს აკრებდაო. ამიტომ რამა სპეციალურად რკინისგან თუ ფოლადისგან ჩამოუსხეს. ფილმში ხომ არის სცენა: ლევანი და ომარი რომ ჭიდაობენ, მაშინ ლევანმა თქვა: მე ეგეთი ღონიერი კაცი არ მინახავსო... იმ გადაღებებმა დიდი საძმო ჩამოაყალიბა. არ დამავიწყდება, ომარს უფროსი და რომ გარდაეცვალა, სამძიმარზე ვიყავით, უზარმაზარი მანქანა-მაცივარი რომ ჩამოდგა, საიდანაც იმ წუთას თავისი მანქანით მოსულმა ლევანმა მთელი ქელეხის სანოვაგე გადმოაზიდვინა ბიჭებს. მართლა ძმებივით იყვნენ. დონარა იგონებდა: ლევანი ომართან რომ რეკავდა, მეკითხებოდა: ხარება შინ არისო? თითქოს ვერ გამოვიდნენ ფილმიდან, როლიდან.

**- ალბათ, უფრო იმიტომ, რომ სხვა კინოროლი არ ჰქონიათ...**

- დიახ, მართალი ბრძანდებით, ესენი კინოში დარჩნენ. მეც მათთვის ძმასავით ვიყავი. მით უმეტეს, ომარს ოთხი თუ ხუთი და ჰყავდა და ამბობდა: ძლივს არ ვეღირსე ძმასო. სხვათა შორის, ლევანს ადრეც ვიცნობდი გაზეთ „ლელოდან“. იქ ჩემმა მეგობარმა ირაკლი ბერიშვილმა მიმიყვანა. ძირითადად, ჭიდაობაზე ვწერდი, და მიზეზიც მქონდა - დედის მხრიდან დიდი პაპის ბიძა იყო გრიგოლ ორბელიანის ფალავანი დათა ხიზამბარელი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ვერავის წაუქცევია, 24 წლისა კი მოკლეს. აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკიდან“ აბდუშაჰილისა და ბაში-აჩუკის შერკინების ეპიზოდი აკაკიმ სინამდვილიდან აიღო - იქ ჭიდაობდნენ 21 წლის დათა ხიზამბარელი და გოლიათი სპარსელი მოჭიდავე, რომელსაც მანამდე 14 ქართველი ფალავანი წაუქცევია, თურმე. სხვათა შორის, ჩემი ბიძებიც ჭიდაობდნენ, პაპაჩემი კი საჭიდაოსაც უკრავდა. მეტსაც გეტყვით, შემიძლია ქართულ ჭიდაობაზე ვიმსაჯო კიდეც.

**- მიუხედავად ყველაფრისა, თქვენს უმთავრეს საქმედ მწერლობა აირჩიეთ...**

- მწერლობა ჩემს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ჩემი მოთხრობები სასკოლო სახელმძღვანელოებშიც არის შეტანილი. ლიტერატურულ კონკურსებში ხშირად ვმონაწილეობ - „საბა“ მაქვს აღებული, „პენმარათონის“ პრემია ორჯერ მივიღე, თუმცა... ძალიან ცუდ დღეში ვართ დღეს მწერლები. წარმოიდგინეთ, 300 ეგზემპლარი რომ გამოდის წიგნი, ის ხომ მხოლოდ ვიწრო წრეს დააკმაყოფილებს. ვინც ნაღდი მკითხველია, მას წიგნისთვის ფული არც აქვს, საერთოდაც, ხალხი გადაეჩვია კითხვას. არადა, კითხვა უნარჩვევაა, რომელიც ადამიანმა ბავშვობაში უნდა გამოიმუშაოს. ჩვენი ბავშვები კი კომპიუტერისა და ტელევიზორის გადამკიდე, წიგნისთვის ველარ იცლიან. ეს ჩემთვისაც ცუდია, მაგრამ, პირველ რიგში, ქვეყნისთვის არის საზიანო. ერი რომ წიგნს, კულტურას მოსწყდება, რალაზე იფიქრებს? - ალბათ, ამერიკელებივით მხოლოდ იმაზე, ფული როგორ იშოვოს. ეს აღარ არის ცხოვრება, ამით ადამიანი ცხოველს დაემსგავსება და მაშინ რა ვქნათ?!

**ესაუბრა ირმა ხარშილაძე**

გაზეთი „ყველა სიახლე“ 28.02-05.03. 2008




ომარ ფხაკაძე და ლევან თედიაშვილი კინოფილმის აფიშაზე









ჭადრაკი

# მოგებით დაიწყეს




**იტალიის** დედაქალაქ რომში დაიწყო მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი. უძლიერესთა ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით 9 ტურად გაიმართება, სხვადასხვა ქვეყნის 68 წარმომადგენელი ასპარეზობს, მათ შორის 19 დიდოსტატი.

საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ თბილისელები - **დავით არუთინიანი** და **სოფიკო გურამიშვილი** და ამჟამად მოსკოვში მცხოვრები **ნაზი პაიკიძე,** რომელიც საერთაშორისო ტურნირებში ჩვენი ქვეყნის სახელით გამოდის.

პირველ ტურში ჩვენებურები მასპინძლებს დაუპირისპირდნენ და გათამაშების ცხრილში გამარჯვებები ჩაიწერეს: არუთინიანმა ენცო ტომაზინი დაამარცხა, პაიკიძემ და გურამიშვილმა, შესაბამისად, დანილო სანტივეცსა და ედუარდ მინიხს სძლიეს.

გუშინ მეორე ტურში კვლავ წარმატებით ითამაშეს ნაზი პაიკიძემ (2412) და დავით არუთინიანმა (2577). ნაზიმ მე-7 ნომრად განთესილ ხორვატ იანკოვიჩს (2584) აჯობა, ხოლო დათომ გუიდო კაპრიო დაჯაბნა. თანამემამულეებს მხარი ვერ აუბა სოფიკო გურამიშვილმა (2359), რომელიც ალექსანდრ ფიერს (ბრაზილია, 2583) დანებდა.

დღეს მე-3 ტურში ითამაშებენ: მარჩელო მალონი (იტალია)-დავით არუთინიანი, იური სოლოდოვნიჩენკო (უკრაინა)-ნაზი პაიკიძე, სოფიკო გურამოშვილი-ფაბრიციო მაქი (იტალია),

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქეები

# ინგლისელი პომები

**საქართველოს ნაკრებმა 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა და მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმზე B ჯგუფში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.**

**„ბორჯღალოსნების" მეტოქეები ჯგუფურ ეტაპზე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ინგლისის, ბრინჯაოს პრიზიორი არგენტინის, ევროპის ექვსი ერის უძველესი ბინადარი შოტლანდიის და ჩვენთვის კარგად ნაცნობი, მსოფლიოს სარაგბო ოჯახის დიდი ხნის წევრი, რუმინეთის ნაკრებები იქნებიან.**



ვფიქრობთ, რაგბის ქომაგისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება, ჩვენი მომავალი მეტოქეების, მათი ქვეყნების სარაგბო ისტორიისა და ამჟამინდელი ამბების შესახებ თუ მოვუთხრობთ. დავიწყოთ რაგბის სამშობლოს, ინგლისის ავანჩავანით.

ოვალური ბურთით თამაში ინგლისში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში იყო საკმაოდ პოპულარული. ინგლისის „რაგბი ფუტბოლ უნიონი" 1823 წელს დაარსდა. ცხადია, მაშინდელი ბურთაობა დღევანდლისგან ძალიან განსხვავდება, მაგრამ დღესდღეობით არსებულ წესებს თუ დაუწერელ სარაგბო კანონებს, ტრადიციებს სათავე სწორედ იმ ხანებში დაედო.

ინგლისის რაგბის კავშირში 1900 კლუბია გაწევრებული. მათ გარდა, კავშირის წევრები არიან ინგლისის შეიარაღებული ძალების, კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტების გუნდები, ასევე, სკოლების რაგბის კავშირი და ინგლისის სტუდენტური ლიგა.

კავშირში რაგბის განვითარების 50 მენეჯერი მუშაობს, პლუს რვა რეგიონული განვითარების მენეჯერი, რომელთა განკარგულებაში 150 მწვრთნელია. ისინი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე წელიწადში 30 000 სემინარსა და ტრენინგებს ატარებენ ახალი კადრების აღზრდის მიზნით.

ინგლისის რაგბის კავშირის შემოსავლის წყარო საკმაოდ მრავალარხიანია. სახელმწიფო სუბსიდიების გარდა, ინგლისური რაგბი საერთაშორისო შეხვედრებზე გაყიდული ბილეთების საფასურით, რეკლამიდან, ტურისტული სააგენტოებიდან და ტელევიზიებიდან შესული თანხებით „იკვებება".

საკმაოდ შთამბეჭდავია რაგბით გატაცებული ინგლისელების რაოდენობა. დღესდღეობით ინგლისში ოფიციალურად რეგისტრირებული 2 მილიონ 146 ათას 140 მორაგბეა. ინგლისის ჩემპიონატის სხვადასხვა ლიგას, ბავშვთა და მოზარდთა ტურნირებს 38 019 მსაჯი ემსახურება.

ინგლისში მსოფლიოში ყველაზე დიდი სარაგბო სტადიონია. „თვიქნემი", რომელიც 1909 წელს აშენდა, 82 000 მაყურებელს იტევს. ინგლისის რაგბის კავშირმა მიწა, სადაც ახლა სტადიონი მდებარეობს, 1907 წელს სულ რალაც 5 500 გირვანქა სტერლინგად შეიძინა და აგერ უკვე ას წელიწადზე მეტია, იქ მსოფლიო რაგბის მექად წოდებული სტადიონი ფუნქციონირებს.

ახლა უშუალოდ მეტოქეზეც ვთქვათ. ინგლისის ნაკრები ოცდამეერთე საუკუნეში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ჩამოყალიბდა. 2003 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში „პომებმა" ფინალში მასპინძელი ავსტრალია დაამარცხეს და პირველი ევროპელები გახდნენ, ვინც მსოფლიო თასის მოპოვება შეძლო.

ინგლისელებს მიღწეულის გამეორება ოთხი წლის შემდეგ საფრანგეთშიც შეეძლოთ. სენ დენიში „სტად დე ფრანსზე" გამართულ ფინალში ევროპელები საკმაოდ მოღონიერებულ სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან დამარცხდნენ.

დღესდღეობით ინგლისის ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს. ალბათ, სწორედ ამიტომაა, „პომები" ძველებურად მრისხანედ რომ ვერ გამოიყურებიან. თუმცა, ეს აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს.

ნაკრების თავკაცს, ინგლისელთა ყოფილ ლეგენდარულ კაპიტან **მარტინ ჯონსონს** თავსატეხი ბევრი ჰქონდა, თუმცა საბოლოოდ, ფაქტობრივად ყველაფერი მოგვარდა. საერთო აზრით, „პომების" ყველაზე დიდი დანაკარგი უკანახაზელი **რიკი ფლუტია.** ჯონსონი იძულებული იყო, ის შინ დაეტოვებინა. თავდაპირველად ინგლისელთა თავკაცი ახალ ზელანდიაში ორი ცხრა ნომრის წაყვანას აპირებდა, მაგრამ რადგან **ბენ იანგზს** ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციის კურსი ჯერ კიდევ არ დაუსრულებია, დაზღვევის მიზნით განაცხადში სამი ცხრა ნომერი შეიყვანა. ასე მოხვდა გუნდში იანგზთან და **რიჩრად ვაიგელსვორსთან** ერთად კიდევ ერთი ცხრა ნომერი **ჯო სიმპსონი.** შედეგად, ჯონსონს უკანა ხაზიდან ერთი ზედმეტი მოთამაშე უნდა გამოერიცხა და ეს სწორედ რიკი ფლუტი აღმოჩნდა.

ჯონსონმა ახალ ზელანდიაში 17 მორკინალი და 13 უკანახზელი იახლა. მათგან ხუთი ისეთი მორაგბეა, რომლებმაც 2003 წლის მსოფლიოს თასი მოიგეს. წინა 2007 წლის მსოფლიოს თასზე კი 11-მა ამჟამინდელმა „პომმა" იასპარეზა, მათგან რვამ სამხრეთ აფრიკასთან ფინალში ითამაშა.

ინგლისელთა გუნდში გამოცდილებისა და ახალგაზრდების შესანიშნავი სინთეზია. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** მსოფლიოს თასზე მეოთხედ ითამაშებს. ყველაზე ასაკოვანი კი მორკინალი **საიმონ შოუა,** რომელსაც ახალ ზელანდიაში 38 წელი შეუსრულდება. ხოლო ყველაზე ახალგაზრდა წარმოშობით სამოელი შუამარბი **მანუ ტუილაგია.** ის სულ რალაც 20 წლისაა.

მსოფლიო რეიტინგში ინგლისის ნაკრები ამჟამად 81,82 ქულით მე-5 ადგილზეა.

საქართველოს ნაკრებს ინგლისის ეროვნულ გუნდთან ერთხელ უთამაშია. 2003 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების ჯგუფურ ტურნირში „ბორჯღალოსნებმა" პირველი შეხვედრა სწორედ „პომებთან" გამართეს და 6:84 დამარცხდნენ.

ჩვენი ნაკრები ინგლისელებს 18 სექტემბერს დანიდინში დაუპირისპირდება.

### ინგლისის ნაკრები

შერკინება: **დენ კოლი, ალექს კორბიშერო, ენდრიუ შერიდანი, მეთ სტივენსი, დევიდ ვილსონი, დილან ჰართლი, ლი მაერასი, სტივ თომსონი, ლუის დიკონი, კორტნი ლოუ, ტომ პალმერი, საიმონ შოუ, ტომ კროფტი, ნიკ ისტერი, ჯეომზ ჰესკელი, ლუის მუდი, ტომ ვუდი.**

უკანა ხაზი: **დელონ არმითიჯი, ბენ ფოდენი, კრის ეშტონი, მარკ კუეტო, მეთ ბანაჰანი, შონთაი ჰეპი, მაიკ თონდოლი, მანუ ტუილაგი, ტობი ფლუდი, ჯონი ვილკინსონი, ჯო სიმპსონი, რიჩრად წაიგელსვორსი, ბენ იანგზი.**

# ლომგული ნარშავები

**საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე 2011 წელს ახალ ზელანდიაში გასამართავ მსოფლიო თასზე „ლომგული ნარშავები", ანუ შოტლანდიის ნაკრები იქნება. შოტლანდიურ რაგბის საკმაოდ საინტერესო და მდიდარი წარსული აქვს.**



შოტლანდიის რაგბის კავშირი 1871 წელს დაარსდა. ამავე წელიწადს „სკოტების"ნაკრებმა პირველ საერთაშორისო მატჩში დაამარცხა ინგლისის ნაკრები, რომელიც დღემდე მათი ყველაზე „დაუძინებელი მტერია".

ხუთი ერის გათამაშებაში, რომლიც 2000 წლიდან ექვს ერად გადაკეთდა, „ნარშავები" 1883 წლიდან ჩაებნენ და მას შემდეგ დიდი სლემი მხოლოდ სამჯერ შეასრულეს. შოტლანდიელებმა ხუთ ერზე ყველა თამაში ბოლოს 1990 წელს მოიგეს.

საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს შოტლანდიის რაგბის კავშირის ემბლემას. უხვეკლიანი ნარშავი ამ ქვეყნის ეროვნულ ყვავილად ითვლება. ლეგენდის თანახმად, ნარშავმა შოტლანდია დანიელთა უეცარი თავდასხმისგან იხსნა. მტერი ღამით უჩუმრად მიეპარა ციხესიმაგრეს, სადაც სკოტები იყვნენ გამაგრებულნი. ერთ-ერთმა დანიელმა მებრძოლმა, რომელიც ფეხშიშველი მიდიოდა, ეკლიან ნარშავს ფეხი დაადგა და ტკივილისგან გამწარებულმა ხმამაღლა წამოიყვირა. ხმამ შოტლანდიელებამდე მიაღწია, გამოფხიზლდნენ და მტერს მტრულად დაუხვდნენ.

შოტლანდიის ნაკრებმა ყველა, ექვსივე მსოფლიო თასის გათამაშებაში იასპარეზა. „სკოტებმა" საუკეთესო შედეგს 1991 წელს ბრიტანეთში გამართულ გათამაშებაში მიაღწიეს. ჯგუფური ტურნირი პირველ ადგილზე დაასრულეს და მეოთხედფინალში დასავლეთ სამოას ნაკრებს სძლიეს. ნახევარფინალში კი „მერიფილდზე" ინგლისის ნაკრებთან 6:9 წააგეს. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ვერას გახდნენ ახალ ზელანდიასთან - 6:13 და მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.

მას შემდეგ შოტლანდიის ნაკრები მსოფლიოს თასის ყველა გათამაშებაში სისტემატურად აღწევს მეოთხედფინალამდე და საუკეთესო ოთხეულში შეღწევას ვერაფრით ახერხებს.

შოტლანდიის ნაკრებს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოს რაგბის კავშირის კონსულტანტი **რიჩი დიქსონი** წვრთნიდა. მას შემდეგ, რაც რიჩი სანაკრებო ასპარეზს ჩამოშორდა, „ნარშავებს" სერიოზული კრიზისი დაეწყოთ. მათთვის ექვსი ერის გათამაშებაში არათუ დიდი სლემი, მეოთხე ადგილიც კი სანატრელი გახდა.

მეტიც, „სკოტები" ორჯერ ახალწამოჩიტულ იტალიის ნაკრებთან დამარცხდნენ და ბოლო, მეექვსე ადგილზე გავიდნენ. 2009 წელს შოტლანდიის რაგბის კავშირმა გადაწყვიტა, ეროვნული ნაკრების თავკაცად უცხოელი სპეციალისტი მიეწვია. არჩევანი ინგლისის ნაკრების ყოფილ დამრიგებელ **ენდი რობინსონზე** შეჩერდა.

რობინსონის ერა შოტლანდიურ რაგბიში წარმატებულად დაიწყო. ნოემბრის ტესტებზე „ნარშავებმა" ჯერ ფიჯის ნაკრები დაამარცხეს 23:10. მერე კი ისტორიულ გამარჯვებასაც გამოჰკრეს ხელი: ავსტრალიის ნაკრებს 27-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად სძლიეს - 9:8.

ენდიმ „ნარშავებს" დიადი წარსული გაახსენა და გამორიცხული არ არის, უწინდელი მიღწევებიც გაამეორებინოს. რიჩი დიქსონს მიაჩნია, რომ საქართველოსა და შოტლანდიის ნაკრებებს ერთნაირი პრობლემები აქვთ. „სკოტების" ძლიერი მხარე, „ბორჯღალოსნების" მსგავსად, მძლავრი და საკმაოდ მობილური შერკინებაა, რასაც ვერაფრით ვიტყვით უკანა ხაზზე.

მიუხედავად მოძალებული პრობლემებისა, რობინსონს განკარგულებაში რამდენიმე მსოფლიო დონის მორაგბე ჰყავს. მათ შორის ყველაზე გამოცდილი 31 წლის **კრის პატერსონია,** რომელსაც აქამდე 105 სანაკრებო კეპი მოუხვეჭია. უმაღლესი კლასის მორაგბეები არიან **კრის კაზიტერი, ნათან ჰაინსი, ნიკ დე ლუკა, დენ პარქსი,** და **რორი ლამონტი.**

შოტლანდიის ნაკრებმა ყველაზე დიდი ანგარიშით 2004 წლის 13 ნოემბერს იაპონიის ნაკრებს სძლია - 100:8. ყველაზე დიდი სხვაობით კი 1997 წლის 6 დეკემბერს დამარცხდა სამხრეთ აფრიკასთან - 10:68.

შოტლანდიის ნაკრები საშინაო შეხვედრებს ედინბურგში, „მერიფილდზე" ატარებს. სტადიონი, რომელიც 1925 წელსაა აშენებული, 67 130 მაყურებელს იტევს. მეორე მსოფლიო ომის დროს „მერიფილდი" სამეფო სამხედრო კორპუსმა დაიკავა და მომარაგების ბაზის ფუნქციას ასრულებდა. რაგბი სტადიონზე 1944 წელს დაბრუნდა.

„მერიფილდზევე" ტარდება შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერიის ედინბურგის ეტაპი, „ჰეინეკენისა" და „ჩელენჯ კაპის" გათამაშების მატჩები. თუმცა დიდი ხანი არ გასულა, რაც შოტლანდიის რაგბის კავშირმა „მერიფილდზე" ამერიკული ფეხბურთის, რაგბი ლიგისა და ფეხბურთის გუნდებსაც დართო თამაშის ნება.

შოტლანდიის რაგბის კავშირში 241 კლუბია გაწევრებული და ოფიციალურად 32 817 მორაგბეა რეგისტრირებული. სხვადასხვა დონის ტურნირებს 343 შოტლანდიელი მსაჯი ემსახურება.

შოტლანდიის ნაკრები მსოფლიო რეიტინგში დღესდღეობით 78,83 ქულით მე-8 ადგილზეა. საქართველოს ნაკრებს „ნარშავებთან" არასდროს უთამაშია.

ახალ ზელანდიაში გასამართავ მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრები „სკოტებს" 14 სექტემბერს ინვერქარგილში ეთამაშება

### შოტლანდიის ნაკრები

შერკინება: **ჯონ ბარკლი, კელი ბრაუნი, გოფ კროსი, ალისტერ დიკინსონი, როს ფორდი, რიჩი გრეი, დაგ ჰალი, ჯიმ ჰამილტონი, ნათან ჰაინსი, ალან იაკობსენი, ალისტერ კელოკი, სკოტ ლაუსონი, მორეი ლოუ, ევან მურეი, როს რენი, ალისტერ სტროკოში, რიჩი ვერნონი.**

უკანა ხაზი: **ჯო ანსბრო, მაიკ ბლერი, კრის კასიტერი, საიმონ დენიელი, ნიკ დე ლუკა, მაქს ევანსი, რუარიდ ჯექსონი, რორი ლამონტი, შონ ლამონტი, გრემ მორისონი, დენ პარქსი, კრის პატერსონი, რორი ლაუსონი**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

**საქართველოს რაგბის კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სარაგბო კლუბ „აკადემიის" ვეტერანი მორაგბე**

**ზაზა ღვინიაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს ოჯახსა და ახლობლებს.**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ სიტი

# დავიდ სილვა გაიზარდა

## ტურე დისკვალიფიკაციით კმაყოფილია. ტევესი კინაღამ ჭამას გადაჰყვა



დავიდ სილვა პრემიერლიგით კმაყოფილია

"მანჩესტერ სიტის" ესპანელი ნახევარმცველი **დავიდ სილვა** პრემიერლიგაში ასპარეზობით ძალიან კმაყოფილია და აცხადებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში როგორც პროფესიონალი აშკარად ძალიან გაიზარდა. *"პრემიერლიგის ტემპი არამხოლოდ პრიმერასთან, ნებისმიერ სხვა ჩემპიონატთან შედარებით ბევრად მაღალია. ყოველივე ამან შედეგად ის მოიტანა, რომ ფიზიკური მომზადების მხრივ ძალიან მოვუმატე. ამას გარდა, აშკარა წინსვლა მაქვს წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისითაც"*, – აცხადებს "ფურია როხას" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი.

შარშანდელი სეზონს ეკვატორი უკვე გადალახული ჰქონდა, როცა "მანჩესტერ სიტის" ივუარელი საყრდენი ნახევარმცველი **იაია ტურე** დოპინგტესტზე ჩავარდა. ეს მარტში მოხდა. მას შემდეგ ფეხბურთელი ინტენსიურად ვარჯიშობდა, რომ დისკვალიფიკაციის ვადის გასვლას ნორმალურ ფიზიკურ ფორმაში შეხვედროდა. და აი ისიც: იაია თავისუფალია. "სიტის" უკვე შეუძლია ფეხბურთელი ოფიციალურ შეხვედრებში გამოიყენოს. აი, რას ამბობს თავად ფეხბურთელი: *"დისკვალიფიკაციის პერიოდში მე კიდევ უფრო ძლიერი გავხდი*, - განუცხადა მან ბრიტანეთის საზოგადოებრივ მაუწყებელს. – *ახლა ერთადერთი, რაც მინდა, ეს სამომავლო გეგმებზე კონცენტრირებაა. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია ის, რომ დიდ ფეხბურთს ვუბრუნდები. ჩემი შეცდომების წყალობით კარგი გაკვეთილი მივიღე. მეტად ამის გამეორებას აღარ ვაპირებ"*.

"სიტის" კიდევ ერთი ლეგიონერი **კარლოს ტევესი** კი სამკურნალოდ კლინიკაში აპირებს დაწოლას. ამის მიზეზს ის თავად გვიხსნის: *"ზაფხულში სერიოზული დეპრესია მქონდა, ამის შესახებ მხოლოდ ჩემმა ახლო მეგობრებმა და ნათესავებმა იცოდნენ. საკუთარი თავის გაკონტროლება მიჭირდა და წარმოუდგენლად ბევრს ვჭამდი. შედეგად 5-6 კილოთი მოვიმატე. ახლა კი ზედმეტ წონას სპეციალურ კლინიკაში შევებრძოლები"*.

მწვრთნელი

# მუნიოსი შვეიცარიაში

გუშინ ესპანელმა სპეციალისტმა, 54 წლის **მიგელ მუნიოსმა** "ქსამაქსში" პირველი ვარჯიში ჩაატარა. შეგახსენებთ, რომ შვეიცარიულ კლუბში დიდი ცვლილებები მას მერე დაიწყო, რაც კლუბი ჩეჩენმა ბიზნესმენმა **ბულატ ჩაგაევმა** შეიძინა. სახელოვან ესპანელთან ხელშეკრულება სეზონის ბოლომდე გაფორმდა. შეგახსენებთ, რომ აქამდე გუნდის მთავარი მწვრთნელი არანაკლებ ცნობილი ესპანელი სპეციალისტი, 56 წლის **ხოაკინ კაპაროსი** იყო. *"იქამდე, ვიდრე "ქსამაქსში" მოვიდოდა, კაპაროსი კარგი მწვრთნელი იყო*, - განუცხადა ჩაგაევმა ესპანურ "ასს". – *ვფიქრობ, ის წარმატებით გააგრძელებს სამწვრთნელო კარიერას ამის შემდეგაც. რაც შეეხება ახალ დამრიგებელს, მისგან და მისი შტაბისგან მაქსიმალურ თავდადებას ვითხოვთ. შაბათს ჩვენ უკვე შევხვდით ფეხბურთელებს და ბევრ რამეზე ვიმსჯელეთ. შეხვედრა მეტად პროდუქტიული იყო. ვფიქრობ, გვაქვს უფლება, მომავალს ოპტიმისტურად ვუყუროთ"*.

მუნიოსი, როგორც ფეხბურთელი "სარაგოსასა" და "ბარსელონაში" თამაშით იყო ცნობილი. მის ანგარიშზეა 30 თამაში ესპანეთის ნაკრებში. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ის მუშაობდა "ვილიარეალსა" და მშობლიურ "სარაგოსაში", ვისთან ერთადაც ესპანეთის თასი მოიგო. მას უმუშავია ესპანეთის ფარგლებს გარეთაც – 2006/07 წლებში "პანათინაიკოსს" ედგა სათავეში. 2009 წლის შემდეგ კი ის უმუშევარი იყო.

ბოლოს კი გეტყვით, რომ წლის დასაწყისში ბატონმა ვიქტორმა კონტრაქტი კინაღამ გროზნოს "ტერეკთან" გააფორმა. კლუბმა ოფიციალურად გაავრცელა ინფორმაცია, რომ შეთანხმება უკვე მიღწეული იყო, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ჩეჩნურმა მხარემ იჩქარა. ესპანელმა კონტრაქტს ხელი არ მოაწერა. დაიწერა, თითქოს ყველაფრის მიზეზი მუნიოსის ფინანსური მოთხოვნები იყოო.



ვიქტორ მუნიოსმა სამწვრთნელო კარიერა განაახლა

პარი სენ-ჟერმენი

# შეთავაზება აბიდალს



ერიკ აბიდალმა კარიერა შეიძლება პსჟ-ში განაგრძოს

ესპანური სპორტული ვებგვერდების ცნობით, საფრანგეთის ნაკრებისა და "ბარსას" ცენტრალურმა მცველმა **ერიკ აბიდალმა** "პარი სენ-ჟერმენისგან" საინტერესო წინადადება მიიღო – 3-წლიანი კონტრაქტი და მომატებული ანაზღაურება. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელთან კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე მოლაპარაკებას კატალონიელებიც აწარმოებდნენ, მაგრამ 31 წლის ფეხბურთელმა ხელშეკრულების 2013 წლამდე გაგრძელებაზე უარი თქვა. ესპანელებმა ფრანგს გასაგებად მიანიშნეს, რომ უკეთესი პირობებით შეთავაზებას არ უნდა ელოდოს, არსებულზე კი პასუხის გასაცემად დრო 31 დეკემბრამდე მისცეს. თუკი იქამდე ერიკი კონტრაქტს ხელს არ მოაწერს, ფეხბურთელთან მოლაპარაკება საბოლოოდ შეწყდება. ამასობაში პარიზელებმა დრო იხელთეს და აბიდალს თავიანთი პირობები შესთავაზეს, სადაც ლაპარაკია, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ვეტერანი პარიზელთა ადმინისტრაციაში მიიღებს სამსახურს.

ეს-ეს არის, სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, მაგრამ ფრანგი თუ იტალიელი ჟურნალისტების ფანტაზიას საზღვრები არა აქვს. მათ უკვე დაიწყეს წერა, თუ ვინ გადავა იანვარში "პარი სენ-ჟერმენში" და პირველი ასეთი "კანდიდატურა" უკვე მონახეს. ლაპარაკია "ნაპოლის" 24 წლის სლოვაკ ლეგიონერზე, შემტევ ნახევარმცველ **მარეკ ჰამშიკზე**. აღნიშნულმა ჭორებმა ფეხბურთელი ლამის წყობილებიდან გამოიყვანა. *"ეს სიგიჟეა. სატრანსფერო ბაზარი რამდენიმე დღეა, რაც დაიხურა, მაგრამ ჟურნალისტები უკვე იმაზე წერენ, თუ რა მოხდება იანვარში. რას ვუპასუხებ ლეონარდოს შემოთავაზებას, თუკი მას მივიღებ? არსად გადასვლას არ ვაპირებ, არც იანვარში, არც მას მერე. "ნაპოლიში" თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ. მინდა ტიტულები ამ გუნდთან ერთად მოვიგო,"* – განუცხადა მან "გაძეტა დელო სპორტს".

ამბები



## ცეცხლოვანი კინი ყინულოვან ისლანდიაში

"მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარულმა კაპიტანმა **როი კინმა** აქტიური კარიერა 2006 წელს დაასრულა, თუმცა უფეხბურთოდ დიდხანს ვერ გაძლო და იმავე წელს სამწვრთნელო საქმიანობას შეუდგა. თავდაპირველად მას საქმეები საუკეთესოდ მისდიოდა, მაგრამ საბოლოოდ ნამდვილად ვერ ვიტყვით, როგორც მწვრთნელი უკვე შედგა-თქო. არადა, პატარაც აღარ ეთქმის, ირლანდიელი ხომ უკვე 40 წლისაა. ინგლისურმა პრესამ დაწერა, რომ როი ისლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე უმთავრესი კანდიდატურაა. კინი ისლანდიელთა შეთავაზებით კმაყოფილი უნდა იყოს, რადგან იანვარში "იფსვიჩიდან" ვადაზე ადრე გაშვების შემდეგ უსაქმოდ ზის. როი უკვე გაემგზავრა რეიკიავიკში და დღეს ისლანდიისა და კვიპროსის ნაკრებების თამაშს ტრიბუნებიდან მიადევნებს თვალს. თუმცა გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, რადგან ისლანდიელებს სხვა კანდიდატურებიც ჰყავთ, მაგალითად 56 წლის **სტივ კოპელი**, ვინც უკვე წელიწადია უმუშევარია. განიხილება კიდევ ერთი უმუშევრის, შვედეთის ნაკრების ყოფილი თავკაცის, 63 წლის **ლარს ლაგერბაკის** კანდიდატურა.

## სანდერლენდი არ ნებდება

"სანდერლენდის" მთავარი მწვრთნელი **სტივ ბრუსი** ზამთარში კიდევ ერთხელ შეეცდება "ტოტენჰემიდან" 29 წლის **რომან პავლიუჩენკოს** გადაბირებას. "კატები" ლონდონელთა შემტევის შეძენას 31 აგვისტოს ჩათვლით ცდილობდნენ, მაგრამ "დეზების" ხელმძღვანელობის დაყოლიება ვერაფრით მოახერხეს. თავის მხრივ მათი პოზიციაც გასაგებია, რადგან ვერაფრით მოახერხეს კიდევ ერთი ვეტერანის, "სტოკ სიტიში" გადაბარგებული 30 წლის **პიტერ კრაუჩის** შემცვლელის დაბევება. ბუნებრივია, ამ დროს პავლუჩენკოსთან გამოთხოვება კიდევ ერთი სერიოზული დარტყმა იქნებოდა **ჰარი რედნაპის** ამბიციური გეგმებისთვის. სამაგიეროდ, სტივ ბრუსის ბანაკში "არსენალიდან" **ნიკლას ბენდტნერი** გადავიდა. ამის მიუხედავად, "ფიფლის" ვარაუდით, ზამთარში "ტოტენჰემი" ახალ თავდამსხმელს შეიძენს თუ არა, რუს ფეხბურთელს უმალ "სანდერლენდისკენ" დაულოცავს გზას.

## ბლანი: ნასრი სწორად მოიქცა

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლორან ბლანმა სამირ ნასრის** "მანჩესტერ სიტიში" გადასვლის გადაწყვეტილება მოეწონა. *"სიტიში" სამირი სულ სხვა დონეზე ათამაშებას შეძლებს. ასე უმჯობესი იქნება როგორც მისთვის, ისე საფრანგეთის ნაკრებისთვისაც. აუცილებლად დავაკვირდები, სად უფრო ეფექტური იქნება - ახალ გუნდში, მოედნის ცენტრში თუ ფლანგებზე. ნასრის ბრწყინვალე მონაცემები აქვს, მაგრამ მისი ეფექტურობა იმაზეა დამოკიდებული, სად გამოიყენებს მას მწვრთნელი,"* – განაცხადა საფრანგეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში "მამლების" მთავარმა მწვრთნელმა.

## ილდირიმი გალაში

მკითხველს ვთხოვთ, ნუ გაიკვირვებს, რადგან თურქეთში მომხდარი საფეხბურთო სკანდალების შემდეგ ფეხბურთის ფედერაციამ კლუბებს სატრანსფერო სეზონი გუშინდელი დღის 24:00 სთ-მდე გაუგრძელა.

"ბურსასპორისა" და თურქეთის ნაკრების 21 წლის თავდამსხმელის **სერქან ილდირიმის** შეძენა კიევის "დინამოს" სურდა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. მხარეები საკომპენსაციო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. სამაგიეროდ ფეხბურთელი გუშინ "გალათასარაიში" გადაბარგდა. სერქანი თავისი დაუდგრომელი ხასიათით არის ცნობილი და მასთან გამოთხოვების მიზეზიც სწორედ ეს გარემოებაა.

"ლომებს" კიდევ ერთი ტრანსფერის განხორციელება სურდათ, მაგრამ საბოლოოდ არაფერი გამოუვიდათ. "ინტერმა" განელი ნახევარმცველის, 27 წლის **სალი მუნტარის** გაყიდვაზე უარი თქვა. სტამბოლელები ტრანსფერის საკითხს იანვარში ისევ მიუბრუნდებიან. იქამდე აფრიკელი ისევ "ინტერის" ღირსებას დაიცავს.

## ტრაგედია საბერძნეთში

საბერძნეთის ქალაქ ირაკლიონში საფეხბურთო კლუბების, უმაღლესლიგელი ოფი-სა და ქვედალიგელი "იროდოტოსის" გულშემატკივრებს შორის ჩხუბის შედეგად 21 წლის ახალგაზრდა ცივი იარაღით მიყენებული მრავლობითი დაზიანებების გამო დაიღუპა, ორი კი მძიმედ დაშავდა. თუმცა პირველადი სამედიცინო ჩარევის შემდეგ მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. მოწმეთა თქმით, შეტაკებაში 30-მდე ადამიანი მონაწილეობდა. ბუნებრივია, პოლიციამ უკვე დაიწყო სისხლის სამართლის საქმის წარმოება. ეჭვმიტანილების ვინაობა უკვე ცნობილია.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მარსელინო საჭირო კაცია

## სევილია ბალანსით შეუტევს

„სევილიას“ ახალმა თავკაცმა **მარსელინომ** მკვეთრად განუსაზღვრა თავის ფეხბურთელებს, რომ კლუბში ძველი დრო დასრულდა - მხოლოდ დაცვითი ფეხბურთით გუნდი ვერაფერს მიაღწევს, ისევე როგორც მხოლოდ თავგადაკლული შეტევებით - საჭიროა ბალანსი, რომელიც თითქმის არასოდეს იგრძნობოდა ბოლოდროინდელ „სევილიაში“.

სევილიელთა პრეზიდენტმა **ხოსე მარია დელ ნიდომ** მალევე გაიგო, რომ სწორი არჩევანი გააკეთა - ახალგაზრდა **მარსელინო გარსია ტორალი** ზუსტად ის კაცია, ვინც გუნდს სჭირდებოდა. ასტურიელი სპეციალისტი იმით არის გამორჩეული, რომ თავის იდეებს არ მალავს, ყოველთვის ბოლომდე და ნათლად აყალიბებს თავის სათქმელს და არა მხოლოდ თავის ფეხბურთელებთან. რაღაცით ის **ჟოზე მოურინიოს** წააგავს. მან თქვა, რომ გუნდში უნდა ჰყავდეს 23 სრულფასოვანი ფეხბურთელი. შეიცვლება ტაქტიკური სქემაც, გუნდი თამაშს 4-4-2 განლაგებაზე ააწყობს. დაცვასა და თავდასხმას შორის დამყარდება ერთგვარი ბალანსი. შეტევაში წასული ფეხბურთელი დაკარგავს ბურთს, ის დაუყოვნებლივ დაცვას უნდა დაეხმაროს. საოცარია, მაგრამ გასულ სეზონში ასე არ ხდებოდა.

გასულ სეზონში „სევილიას“ ბევრი გაჰქონდა და ბევრსაც უშვებდა (ორივე მაჩვენებლით მე-4 იყო პრიმერაში). მარსელინომ იყიდა მარჯვენა მცველი **კოკე** და ცენტრალური მცველი **ემირ სპაჰიჩი**. დიდი იმედი აქვთ **პიოტრ ტროხოვსკის**, რომელიც უნივერსალური ნახევარმცველია. „სევილიას“ ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ წარმატებული სეზონი ჰქონდეს.

### ციტატები

**ხოსე მარია დელ ნიდო**: *„ამ სეზონში მინდა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავოს. „სევილია“ იმსახურებს, რომ პრიმერაში მესამე ძალა იყოს“.*

**მარსელინო**: *„ვარჯიშებზე ვუყურებ ტროხოვსკის და ოპტიმიზმი მემატება. დარწმუნებული ვარ, რომ ის ძალიან წარმატებული იქნება გუნდში“.*

**მანუ დელ მორალი**: *„ყველა ფეხბურთელს სურს დიდ კლუბში თამაში და მეც ამიხდა ოცნება“.*

### სეზონის მიზანი: ჩემპიონთა ლიგის საგზური

გუნდის პრეზიდენტს კი სურს მესამე ადგილი, თუმცა ალბათ არც ლიგის პლეი ოფის საგზურის მომტან მეოთხეზე იქნება უარზე. აი, ნაკლები კი უკვე წარუმატებლობად ჩაეთვლება მარსელინოს. გუნდს შესწევს იმის ძალა, რომ ლიგის საგზურისთვის იბრძოლოს, თუმცა კონკურენტიც საკმაოდ ჰყავს.

### ტრანსფერები

**მივიდნენ**: **პიოტრ ტროხოვსკი** („ჰამბურგი“, თავ. აგენტი), **მანუ დელ მორალი** („ხეტაფე“, 4,5 მლნ. ევრო), **მარტინ კასერესი** („ბარსელონა“, 3 მლნ), **ემირ სპაჰიჩი** („მონპელიე“, 2 მლნ), **კოკე** („რაიო ვალეკანო“, 1,8 მლნ), **ბერნარდო ესპინოსა** („სევილია ბ“), **ხოსე გომეს კამპანია** („სევილია ბ“), **ემილიანო არმენტეროსი** („რაიო ვალეკანო“), **ტომ დე მული** („სტანდარდი“), **ანტონიო ლუნა** („ალმერია“).

**წავიდნენ**: დრაგუტინოვიჩი, ხოსე კარლოსი, ალფარო, ზოკორა, კაპელი, ს. სანჩესი, როდრი, დაბო, პრიეტო, რომარიკი, კალა, აკოსტა, კონე, ესპინოსა.

### დოსიე

**სევილია ფუტბოლ კლუბ**



**დაარსდა**: 1905 წ.

**სტადიონი**: სანჩეს პისხუანი, 45 500

**პრეზიდენტი**: ხოსე მარია დელ ნიდო

**მწვრთნელი**: მარსელინო გარსია ტორალი

**კლუბის წევრი**: 39 000

ჩემპიონი (1946), თასის მფლობელი (1935, 1939, 1948, 2007, 2010), სუპერთასი (2007), უეფას თასი (2006, 2007), უეფას სუპერთასი (2006).

**მეტსახელი**: ლოს როხიბლანკოსი, ლოს ნერვიონენსესი, ლოს პალანგანასი

**გასულ სეზონში**: მე-5 ადგილი

**ოფიციალური საიტი**:
http://www.seviliafc.es/

**ყველაზე მეტი თამაში 2010/11**: ნეგრედო (38), პეროტი (31), ნავარო (30), ესკუდე (28), კანუტე (28).

**ყველაზე მეტი გოლი 2010/11**: ნეგრედო (20), კანუტე (12), ლუიშ ფაბიანო (10), რაკიტიჩი (5), პეროტი (3).

### გუნდი 2011/12

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. **ანდრეს პალოპი** | 22.10.1973 |
| 13. **ხავი ვარასი** | 10.09.1982 |
| 29. **დანი ხიმენესი** | 05.03.1990 |
| **მცველები** | |
| 3. **ფერნანდო ნავარო** | 25.06.1982 |
| 4. **მარტინ კასერესი** (ურუგვაი) | 07.04.1987 |
| 5. **ალექსის რუანო დელგადო** | 04.08.1985 |
| 6. **ემირ სპაჰიჩი** (ბოსნია) | 18.08.1980 |
| 14. **ჟულიენ ესკუდე** (საფრანგეთი) | 17.08.1979 |
| 19. **ანტონიო ლუნა** | 17.03.1991 |
| 23. **ანდუხარ კოკე** | 26.04.1987 |
| 33. **სამუ დე ლოს რეისი** | 15.02.1992 |
| **ნახევარმცველები** | |
| 7. **ხესუს ნავასი** | 21.11.1985 |
| 8. **გარი მედელი** (ჩილე) | 03.08.1987 |
| 10. **დიეგო პეროტი** (არგენტინა) | 26.07.1988 |
| 11. **ივან რაკიტიჩი** (ხორვატია) | 10.03.1988 |
| 15. **პიოტრ ტროხოვსკი** (გერმანია) | 22.03.1984 |
| 16. **ხოსე კამპანია** | 31.05.1993 |
| 17. **ტიბერიუ გუარენტე** (იტალია) | 01.11.1985 |
| 18. **ემილიანო არმენტეროსი** (არგენ.) | 18.01.1986 |
| 24. **ტომ დე მული** (ბელგია) | 04.03.1986 |
| 27. **სალვა რივასი** | 01.08.1990 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. **ალვარო ნეგრედო** | 20.08.1985 |
| 12. **ფრედერიკ კანუტე** (მალი) | 02.09.1977 |
| 20. **მანუ დელ მორალი** | 25.02.1984 |
| 26. **ლუის ალბერტო** | 28.09.1992 |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით წარწერა მაისურზე*

# ღამურები ბოლომდე ბრძოლას გვპირდებიან

## ემერი ტაქტიკას ცვლის

„ვალენსია“ და მისი თავკაცი **უნაი ემერი** რთულ სიტუაციაში არიან - თუკი პრიმერას რეალისტის თვალით შეხედავ, ეგრევე მიხვდები, რომ „ღამურებს“ მესამე ადგილზე ზემოთ აფრენა არ შეუძლიათ. მესამე ადგილი კი კლუბმა ისედაც მყარად დაიმკვიდრა. მოკლედ, როცა წინსვლის მოტივაცია ფანტასმაგორიულია, ერთადერთი შენარჩუნებაზე უნდა იფიქრო, ეს კი თავისთავად ფსიქოლოგიურ პრობლემებს შობს...

ესპანურ პრიმერაში ხომ ორი ლიგაა რეალურად, ერთში „ბარსელონა“ და „რეალი“ არიან, მეორეში დანარჩენები. მოკლედ, „ვალენსია“ დედამიწელთა ჩემპიონია, რაც თავისთავად ცუდი არ არის, თუმცა „უცხოპლანეტელებთან“ მეტისმეტად შორსაა. გუნდის პრეზიდენტი **მანუელ ლორენტე** კარგი ფინანსისტი და ის ყველა ხერხებით ცდილობს კლუბი რთული სიტუაციიდან გამოიყვანა და ბიუჯეტი დააბალანსოს. დეფიციტი ალმოსაფხვრელია, არ შეიძლება ბევრის ხარჯვა, თუმცა არც გუნდის გულშემატკივართა მომდურება იქნება მომგებიანი. ლორენტემ კარგი პოლიტიკა აწარმოა, შემტევი პოტენციალი აძლიერა და ბოლოს... **ხუან მატა** „ჩელსიში“ გაყიდა. პრეზიდენტი, ასე ვთქვათ, აგუებდა „ღამურების“ გულშემატკივრებს მატას წასვლას, **პიატისა** და **კანალესის** გადაბირებით.

უნაი ემერი კარგი ტაქტიკოსია, მას უყვარს მუდმივი ძიებები და ცვლილებები. ბასკმა ახლაც შეცვალა გუნდში რაღაც რაღაცები, თუმცა მთავარი პრინციპების ერთგული დარჩა. აი, ისინიც: გუნდმა მეტოქე მუდმივ წნეხში უნდა მოაქციოს, კონტრშეტევაზე ეგრევე გადავიდეს, გრძელ პასებს მოერიდოს, რისკი შეიძლება, ოღონდ მხოლოდ გამართლებული.

წლევანდელ „ვალენსიას“ გაცილებით დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს და თითოეულ პოზიციაზე დიდი კონკურენციაც გაჩნდა. **სესარის** წასვლის შემდეგ, გუნდს ორი თანაბარძალოვანი მეკარე ჰყავს **გუაიტა** და **დიეგო ალვეში**. **პარეხოს**, პიატისა და კანალესის შემატება „ღამურების“ შემტევ პოტენციალს ზრდის და, შესაძლოა, გუნდს მატასა და ხოაკინის წასვლა დიდად არც კი დაეტყოს. ახალი ფეხბურთელები იმის შესაძლებლობას იძლევიან, რომ ემერიმ 4-2-3-1-ის ნაცვლად 4-3-3-ით თამაში სცადოს. ანუ ჩვენ უფრო შემტევი „ვალენსიის“ ხილვა მოგვიწევს.

### ციტატები

**არიც ადურისი**: *„ვალენსიას“ დიდებული შემადგენლობა ჰყავს“.*

**სერხიო კანალესი**: *„ახალ კლუბში ბოლომდე დავიხარჯები, პირობას ვდებ“.*

**დიეგო ალვეში**: *„ვალენსიაში“ თამაში ჩემი ოცნება იყო. აქ ისიც მიადვილებს ადაპტაციას, რომ უნაი ემერი ჩემი მწვრთნელი იყო „ალმერიაში“ თამაშისას“.*

### სეზონის მიზანი: მესამე ადგილის შენარჩუნება

როდესაც უნაი ემერის მიზნებზე ჰკითხეს, ხატოვნად მიუგო - ლა ლიგაში, თასზე და ჩემპიონთა ლიგაზე ბოლომდე ბრძოლაა ჩვენი მიზანიო.

### ტრანსფერები

**მივიდნენ**: **კრიშტიანო პერეირა** („ბრაგა“, თავ. აგენტი), **ვიქტორ რუისი** („ნაპოლი“, 8 მლნ. ევრო), **პაბლო პიატი** („ალმერია“, 7,5 მლნ), **ადილ რამი** („ლილი“, 6 მლნ), **დანიელ პარეხო** („ხეტაფე“, 6 მლნ), **დიეგო ალვეში** („ალმერია“, 3 მლნ), **ანტონიო ბარაგანი** (1,5 მლნ), **ხუან ბერნატი** („ვალენსია ბ“), **სერხიო კანალესი** („რეალი“, 2 მლნ), **სოფიან ფეგული** („ალმერია“).

**წავიდნენ**: ვისენტე, სესარი, დ. ნავარო, დელ ორნო, ნიგუესი, რენანი, სანი, გონსალესი, ხოაკინი, მატა, ფერნანდეში, დომინგესი, მიჩელი.

### დოსიე

**ვალენსია კლუბ დე ფუტბოლ**



**დაარსდა**: 1919 წ.

**სტადიონი**: მესტალია, 55 000

**პრეზიდენტი**: მანუელ ლორენტე

**მწვრთნელი**: უნაი ემერი

**კლუბის წევრი**: 45 100

ჩემპიონი (1942, 1944, 1947, 1971, 2002, 2004), თასის მფლობელი (1941, 1949, 1954, 1967, 1979, 19[illegible], 2008), სუპერთასი (1999), უეფას თასი (2004), უეფას სუპერთასი (1980, 2004).

**მეტსახელი**: ლოს ჩე, ელს ტარონხა

**გასულ სეზონში**: მე-3 ადგილი

**ოფიციალური საიტი**:
http://www.valenciacf.com/

**ყველაზე მეტი თამაში 2010/11**: სოლდადო (34), მატა (33), ხოაკინი (30), ადურისი (29), რიკარდო კოშტა (29).

**ყველაზე მეტი გოლი 2010/11**: სოლდადო (18), ადურისი (10), მატა (8), პაბლო ერნანდესი (5), ხოაკინი (4).

### გუნდი 2011/12

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. **დიეგო ალვეში** (ბრაზილია) | 24.06.1985 |
| 13. **ვისენტე გუაიტა** | 18.02.1987 |
| 43. **კრიშტიანო პერეირა** (პორტ.) | 29.11.1990 |
| **მცველები** | |
| 2. **ბრუნო სალტორი** | 10.01.1980 |
| 3. **ჰედვიგეს მადურო** (ჰოლანდია) | 13.02.1985 |
| 4. **ადილ რამი** (საფრანგეთი) | 27.12.1985 |
| 12. **ანტონიო ბარაგანი** | 12.06.1987 |
| 15. **ანხელ დეალბერტი** | 01.01.1983 |
| 18. **ვიქტორ რუისი** | 25.01.1989 |
| 20. **რიკარდო კოშტა** (პორტუგალია) | 16.05.1981 |
| 22. **ჟერემი მატიო** (საფრანგეთი) | 10.05.1985 |
| 23. **ლუიშ მიგელ ბრიტო** (პორტ.) | 04.01.1980 |
| **ნახევარმცველები** | |
| 5. **მეჰმეთ თოფალი** (თურქეთი) | 03.03.1986 |
| 6. **დავიდ ალბელდა** | 01.09.1977 |
| 8. **სოფიან ფეგული** (საფრანგეთი) | 26.12.1989 |
| 10. **ევერ ბანეგა** (არგენტინა) | 29.06.1988 |
| 16. **სერხიო კანალესი** | 16.02.1991 |
| 17. **ხორდი ალბა** | 21.03.1989 |
| 19. **პაბლო ერნანდესი** | 11.04.1985 |
| 21. **დანიელ პარეხო** | 16.04.1989 |
| 24. **ტინო კოსტა** (არგენტინა) | 09.01.1985 |
| 28. **ხუან ბერნატი** | 01.03.1993 |
| **თავდამსხმელები** | |
| 7. **ჟონას გონსალვეშ ოლივეირა** (ბრაზ.) | 01.04.1984 |
| 9. **რობერტო სოლდადო** | 27.05.1985 |
| 11. **არიც ადურისი** | 11.02.1981 |
| 14. **პაბლო პიატი** (არგენტინა) | 31.03.1989 |

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი. ვუელტა

# ლიდერი ისევ შეიცვალა. საბოლოოდ?



ახალი ლიდერი

სეზონის რიგით მესამე გრანდ-ტურზე - ვუელტაზე ყველაზე მოკლე, მაგრამ ყველაზე რთული ეტაპი გაიმართა, რომელსაც, შესაძლოა, სერიოზული ცვლილებები შეეტანა გენერალურ კლასიფიკაციაში.

142-კილომეტრიანი მარშრუტის ფინიში ლანგლირუს ლეგენდარულ მთაზე იყო დაგეგმილი, რომელზეც ველომრბოლებს 13 პროცენტი დახრილობის 7-კილომეტრიანი აღმართი უნდა დაეძლიათ.

ეტაპის მსვლელობისას, ტრადიციულად იყო შეტევები იმ ველომრბოლებისგან, რომლებიც პრეტენზიას არ აცხადებენ საერთო ჩათვლაში გამარჯვებაზე. პირველი ასეთი შეტევა გამოუვიდა ამერიკელ **ენდრიუ ტალანსკის**, რომელსაც ფრანგი **დიმიტრი შამპიონი** და გერმანელი **სიმონ გეშკე** აყვნენ. პირველი საშუალედო ფინიში 27-ე კილომეტრზე სწორედ გეშკემ მოიგო.

შემდეგ იყო პირველი სერიოზული მთა - ალტო დელ კორდალი, რომელიც პირველმა **დავიდ მონკუტიემ** გადალახა. ამით ფრანგმა განიმტკიცა ლიდერობა „მთის მეფის" კლასიფიკაციაში. ამასობაში, პელოტონი სამ გაქცეულ ველომრბოლს დაეწია და ცხადი გახდა, რომ გამარჯვებული ლანგლირუს მთაზე გაირკვეოდა.

პელოტონში საკმაოდ დამაჯერებლად გრძნობდა თავს ლიდერის წითელი მაისურის მფლობელი **ბრედლი უიგინსი**, ძირითად ჯგუფს კი სათავეში **ნიბალი** და **საგანი** ედგნენ.

ფინიშის მოახლოებასთან ერთად, ფავორიტთა აქტიურობაც გაიზარდა. გაქცევა სცადა შარშანდელი ვუელტას ერთ-ერთმა გმირმა **იგორ ანტონმა**, მაგრამ უფრო შთამბეჭდავი იყო მეორე ესპანელის - **ხუან ხოსე კობოს** იერიში, რომელიც ფინაშამდე ოთხი კილომეტრით ადრე ჩაუდგა სათავეში რბოლას და სულ მალე კონკურენტებზე 30-წამიანი უპირატესობა მოიპოვა.

მისი შემჩერებელი არავინ იყო და საბოლოოდ, ბასკმა უახლოეს მდევარს 48 წამი მოუგო. რაც მთავარია, ამ გარღვევამ კობოს ლიდერის წითელი მაისურა და ვუელტას მოგების რეალური შანსი მოუტანა, არადა, აქამდე კობო ესპანურ ველომარათონში მეათე ადგილზე ზემოთ არასოდეს ასულა, ამიტომაც არავინ მიიღო სათვალავში მისი შეტევა.

რაც შეეხება წინა ლიდერს, ბრიტანელ ბრედლი უიგინსს, მან კობოსთან წუთი და 20 წამი წააგო და გენერალურ კლასიფიკაციაში ჩამოქვეითდა.

გუშინ, ვუელტაზე დასვენების დღე იყო, დღეს კი ველომრბოლები ბასკეთს ეწვევიან - პირველად ბოლო 33 წლის განმავლობაში.

**XV ეტაპი**

1. **ხუან ხოსე კობო** (ესპანეთი, Geox) - 4:01.55; 2. **ვოუტერ პოელსი** (ჰოლანდია, Vacansoleil) - +0.48; 3. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Geox) - იგივე დრო; 4. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +0.49; 5. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +1.20; 6. **იგორ ანტონი** (ესპანეთი, Euskaltel-Suakdi) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ხუან ხოსე კობო** (ესპანეთი, Geox) - 59:57.16; 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +0.20; 3. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +0.46; 4. **ბოკ მოლემა** (ჰოლანდია, Rabobank) - +1.36; 5. **მაქსიმ მონფორი** (ბელგია - Leopard-Trek) - +2.37; 6. **დენის მენშოვი** (რუსეთი, Geox) - +3.01; 7. **იაკობ ფუგლსანგი** (დანია, Leopard-Trek) - +3.06; 8. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია, Liquigas) - +3.27; 9. **იურგენ ვან დენ ბრეკი** (ბელგია, Omega Pharma-Lotto) - +3.58; 10. **ვოუტერ პოელსი** (ჰოლანდია, Vacansoleil) - +4.13...

მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ჩემპიონმა ნავსი გატეხა

მოტოგრანპრის მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი „მიზანო ადრიატიკოს" ტრასაზე გაიმართა. ეს იყო სან მარინოს გრანპრი, რომელსაც ჩემპიონატის ლიდერი, ავსტრალიელი **კეისი სტოუნერი** ზედიზედ სამი მოგებით შეხვდა და ამ სერიის გაგრძელების იმედი ჰქონდა, მით უმეტეს, რომ „ჰონდას" მოტომრბოლმა შაბათს კვალიფიკაცია მოიგო და პირველი იდგა სასტარტო ბილიკზე.

მაგრამ პირველივე მოსახვევში სტოუნერს მოქმედმა ჩემპიონმა **ხორხე ლორენსომ** გაუსწრო. ასევე კარგი სტარტი გამოუვიდა ლეგენდარულ **ვალენტინო როსის**, რომელმაც რამდენიმე პოზიცია მოიგო და მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა, მაგრამ მოგვიანებით ის უკან ჩამოიტოვა **მარკო სიმონჩელიმ**.

ეს უკანასკნელი მეხუთე ადგილით არ დაკმაყოფილდა და სულ მალე **ანდრეა დოვიციოზოს** შეუტია. იერიში წარმატებული გამოდგა და სიმონჩელი მეოთხე პოზიციაზე გადავიდა.

ამასობაში, სტოუნერმა მეორე ადგილიც დაკარგა. მას კარგა ხანი კვალში ედგა **დანი პედროსა**, რომელმაც, საბოლოოდ, ფინიშამდე ხუთი წრით ადრე გაუსწრო გენერალური კლასიფიკაციის ლიდერს.

ბრწყინვალე ბრძოლა გაიმართა ბოლო წრეზე მეოთხე ადგილისთვის. დოვიციოზო ბოლომდე ავიწროებდა სიმონჩელის, ამ იტალიურ დუეტს კი, თავის მხრივ, ამერიკელი **ბენ სპისი** ავიწროებდა. დიდი ბრძოლის მიუხედავად, მათი პოზიციები არ შეცვლილა.

გამარჯვება კი დიდხნიანი შესვენების შემდეგ ლორენსომ მოიპოვა და 35 ქულამდე შეამცირა სხვაობა სტოუნერთან, რაც ჩემპიონატის საინტერესო დასასრულს გვპირდება.



ხორხე ლორენსო

**სან მარინოს გრან-პრი**

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 28 წრე; 2. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - +7.299; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა") - +11.967; 4. **მარკო სიმონჩელი** (იტა, „ჰონდა") - +17.353; 5. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - +17.390; 6. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - +18.092; 7. 3. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი") - +23.703...

**საერთო ჩათვლა**

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი") - 259 წრე; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 224; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - 185; 4. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 150; 5. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - 135; 6. **ვალენტინო როსი** (იტა, „იამაჰა") - 133...

ფორმულა 1

# ნიკი აღარ იჩივლებს



ნიკ ჰაიდფელდი

„ლოტუს-რენოს" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება ფრანგულ საჯინიბოსა და გერმანელ **ნიკ ჰაიდფელდს** შორის კონტრაქტის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ წლის დასაწყისში „ლოტუს-რენოში" ტრავმირებულ **რობერტ კუბიცას** შემცვლელად მიწვეული ჰაიდფელდი ბელგიის გრანპრიმდე ჩამოაშორეს რბოლებს და მის ნაცვლად საპრიზო პილოტად ბრაზილიელი **ბრუნო სენა** მიიყვანეს, არადა, გერმანელის კონტრაქტი წლის ბოლომდე იყო ძალაში.

საჯინიბოს ხელმძღვანელთა აზრით, ჰაიდფელდის შედეგები არ შეესაბამებოდა მათ მოლოდინს და გუნდისთვის ახალი იმპულსის მისაცემად სეზონის ბოლომდე ბოლიდის საჭე ახალგაზრდა სენას ჩააბარეს. თავდაპირველად ჰაიდფელდმა ამ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება გადაწყვიტა, მაგრამ „ლოტუს-რენოს" იურიდიულ სამსახურთან კონსულტაციის შემდეგ კონსენსუსამდე მისვლა მოხერხდა.

ასე რომ, უკვე ოფიციალურად არის ცნობილი - 2011 წლის ბოლომდე „ლოტუს-რენოს" მეორე პილოტი ბრუნო სენა იქნება.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2013**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| შვედეთი-ლიტვა | 4:0 |
| შვეიცარია-ხორვატია | 4:0 |
| შოტლანდია-ბულგარეთი | 0:0 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-განა | 1:0 |

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ავსტრია-საბერძნეთი | 3:2 |
| ინგლისი-ისრაელი | 4:1 |
| პორტუგალია-საფრანგეთი | 1:0 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ჩარლტონი-უენსდი | 1:1 |

**იტალია**

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| აველინო-ფოლინო | 2:0 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრაგე-კვიდინგი | 2:2 |
| ლანდსკრონა-იონჩოპინგი | 1:0 |
| ოსტერი-ფალკენბერგი | 1:0 |

**ირლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| უნივერსიტი-შემროკი | 0:6 |

**კალათბურთი**

**[illegible]**

| | |
|---|---|
| ბრიტანეთი-პოლონეთი | 88:81 |
| ესპანეთი-თურქეთი | 57:65 |
| პორტუგალია-ლიტვა | 69:98 |
| ისრაელი-იტალია | 96:95 (ო) |
| ლატვია-გერმანია | 80:81 |
| სერბეთი-საფრანგეთი | 96:97 (ო) |
| ფინეთი-ჩერნოგორია | 71:65 |
| საბერძნეთი-ხორვატია | 74:69 |
| მაკედონია-ბოსნია | 75:63 |
| სლოვენია-რუსეთი | 64:65 |
| უკრაინა-ბელგია | 74:61 |

**ამერიკა**

| | |
|---|---|
| დომინიკა-პანამა | 92:68 |
| ვენესუელა-პუერტო რიკო | 82:94 |
| კანადა-არგენტინა | 53:79 |

**ჩოგბურთი**

**აშშ-ის ღია**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ტიპსარევიჩი-ფერერო | 7:5, 6:7, 7:5, 6:2 |
| ჯოკოვიჩი-დოლგოპოლოვი | 7:6, 6:4, 6:2 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| პავლიუჩენკოვა-სკიავონე | 5:7, 6:3, 6:4 |
| ს. უილიამსი-ივანოვიჩი | 6:3, 6:4 |

TV პროგრამა

**6 სექტემბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ჰერენვეენი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-პსჟ.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბოლტონი.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-მალაგა.
**00:00** ესპანეთის სუპერთასი. რეალი-ბარსელონა.
**02:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ოლ ბოისი-რასინგი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ლეიკერსი.
**14:20** ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). ბარსელონა. ესპანეთი.
**18:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-ატლეტიკო პარანაენსე.
**19:50** კალათბურთი. ევროლიგა. სუპერმატჩი. ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი.
**21:35** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**22:00** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. კლერმონი-ბეარიცი.
**23:50** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ლეიკერსი.

**I არხი**

**22:25** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. მალტა-საქართველო (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:40** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ინგლისი-უელსი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**22:25** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ავსტრია-თურქეთი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**19:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი. კაცები. 1/8 ფინალი. ნიუ იორკი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**19:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი. კაცები. 1/8 ფინალი. ნიუ იორკი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**03:30** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-კონექტიკუტი (LIVE).

**SPORT+**

**22:40** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. იტალია-სლოვენია (LIVE).

**EUROSPORT**

**07:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VIII დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**10:30** სნუკერი. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**18:00** ველოსპორტი. ვუელტა. XVI ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
**19:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IX დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IX დღე. ნიუ იორკი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**17:30** პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. უკრაინა-მექსიკა. იტალია (LIVE).
**19:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IX დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**21:45** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IX დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**02:15** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. IX დღე. ნიუ იორკი (LIVE).

კრივი

# კლიჩკო ერთსაც მოასწრებს



ვლადიმერ კლიჩკო

სუპერმძიმე წონაში სამი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, 35 წლის უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** წელს კიდევ ერთი ბრძოლის ჩატარებას აპირებს. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს ძმები კლიჩკოების მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** მიაწოდა. 2011 წელს უმცროსმა კლიჩკომ მხოლოდ ერთი ბრძოლა ჩაატარა - მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოუგო 30 წლის ბრიტანელ **დევიდ ჰეის**.

გერმანულ ტელეარხ RTL-ს, რომელიც ძმები კლიჩკოების პარტნიორია, მომავალი ბრძოლისთვის ოთხი თარიღი აქვს თავისუფალი - 19 ნოემბერი, 3, 10 და 17 დეკემბერი. *„ის ბრძოლას ნოემბერში ან დეკემბერში ჩაატარებს, - ამბობს ბენტე. - უკვე განვიხილავთ რამდენიმე მოწინააღმდეგის ვარიანტს".*

■ ■ ■

ამერიკულმა ტელეარხმა HBO-მ ლეგენდარული ამერიკელის **მაიკ ტაისონის** ბავშვობასა და კარიერის ადრეულ წლებზე სერიალის შექმნა გადაწყვიტა. ტელეკომპანია უკვე შეუდგა საცდელი სერიის გადაღებას.

ახალი პროექტის გუნდში შევიდნენ: თავად **მაიკ ტაისონი**, ცნობილი რეჟისორი **სპაიკ ლი**, სცენარისტი **ჯონ რიდლი**, სერიალ Entourage-ის შემქმნელი **დაგ ელინი** და პროდუსერი **ჯიმ ლეფკოვიცი**. სერიალს ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ნიუარკში გადაიღებენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ნადალი პრესკონფერენციაზე

# გულწასული ნადალი

**დავიდ ნალბანდიანთან** გამარჯვების შემდეგ **რაფაელ ნადალი** სავალდებულო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების შეკითხვებს პასუხობდა, როცა მოულოდნელად ფეხში საშინელი ტკივილი იგრძნო. ესპანელმა ჩოგბურთელმა სახეზე ხელი აიფარა და საშველად მწვრთნელებს უხმო.

ტკივილი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ჩოგბურთელი სკამიდან იატაკზე ჩამოფოფხდა და მაგიდის ქვეშ შეძვრა. ეს მარტო ტკივილით არ იყო გამოწვეული - როგორც ჩანს, ამით ესპანელს ჟურნალისტებისგან დამალვა სურდა, თუმცა ამით უკუეფექტი მიიღო და ერთგვარი შოუ შესთავაზა დამსწრე პუბლიკას.

სანამ რაფას სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენდნენ, ორგანიზატორებმა სასწრაფოდ გაიყვანეს ოთახიდან პრესის წარმომადგენლები. პრესკონფერენცია დაახლოებით 15 წუთით შეწყდა და დარბაზში დაბრუნებულ ჟურნალისტებს იქ მოღიმარი რაფაელ ნადალი დახვდათ.

*- უბრალოდ ფეხი დამეჭიმა - ეს იყო და ეს. უეცრად საშინელი ტკივილი ვიგრძენი და თავი ვერ შევიკავე. ფეხს ვერ ვამოძრავებდი. მაგრამ ახლა ყველაფერი წესრიგშია. თავისუფლად შემიძლია სიარული. ასეთი რამ არაერთხელ მომსვლია, თუმცა პრესკონფერენციაზე ეს პირველი შემთხვევა იყო. ჩვეულებრივი ამბავია და ის გასახდელში რომ მომხდარიყო, ყურადღებას არავინ მიაქცევდა. მაგრამ ეს აქ, პრესკონფერენციის დროს მოხდა და ამიტომაც მივიღეთ ასეთი შოუ. მოკლედ ყველაფერი ნორმალურადაა და ხვალ კორტზე ვიქნები,* - განუცხადა ნადალმა სი-ბი-ესის ჟურნალისტს, წარსულში ცნობილ ჩოგბურთელს **მერი-ჯო ფერნანდესს**.

ნადალი ამერიკის ღია პირველობის მერვედფინალში ლუქსემბურგელ **ჟილ მიულერს** უნდა შეხვდეს, რომელმაც გუშინ რუსი **იგორ კუნიცინი** დაამარცხა. ესპანელი მიულერს ცოტა ხნის წინ უიმბლდონზე შეხვდა და პირველ ორ სეტში დიდი გაჭირვებით გაიმარჯვა, მესამეში კი 6:0 გაანადგურა მეტოქე.


კაროლინ ვოზნიაცკი

# როჯერმა დევისის თასი დაადასტურა

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** დაადასტურა დევისის თასის პლეი ოფში გამოსვლა. შვეიცარიის ნაკრებს 16-18 სექტემბერს სიდნეიში მოუწევს ავსტრალიის წინააღმდეგ თამაში.

ეს გახლავთ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ძირითად ჯგუფში გადასასვლელი შეხვედრა. ფედერერის გარდა, შვეიცარიელთა რიგებში ვიხილავთ **სტანისლას ვავრინკას, მარკო ჩიუდინელისა** და **სტეფან ბოლის**.

ავსტრალიელთა სრული შემადგენლობა ჯერჯერობით უცნობია. ამ გუნდის კაპიტანს **პატრიკ რაფტერს** მხოლოდ უიმბლდონის მეოთხედფინალისტისგან - **ბერნარდ ტომიჩისგან** აქვს მიღებული თანხმობა. გარდა ამისა, რაფტერი მსოფლიოს კიდევ ერთი ყოფილი ჩოგნის **ლეიტონ ჰიუიტის** გამოჯანმრთელებას ელოდება. შეგახსენებთ, რომ ლეიტონი ცოტა ხნის წინ დაბრუნდა ტურში, მაგრამ ისევ ტრავმა მიიღო და ამერიკის ღია პირველობაზე გამოსვლა იუარა.

■ ■ ■

ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (WTA) შემაჯამებელი ტურნირის პირველი ორი მონაწილე გაირკვა. მიმდინარე სეზონში აქამდე დაფიქსირებული შედეგების მიხედვით, წლის დასკვნით ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს რუსმა **მარია შარაპოვამ** და დანიელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ**, რომელიც წელს ქალთა ტურის ლიდერია ტიტულების რაოდენობით.

წლის შემაჯამებელი ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 5 მილიონი დოლარია, ნოემბრის დასაწყისში სტამბოლში გაიმართება.

# არგენტინელთა შავი დღე

ამერიკის ღია პირველობა გადამწყვეტ ფაზაში შედის. გუშინ, ქალებმა მერვედფინალში დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა, კაცებმა კი მესამე წრე დაასრულეს.

მორიგი სათამაშო დღის ცენტრალური მატჩი **რაფაელ ნადალსა** და **დავიდ ნალბანდიანს** შორის შედგა. შეხვედრა ორ საათსა და 39 წუთს გაგრძელდა და ესპანელმა სამ სეტში გაიმარჯვა - 7:6, 6:1, 7:5. არგენტინელი პირველ და მესამე პარტიებში კარგად იბრძოდა. საწყის სეტში მან ბრეიკით დაწინაურებაც კი მოახერხა, მაგრამ საკუთარ შეცდომებს ვერაფერი მოუხერხა. ნალბანდიანს 60 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა, ნადალს მხოლოდ 18 და ანგარიშიც შესაბამისი დაფიქსირდა. რაფამ ექვს მატჩში მეოთხედ დაამარცხა ნალბანდიანი.

საერთოდ, გუშინ არგენტინელებს ცუდი დღე ჰქონდათ. ნალბანდიანის გარდა, მესამე წრიდან გამოეთიშნენ ბრძოლას **ხუან იგნასიო ჩელა** და **ხუან მარტინ დელ პოტრო**.

დელ პოტრომ 2008 წლის შემდეგ პირველად წააგო მატჩი ამერიკის ღია პირველობაზე. ჯერ კიდევ მესამე წრეში, თანამემამულე **დიეგო ხუნკეირას** წინააღმდეგ მატჩში ჩანდა, რომ დელ პოტრო ფიზიკურად ძალიან მოიკოჭლებდა. ამჯერადაც, პირველი ორი ხანგრძლივი სეტის შემდეგ არგენტინელმა სერიოზულად უკლო ტემპს და შეცდომებს უმატა. ფრანგმა **ჟილ სიმონმა** პირველი პარტიის წაგების შემდეგ საბოლოოდ მოიპოვა ინიციატივა, 13 ეისი და 47 „ვინერსი" მიითვალა, სამჯერ აიღო მეტოქის მოწოდება, რამაც ოთხსაათიან მატჩში გამარჯვება მოუტანა - 4:6, 7:6, 6:2, 7:6.

ადგილობრივი პუბლიკის გასახარად, მერვედფინალში გააღწია ბოლო დროს კრიზისში მყოფმა **ენდი როდიკმა**. ამერიკელმა ფრანგი **ჟულიან ბენეტოს** წინააღმდეგ ორი სეტი დამაჯერებლად აიღო, მესამეში კი ტაი-ბრეიკის თამაში მოუწია, თუმცა იქაც იღბალი მის მხარეს იყო. არადა, ამერიკელს შეეძლო უფრო სწრაფად დაესრულებინა შეხვედრა, მაგრამ მესამე პარტიის მსვლელობისას შვიდი ბრეიკპოინტი ვერ გამოიყენა.

კარგად იმუშავა როდიკის მთავარმა იარაღმა - მოწოდებამ. ენდის ანგარიშზე 21 ეისი მოდის. მერვედფინალში ამერიკელს სერიოზული მეტოქე ჰყავს ესპანელი **დავიდ ფერერის** სახით, რომელმაც სამ სეტში მოუგო გერმანელ **ფლორიან მაიერს**.

წინა წრეში ჰოლანდიელ **რობინ ჰაასესთან** ხუთსეტიანი მარათონის შემდეგ, ამჯერად იოლი გასეირნება გამოუვიდა ბრიტანელ **ენდი მიურეის**, რომელმაც სამ სეტში მხოლოდ შვიდი გეიმი დაუთმო ესპანელ **ფელისიანო ლოპესს**. ენდიმ ერთი ბრეიკიც არ დაუთმო მეტოქეს და 6:1, 6:4, 6:2 გაიმარჯვა. მერვედფინალში ბრიტანელს ამერიკელი **დონალდ იანგი** შეხვდება. ენდის რევანში აქვს ასაღები, რადგან ამ ამერიკელთან გაზაფხულზე ინდიან უელსის მასტერზე წააგო.

### 1/16 ფინალი

**ჯონ ისნერი (აშშ, 28)**-ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 7:6(9), 6:4, 6:4; **ჟილ სიმონი (საფ, 12)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 18) 4:6, 7:6(5), 6:2, 7:6(3); **დონალდ იანგი (აშშ)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 24) 7:5, 6:4, 6:3; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ, 25) 6:1, 6:4, 6:2; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-ფლორიან მაიერი (გერ, 26) 6:1, 6:2, 7:6(2); **ენდი როდიკი (აშშ, 21)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 6:1, 6:4, 7:6(5); **ჟილ მიულერი (ლუქ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:1, 6:4, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ) 7:6(5), 6:1, 7:5.

### 1/8 ფინალი

ჯოკოვიჩი (1)-დოლგოპოლოვი (22); ტიპსარევიჩი (20)-ფერერო; ფედერერი (3)-მონაკო; ცონგა (11)-ფიში (8); ისნერი (28)-სიმონი (12); იანგი-მიურეი (4); ფერერი (5)-როდიკი (21); მიულერი-ნადალი (2).


ხუან მარტინ დელ პოტრო

# ისტორიული მატჩი

ქალებმა პირველი ოთხი მეოთხედფინალისტი გამოავლინეს. დღის ყველაზე სანახაობრივი მატჩი **სამანტა სტოსურმა** და **მარია კირილენკომ** ითამაშეს, თუმცა პირველი სეტი, რომელიც ავსტრალიელმა იოლად - 6:2 მოიგო, ასეთ სცენარს არ მოასწავებდა.

მეორე სეტში სტოსურს აღარ ჰქონდა დიდი უპირატესობა. თუ პირველ პარტიაში რუსმა მხოლოდ ერთი „ვინერსი" შეასრულა, ამჯერად სუფთად მოგებული ბურთების რაოდენობამ უნებლიე შეცდომებს გადააჭარბა. სეტის მსვლელობისას კირილენკომ ორჯერ აიღო მეტოქის მოწოდება, მაგრამ სტოსური ახერხებდა ანგარიშის გათანაბრებას. საბოლოოდ, ყველაფერი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, რომელიც ძალიან დრამატულ რბოლაში წარიმართა. რუსმა ჩოგბურთელმა ხუთი (!) მატჩბოლი მოიგერია, თანაც მსაჯებმა ორჯერ კირილენკოს დარტყმისას აუტი დააფიქსირეს და მარიას ორივეჯერ Hawk-eye-ის სისტემამ უშველა. მეტოქეს არც სტოსური ჩამორჩა და მან ხუთი სეტბოლი მოიგერია, მაგრამ მეექვსეზე შეცდა და მარიამ 17:15 მოიგო შემოკლებული გეიმი.

მესამე პარტიაში კი კირილენკოს ძალები აღარ ეყო, არადა, სტოსურს წინა წრეში სამსაათიანი ბრძოლა ჰქონდა გადატანილი მეორე რუს **ნადეჟდა პეტროვასთან**. 2:2-ის შემდეგ მარიამ ისევ დაიწყო შეცდომების დაშვება. მატჩის ბოლოს მან ორი მატჩბოლი მოიგერია, მაგრამ გამარჯვება მაინც სტოსურს დარჩა - 6:3.

ეს მატჩი ამერიკის ღია პირველობის ისტორიაში შევა, რადგან აქ გათამაშდა ქალებს შორის ყველაზე გრძელი ტაი-ბრეიკი. ეს სისტემა 1970 წლიდან შემოიღეს და წინა რეკორდი ფრანგებს - **ნატალი დეშისა** და **სტეფანი ფორეტცს** ეკუთვნოდა. მაშინ პირველი სეტის ტაი-ბრეიკი დეშიმ 16:14 მოიგო. ამჯერად, „შემოკლებულ გეიმში" ორით მეტი ბურთი გათამაშდა.

სამანტას მეტოქე გუშინდელი სათამაშო დღის ბოლო მატჩში ირკვეოდა. ბოლო დროს მომძლავრებულმა გერმანელმა **საბინ ლისიცკიმ** მოულოდნელად ძალიან იოლად დათმო ბრძოლა რუს **ვერა ზვონარევასთან**. ამ უკანასკნელმა ხუთი ბრეიკი გააკეთა და მხოლოდ ერთხელ წააგო საკუთარი მოწოდება. საბოლოოდ, 6:2, 6:3 და ზვონარევა მეოთხედფინალში გავიდა.

29 წლის იტალიელმა **ფლავია პენეტამ** დაამტკიცა, რომ წინა წრეში **მარია შარაპოვას** დამარცხება შემთხვევითობა არ ყოფილა. ამჯერად აპენინელი ორ სეტში გაუსწორდა ჩინელ **შუაი პენგს** - 6:4, 7:6.

თუმცა ეს გამარჯვება იოლი არ ყოფილა. მეორე სეტში პენგი 5:3-ს იგებდა, მაგრამ თამაში ტაი-ბრეიკზე გაგრძელდა, სადაც ჩინელმა 6:2-ზე ოთხმაგი სეტბოლი მიიღო, თუმცა ვერც ეს შანსი გამოიყენა და პენეტა კარიერაში მესამედ გავიდა ამერიკის ღიას მეოთხედფინალში, სადაც მას განუთესავი გერმანელი **ანჟელიკ კერბერი** შეხვდება.

### 1/8 ფინალი

**ანჟელიკ კერბერი** (გერ)-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:4, 6:3; **ფლავია პენეტა (იტა, 26)**-შუაი პენგი (ჩინ, 13) 6:4, 7:6(6); **სამანტა სტოსური (ავსტრა, 9)**-მარია კირილენკო (რუს, 25) 6:2, 6:7(15), 6:3; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-საბინ ლისიცკი (გერ, 22) 6:2, 6:3.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


სამანტა სტოსური